

250

ღ. ქართული ენის

# ქართული ენის გრამატიკა

ეთიელობია



ଶ୍ରୀରାମକଣ୍ଠ

ნ. კარიჭაშვილი

# ქართული ენის გრამატიკა

ეთიანელობის

12 ტაბულით

4246



1929

სახელმამი—ტფილის

შმც-ბა „ზარია უსტუკუა“-ს სტამბა. რუსთაველის პრ., 36.  
შეკვეთა № 764. ტირაჟი 2000. მთავლიტი № 1628.

## გარიბაშვილის ბიბლიოთის დამფუძნება

დავით კარიბაშვილის ეს შრომა იქნება იმ სახით, რა სახითაც დამზადებული იყო გამოსაცემაზ 1924 წელს. ავტორის სიცოცხლეში (გარდაიცვალა 1927 წ. 26 ივნისს) ვერ მოხერხდა მისი გამოცემა, მიუხედავათ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს 1924 წლის 17 ივნისის დაუგენილებისა, რომლის თანახმად დ. კარიბაშვილის ქართული ენის გრამატიკის დაბეჭდვა სასურველად იქნა ცნობილი.

ეჭვი არ არის, გამოცემამ ბევრი დაჭკარება ავტორის უშუალო ხელმძღვანელობას მოყლებულმა. სტამბაში ასაწყობად გადაცემამდე მას შეეძლო დედნის გადასინჯვა და ბეჭდვის პროცესში წამოჭრილ ტეხნიკურ დაბრკოლებათა უკეთესად მოგვარება.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სახელგამი მაინც აქვეყნებს ამ შრომას იმ მოსაზრებით, რომ ქართული ენის ფორმები ჯერ-ჯერობით იმდენად დაუმუშავებელია და შეუსწავლელი, რომ ასეთი შრომის გამოცემა უსათუოდ დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც სამეცნიერო დარგის შუშაკებს, ისე პედაგოგებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას.

სახელმწიფო გამომცემლობა.

# ს ა რ ჩ ე პ ი

## თავი პირველი

83

1. ბგერა. ასო . . . . .	1
2. მარცვალი. სიტყვა . . . . .	3
3. სიტყვის შემადგენლი ნაწილები . . . . .	4
4. სხვადასხვაგვარი სიტყვები . . . . .	5
5. საბოლოებელი, ძირმსახი, ძირი . . . . .	5

## თავი მეორე

### არსებითი სახელი

1. სხვადასხვაგვარი არსებითი სახელი . . . . .	7
2. არსებითი სახელის რიცხვი . . . . .	8
3. ბრუნვა . . . . .	8
4. ბრუნვის საზოგადო წესითგან გამონაკლისი . . . . .	13
5. მრავლობითი რიცხვის ნაკვთის ბრუნვა მხოლობითს და მრავლობითს რიცხვში . . . . .	15
6. გვარეულობის ან ოჯახის სახელი . . . . .	15
7. ძირის ცვლა ბრუნვაში . . . . .	16
8. ბრუნვაში ერთმანერთის დამხმარე სიტყვები . . . . .	18

## თავი მესამე

### დასართავი სახელი

1. სხვადასხვაგვარი დასართავი სახელი . . . . .	16
2. დასართავი სახელების ბრუნვა . . . . .	16
3. დასართავი სახელის ბრუნვა, როცა არსებით სახელთან არის გადაბმული . . . . .	21
4. არსებითი სახელის ნათესავობითი საბრუნვის ნაკვთი, დასართავად ქცეული . . . . .	23
5. ხარისხები . . . . .	25
6. დასართავი სახელების ძირის ცვლა ბრუნვაში . . . . .	26
7. დასართავი სახელების წარმოება . . . . .	26
8. დასართავი სახელის მნიშვნელობით ხმარებული არსებითი სახელი . . . . .	28

## თავი მეოთხე

### რიცხვითი სახელი

1. სხვადასხვაგვარი რიცხვითი სახელი . . . . .	30
2. რიცხვითი სახელების ბრუნვა . . . . .	30
3. რიცხვითი სახელების ხარისხი . . . . .	36
4. რიცხვითი სახელების შედგენილობა . . . . .	36
5. თვლის სისტემა . . . . .	36

თავი 80870

ნაცვალსახელი

1. სხვადასხვაგვარი ნაცვალსახელი	86
2. პიროვნებითი წაცვალსახელები	88
3. კუთნილებითი ნაცვალსახელები	40
4. მაჩვენებელი ნაცვალსახელები	41
5. გითხვითი ნაცვალსახელები	42
6. მაკავშირებელი ნაცვალსახელები	44
7. მსაზღვრელი ნაცვალსახელები	44
8. განუსაზღვრელი ნაცვალსახელები	46
9. შეგავსხვენებითი წაცვალსახელები	46
10. ურთიერთობითი წაცვალსახელები	47

თავი 8008860

¶ 8 6 5

1. ზმინის განსახულებანი	48
2. ზმინის სახეები	48
3. მიმოხრა	48
4. პირები	49
5. მიმართები	49
6. როცხვი	49
7. დროები	50
8. კილოები	51
9. ზმინათა გვარები	51
10. ზმინათა ხარისხები	52
11. ზმინათა ჯურები	58
12. მიმოსახული ზენართები და ქვენართები	54
13. პირმსახი	54
14. მიმართმსახი	55
15. ძირმსახი	58
16. საბოლოებელი	56
17. მოქმედებითის და ვნებითის თვისების ნაკვთები	58
18. სხვადასხვანაირი შიმოხრა	59
19. პირველნაირი მიმოხრა	60
20. შეორენნაირი მიმოხრა	75
21. მესამენაირი მჩმოხრა	88
22. მეოთხენაირი მიმოხრა	91
23. მეხუთენაირი მიმოხრა	94
24. მეექვსენაირი მიმოხრა	95
25. მეშვიდენაირი მიმოხრა	95
26. ნაკვთია ჯგუფები	96
27. ზმინსართავების წარმოება	109
28. ზმინის სახეების წარმოება	112
29. აწერილობითი შიმოხრა	118
	120

**თავი მთვიდო**

**ზმინისართი**

1. სხევადასხევაგვარი ზმინისართები . . . . .	121
2. ზმინისართების წარმოება . . . . .	122
3. ზმინისართისებური წინადადებანი ან ნატყვები . . . . .	122
4. აღმატებითი ხარისხი . . . . .	122

**თავი მთვევი**

**თანდებული**

1. სხევადასხევაგვარი თანდებულები . . . . .	124
2. თანდებულების სხევაგვარს სიტყვებთან გადამზა	124

**თავი მთვერდები**

მაკავშირებელი . . . . .	127
-------------------------	-----

**თავი მთვერდები**

შორისდებული . . . . .	128
-----------------------	-----

**თავი მიმორიგოვა**

ნაწილაკი . . . . .	129
--------------------	-----

**თავი მიმორიგოვა**

ფონეტიკა . . . . .	180
--------------------	-----

**ტაბულები**

ტაბულა I. ზმახრილის ნაკვთების საბოლოებლები.	
„ II. პირველნაირი მიმოხრა.	
„ III. მეორენაირი მიმოხრა.	
„ IV. მესამენაირი მიმოხრა,	
„ V. მეოთხენაირი მიმოხრა.	
„ VI. მეხუთენაირი პირველი ჯგუფი.	
„ VII. მეხუთენაირი მიმოხრა, მეორე ჯგუფი.	
„ VIII. მეხუთენაირი მიმოხრა, მესამე ჯგუფი.	
„ IX. მეექვენენაირი მიმოხრა.	
„ X. თავისებური გარდამავალი ზმნები.	
„ XI. თავისებური გარდუფალი ზმნები.	
„ XII. აურილობითი მიმოხრა.	

## თ ა ვ ი ვ ი რ ვ ე ლ ი

1. ბგერა, ასო. ქართულ ენას აქვს ოცდაცამეტი ბგერა, რომელნიც გამოიხატებიან შემდეგი ნიშნებით ანუ ასოებით: ა, ბ, გ, დ, ვ, ჟ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, პ, უ, რ, ს, ტ, ფ, უ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჰ.

ბგერა, რომელიც ძარტოდ-მარტო თავისუფლად და ადვილად გამოითქმის და მკაფიოდ ისმის, იწოდება ხმოვანად, ხოლო ის ბგერა, რომელიც მარტოდ-მარტო, ხმოვან ბგერასთან შეუეროებლად, ძნელად გამოითქმის, იწოდება თანხმოვანად.

ხმოვანი ბგერა ხუთია: ა, ე, ი, ო, უ.

თანხმოვანი ბგერა ოცდარვაა: ბ, გ, დ, ვ, ჟ, თ, კ, ლ, მ, ნ, ჸ, უ, რ, ს, ტ, ფ, უ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჰ.

ყველა ასოების კრებულს ჰქვია ანბანი.

ყველს ქართულს მწერლობაში იხმარებოდა კიდევ რავდენიმე ასო, რომელნიც ან განსაკუთრებულს, ეხლა დავიწყებულს ბგერებს გამოხატავდნენ, ან უცხო ენების ანბანის მიბაძვით არიან შემოლებულნი. ეს ასოები არიან: ც, ხ, ჰ, ჭ, გ, უ, ამათში ძველ ქართულში არსებულ ბგერებს გამოხატავდნენ: ხ (ნახევარ-ი), ჰ (ლრმა-ხ) და უ (ნახევარ-უ). ბერძნული ანბანის მიბაძვით შემოლებულნი არიან ძველადვე ც, ჰ და ჭ (ეტა, იფსილონ და ომეგა), სპარსულ-ევროპულის ანბანის მიბაძვით შემოლებულია მეჩეთმეტე საუკუნეში ჭ, სომხურის მიბაძვით მეთვრამეტე საუკუნეში—ჰ.

ჭ ხატავს უცხო ბგერას; რომელსაც ქართველი ხალხი სცვლის ბგერით ფ. მაგალ., ხალხი ამბობს სუფრა და არა სუჭრა, ფაბრიკა და არა ფაბრიკა, ფორმა და არა ფორმა. ეს ბგერა ახლა ისმის მხოლოდ ერთს შორისღებულში: იჭ!

ასოს 2 მის შემომლები ანტონ კათოლიკოზი ხმარობდა იმისთანა სიტყვებში, რომლებშიაც რავდენსამე თანხმოვან ბგერას თავი მოყრილი აქვს ერთად, ამ ბგერათა შორის, მაგალ., შედგამული, განლგმრთობილი, ძალისამებურ.

თანხმოვანი ბგერები, იმის მიხედვით თუ რომელი ორგანოს საშუალებით ან როგორ გამოითქმიან, არიან: ბაგისმიერნი: ბ, მ, ვ, ფ; ხახისმიერნი: გ, ქ, ქ, ლ, ყ, ხ; ენისწვერისმიერნი: ლ, ნ, რ; ბაგით-

მეროლავი: ვ; ყელითმეროლავი: პ; მარტივი ენაკბილისმიერნი: ღ, თ, ტ; სისინანი: ზ, ს; შიშინანი: უ, შ; სისინა ენაკბილისმიერნი (რთულნი): ც, ქ, წ; შიშინა ენაკბილისმიერნი (რთულნი): ჩ, ჭ, ჯ.

ქართული ანბანი სამნაირია: მთავრული, ნუსხა ხუცური და მხედრული მრგვალი. ახალ მწერლობაში შეოლოდ მხედრული ანბანი იხმარება, მთავრული და ნუსხა ხუცური კი მარტო საეკლესიო წიგნებში.

ეს სამგვარი ანბანი წარმოებულია ერთი მეორისაგან. უძველესია მთავრული, მისგან წარმოებულია ნუსხა ხუცური, ხოლო ნუსხა ბუცურითვან—მხედრული.

ასოები ანბანებში ჩვეულებრივ ამ რიგზე არიან დალაგებულნი:

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ჲ, ც, თ, ი, ქ, ლ, მ, ნ, ჸ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ჴ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, კ, ჯ, პ, ჲ, ჵ, ვ, ტ.

უძველესს ნაშთებში უბგერა ორის ასოთი გამოიხატება: ოკ, მხოლოდ შემდეგში შემოიღეს ერთი ასო მის გამოსახატავად.

ასო შე მწერლობაში (ისიც მხოლოდ ნუსხა ხუცურში და მხედრულში) ძალიან გვიან გაჩნდა (მეთვრამეტე საუკუნეში). წინად მის ნაცვლად იხმარებოდა ოკ ან უ, ახალს მწერლობაში კი მის ნაცვლად იხმარება ვ.

ამნაირად ძველს ქართულს მწერლობაში ნახშარია სულ 41 ასო. რომელთაგან ახლანდელს მწერლობაში აღარ ჩემარება შემდეგი ოვა: ც, ხ, ჴ, ქ, ჷ, ჵ, ვ, ტ.

**2. გარცვალი, სიტყვა.** თვითეული ხმოვანი ბგერა, ცალქე ან შეერთებული ერთს ან ორს თუ მეტს თანხმოვან ბგერასთან, შეაღებნს მარცვალს, შაგალ., ა, ბა, ე, გვ, ი, დი, ო, ვო, უ, ზუ, თხა, კმა, ბრძე და სხვ.

იმისთანა მარცვალს ან მარცვალთა კრებულს, რომელსაც რამე: მნიშვნელობა აქვს ან რომელიც რამე ცნებას გამოხატავს, ჰქეია სიტყვა, მაგალ. და, ძმა, ბიძა, დედა, წამალი, გასავალი.

სიტყვა შედგება ერთის ან რავდენისამე მარცვლისაგან. იმის მიხედვით თუ რავდებს მარცვალს შეიცავს, სიტყვა იქნება: ერთ-მარცვლოვანი, მაგალ., ხე, რუ, ხბო, ტყე; ორმარცვლოვანი, მაგალ., მა-მა, დე-და, პუ-რი, ხი-ლი; სამმარცვლოვანი, მაგალ., ქა-თა-მი, წა-მა-ლი, ვე-ნა-ხი; ოთხმარცვლოვანი, მაგალ., შვე-ნი-ე-რი, ჭი-ან-ჭე-ლი, ღი-ღე-ბუ-ლი; ხუთმარცვლოვანი, მაგალ., გა-კე-თე-ბუ-ლი; მო-მზა-დე-ბუ-ლი, გან-წი-რუ-ლე-პა. ამნაირად სიტყვა არის იმდენ-მარცვლოვანი, რავდენს მარცვალსაც შეიცავს. ხუთზე მეტის მარცვლის შემცველ სიტყვას საერთოდ ეწოდება მრავალმარცვლოვანი.

3. სიტყვის შემადგენლი ნაშილები განიხილებიან აგრეთვე იმის შიხედვით თუ რა მნიშვნელობა აქვსთ სიტყვის ცნების გამოხატვისათვის. ასეთი ნაშილებია: ფუძე, ქვენართი და ზენართი.

ფუძე არის სიტყვის ის ნაშილი, რომელიც უმთავრესად ხატავს სიტყვის ცნებას. ქვენართი ფუძეს მისდევს და უფრო მკაფიოდ განსახლვავს მის ცნებას ისე როგორც ზენართი, რომელიც ფუძეს წინ უძლვის. მაგალ., სიტყვა საწერელი შედგება ფუძისაგან წერ, ქვენართებისაგან ელ და ი და ზენართისაგან სა.

არ არის აუცილებელი, რომ სიტყვაში სამივე ნაშილი იყვეს. ზოგი სიტყვა მარტო ფუძისაგან შედგება, მაგალ., წინ, ხვალ, ჯერ. ზოგს მხოლოდ ფუძე და ქვენართი აქვს, მაგალ., ხ-ე, წილ-ი, მზ-ა. ზოგი კი სამივე ნაშილისაგან შედგება, მაგალ., სა-ქმ-ე, სი-ცხ-მ, ნა-წილ-ი. ამ სიტყვებში ფუძეებია: ქმ, ცხ, წილ; ქვენართებია ე, ე, ი; ზენართებია: სა, სი, ნა. ამასთან შეიძლება სიტყვას ჰქონდეს რავდენიმე ზენართი და რავდენიმე ქვენართი. მაგალ., სიტყვაში მო-მა-კვდავ-ი არის ორი ზენართი (მო, მა) და ორი ქვენართი (ავ, ი), ფუძეა კვდ; სიტყვაში გა-ნათ-ლ-ებ-ულ-ი არის ერთი ზენართი (გა), ოთხი ქვენართი (ლ, ებ, ულ, ი), ფუძეა ნათ.

ხშირად სიტყვა შემდგარია ორის ან სამის სხვადასხვა სიტყვისაგან და ამიტომ ამ სიტყვას აქვს ორი ან სამი ფუძე, მაგალ., პურმარილი (პური, მარილი), თავდადებული (თავი, დადებული), მაღალკეთილშობილება (მაღალი, კეთილი, შობილება).

ამისთანა რთულ სიტყვებში, იმის გარდა რომ თვითეულს შემაღენელს სიტყვას შეიძლება ჰქონდეს თავისი შემაღენელი ნაშილები, ხშირად არის ხოლმე საერთო ზენართი და ქვენართი, მაგალ., ვა-პურმარილ-იან-ებ-ა.

ერთის ფუძის შემნე სიტყვა იწოდება მარტივად, ორის ან მეტის ფუძის შემნე რთულად.

სიტყვების ზენართებია: სა (სა-წერ-ი), სი (სი-ცივ-ე), მ (მ-სახ-ულ-ი) მა (მა-უნ-ე), მე (მე-ლორ-ე), მი (მი-სულ-ი), მო (მო-რ-ევ-ა), ა ან ალ (ა-დგ-ომ-ა, ალ-დგ-ომ-ა), წა ან წარ (წა-შლ-ა, წარ-შლ-ა), გა ან გან (გა-ზილ-ვ-ა, გან-ზილ-ვ-ა), და (და-ცლ-ა), შე (შე-მოს-ვ-ა), ჩა (ჩა-ქსოვ-ა), ვ (ვ-ხნ-ავ), გ (გ-წვ-ავ), მ (მ-ჭრ-ი), გვ (გვ-ცნ-ობ), ა (ა-წერ), ე (ე-რიდ-ებ-ა), ი (ი-ღგა), უ (უ-მღერ, უ-შნ-ო), ჰ (ჰ-კლ-ავ-ს), ს (ს-დ-ებ), ნა (ნა-კერ-ი) და სხვ.

ქვენართებია: ა (ძძ-ა), ე (რძ-ე), ი (კაც ი), ო (ხბ-ო), უ (ცრ-უ), აღ (გულ-აღ-ი), ავ (მ-კითხ-ავ-ი), ამ (ნა-თქვ-ამ-ი), აკ (წიგნ-აკ-ი),

ასლ (მ-კრთ-ალ-ი), ან (სუქ-ან-ი), არ (წენ-არ-ი), ებ (ვა-კეთ-ებ),  
მთ-ებ-ი), ევ (ნი-ენ-ევ-ი), ეთ (კახ-ეთ-ი), ვ (კითხ-ვ-ი), თ (ვ-ს-თხოვ-თ),  
ივ (მხრ-ივ), ით (რიცხვ-ით-ი), ინ (სლოვ-ინ-ი), ილ (კბ-ილ-ი), ის  
(სა-ხნ-ის-ი), იან (კლდ-იან-ი), იერ (შევნ-იერ-ი), ეულ (მამ-ეულ-ი),  
ობ (ძმ-ობ-ი), ლ (კომ-ლ-ი), ზ (დგ-ზ-ი), ნ (თოხ-ნ-ი), ოვან (ჩმ-ოვან-ი),  
ოსან (ქუდ-ოსან-ი), ომ (ხტ-ომ-ი), რ (სი-მამ-რ-ი), ს (ნებ-ს-ით-ი), ულ  
(ხნ-ულ-ი), უნ (კაც-უნ-ი), ურ (მხეც-ურ-ი), ს ან სა (კაც-ს ან კაც-სა),  
ზ, მა ან ზან (მხ-ე-ზ, მხ-ე-ზა ან მზ-ე-ზან), თ ან თა (წელ-თ ან წელ-თა),  
ნი (დღ-ე-ნი), ნო (ძმ-ა-ნო), დ (ვ-კეთ-დ-ებ-ი), ებრ (მ-თვარ-ებრ-ი),  
ობრ (კაც-ობრ-ივ-ი) და სხვ.

სიტუების ბოლო ბეჭრა ან ბგერები იწოდება სიტყვების დაბოლო-  
ებად. დაბოლოებად შეიძლება მიღებულ იქნას ერთი, ორი, სამი და  
მეტი ბეჭრაც. მაგალ., სიტყვაში ადამიანი დაბოლოებად ჩაითვლება  
ი-კ, ნი-კ, ანი-კ, იანი-კ, მიანი-კ. ამნაირად დაბოლოება არ არის  
სიტყვის შემაღებელი ნაწილი, არამედ იგი არის ხელოვნურად, რამე  
მიზნით (მაგალ., რითმისთვის) მოკეთილი. სიტყვის ბოლო დიდი თუ  
პატარა ნაწილი.

**4. სიტყვას სიტყვას სიტყვას სიტყვები**. სიტყვები სხვადასხვა გვარი-  
სანი არიან იმის მიხედვით თუ რა ცნებას გამოხატავენ.

ა) სიტყვები, რომლებიც მყოფის ან მყოფად წარმოდგენი-  
ლის საგნის ცნებას აღნიშნავენ, არხებით სახელად იწოდებიან, მა-  
გალ., ხე, მზე, ქვა, კაცი, ცხოველი, ცა, სინათლე, სიკეთე, ვაჟა-  
ცობა, სული, ეზმაკი.

ბ) სიტყვები, რომლებიც არსებითი სახელის ვითარებას აღნიშ-  
ნავენ, დასართავ სახელად იწოდებიან, მაგალ., ბრწყინვალე (მზე),  
მალალი (ხე), მაგარი (ქვა), გონიერი (კაცი), გარეული (ცხოველი),  
დიდი (სინათლე), უზომო (სიკეთე), ზესამჩნევი (ვაჟაკაცობა), კეთი-  
ლი (სული), მაცდური (ეშმაკი), ქვიანი (გზა), კლდოვანი (მთა), მამა-  
პაპეული (ქონება), წითელი (დროშა), ჩქარი (ნაბიჯი).

გ) სიტყვები, რომლებიც რიცხვს, რაოდენობას ან რიგს აღნიშ-  
ნავენ, რიცხვით სახელად იწოდებიან, მაგალ., ერთი, ორი; პირელი,  
შეორე; ნახევარი, ზესამედი, ნაასალი; სამ-სამი, ოთხ-ოთხი; ორიო-  
დე, ხუთიოდე; ორკეცი, ათკეცი; ათგაობითი; ცოტა, ბევრი, მრა-  
ვალი.

დ) სიტყვები, რომლებიც არსებითი სახელის, დასართავი სისე-  
ლის და რიცხვითი სახელის მაგიერ იხმარებიან, ნაცვალსახელად  
იწოდებიან, მაგალ., ზე, შენ, ის, ეს, ეგ, იგი, ჩემი, შენი, ჩვენი,  
ოქვენი, ყველა, ყველაფერი, ყოველი, რა, რომელი, ვინ, რაც, რო-

მელიც, ვინც, თვით, თვითონ, თვითეული, ეხეთი, ეგეთი, იხეთი,  
ამნაირი, ზაგნაირი, იმნაირი, ამოდენი, იმოდენი, ზაგოდენი, რაფ-  
დენი, რაფდენიც.

ე) სიტყვები, რომლებიც საგნის მოქმედებას, მდგომარეობას  
ან ყოფას აღნიშნავენ, ჟმნად იწოდებიან, მაგალ., წერა, წოლა, ვლა.

ვ) სიტყვები, რომლებიც მოქმედების, ყოფის, მდგომარეობის  
ვითარებას ან გარემოებას აღნიშნავენ, ჟმნისართად იწოდებიან, მა-  
გალ., კარგად, ძრიელ, ახლო, გვიან, წინად, ზემდეგ, ერთად, უკვე-

ზ) სიტყვები, რომლებიც საგანთან მოქმედების ან მდგომარეო-  
ბის დამოკიდებულებას აღნიშნავენ, თანდებულად იწოდებიან, მაგალ.  
გან, თვის, ზე(დ), ში, თან, შორის, გამო, გარდა, ურთ.

ც) სიტყვები, რომლებიც სიტყვების ან აზრების ერთმანერთთან  
დასაკავშირებლად იხმარებიან, ზაკავშირებლად იწოდებიან, მაგალ.,  
და, კი, ხოლო, არაზედ, თუ, თუმცა.

თ) სიტყვები, რომლებიც რომლისამე გრძნობის ერთბაშად მოქ-  
ლე ჯამძახილს გამოხატავენ, შორისდებულად იწოდებიან, მაგალ.,  
ახ, უმ, თხ, ოჭ, ვაი, შაი, ჟეი, ჟოი, ვაშა.

ი) სიტყვები რომელთაც ცალკე არა აქვთ მნიშვნელობა, ხოლო  
ლაპარაკში შცირეოდნად უცვლიან სიტყვებს მნიშვნელობას, ნაწი-  
ლაკებად იწოდებიან, მაგალ., ვე, ცა, მცა, კი, ღა, ზე.

სიტყვის გვარები არიან ცვალებადნი და უცვალებელნი.

ცვალებადი გვარისანი არიან ის სიტყვები, რომლებიც მეტყვე-  
ლობის დროს იცვლიან ზენართებს ან ქვენართებს, ან ერთთაც და  
მეორეთაც, ხანდახან კი ფუქსესაც რომლისამე ბეგრის გამოტოვებით,  
ჩართვით ან შეცვლით. ესეთი სიტყვის გვარებია: არსებითი სახელი,  
დასართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ჟმნა-  
უცვალებელი გვარისანი არიან ის სიტყვები, რომლებიც არ იცვლიან  
არც ქვენართს, არც ზენართს და არც უუქეს უმატებენ ან აქლებენ  
რასმე. ესენი არიან: ჟმნისართი, თანდებული, ზაკავშირებელი, შო-  
რისდებული და ნაწილაკი.

ნ. საბოლოებელი, ძირმსახი, ძირი. ცვალებად სიტყვებში იმ  
ქვენართკ, რომელიც იცვლება სიტყვის სხვადასხვა ნაკვთის წარმოე-  
ბის დროს, ჰქეია საბოლოებელი ქვენართი ან მოქლედ საბოლოებე-  
ლი, რადგან შით ბოლოებება სიტყვა. ხოლო იმ ქვენართს, რომელიც  
არ იცვლება, ჰქეია ძირმსახი, რადგან ის ფუქსესთან ერთად ასახიე-  
რებს სიტყვის ძირს, ე. ი. სიტყვის იმ ნაწილს რომელიც არ იცვლება.

სიტყვაში დაბავნე ე არის საბოლოებელი, გზავნ—ძირი, რაღ-  
გან მის სხვადასხვა ნაკვთებია: ფ-ჟ-გზავნ-ე, ჰ-გზავნ-ე, ჟ-გზავნ-ა,

ვ-ჸ-გზავნ-ეთ, ჸ-გზავნ-ეთ, ჸ-გზავნ-ეს. ამ ნაკვეთების წარმოების დროს გზავნ რჩება უცვლელად, ხოლო ე იცვლება სხვადასხვანაირად: ხან ა ჩნდება მის მიგიერ, ხან ეთ, ხან ეს. თვითონ ძირი გზავნ შედგება ორის ნაწილისაგან: ფუძისაგან გზ და ძირშსახისაგან ავნ.

არ უნდა ავრიოთ ერთმანერთში ფუძე და ძირი. შეიძლება შემთხვევით რომელსამე სიტყვაში ფუძე და ძირი ერთი და იგივე იყვეს, როგორც მაგალითად სიტყვაში გზა, საღაც გზ ფუძეც არის და ძირიც, მაგრამ საზოგადოდ კი ფუძე და ძირი ერთი და იგივე არ არის, როგორც მაგალითად სიტყვაში გზავნა, საღაც ფუძეა გზ, ხოლო ძირია გზავნ.

---

## თ ა ვ ი მ ე რ ე

არსებითი სახელი.

1. სხვადასხვაგვარი არსებითი სახელი. არსებითი სახელი, თუ იგი ყველა ერთგვარს საგანს აღნიშნავს, საზოგადო სახელად იწოდება. მაგალ., ქალაქი, მდინარე, კაცი საზოგადო სახელებია, რადგან ამ სახელებით აღინიშნებიან ყველა ერთგვარი საგნები: ქალაქები, მდინარეები, კაცები. თუ არსებითი სახელი აღნიშნავს ერთს რომელსამე საგანს სხვა მის მსგავს საგნებში გასარჩევად, საკუთარ სახელად იწოდება. მაგალ., ტფილისი, მტკვარი, შალვა საკუთარი სახელებია, რადგან ისინი აღნიშნავენ ერთერთს ქალაქს, ერთერთს მდინარეს, ერთერთს კაცს.

ხშირად ერთი და იგივე საკუთარი სახელი რავდენსამე ქალაქს, მდინარეს, კაცს ეწოდება ხოლმე. ამისთანა შემთხვევაში ერთსახელიანს საგნებში ან პირებში ერთის გასარჩევად მის სახელს ემატება კიდევ ზედმეტი სახელი. მაგალ., გერმანიაში არის ორი ფრანკფურტი. ამ ორის ქალაქის ერთმანერთში გასარჩევად ერთს უწოდებენ მაინის ფრანკფურტს, მეორეს ოდერის ფრანკფურტს. რუსეთში ორი მდინარეა, რომელთაც ჰქვიათ დვინა. ერთმანერთში გასარჩევად ერთს უწოდებენ ზედმეტად დასავლეთის დვინას, მეორეს—ჩრდილოეთს დვინას. საქართველოში იყო რავდენიმე მეთე, რომელთაც ბაგრატი ერქვათ. მათ გასარჩევად ერთის სახელს ზედ ერთვის პირველი, მეორისას—მეორე, მესამისას—მესამე და სხვ. ჩვეულებრივ კი ადამიანების ერთმანერთში გასარჩევად საკუთარ სახელს ემატება გვარის სახელიც.

იმის მიხედვით თუ როგორს საგანს აღნიშნავს—სულიერს, უსულოს თუ განყენებულს, არსებითი სახელი არის: სულიერი საგნის სახელი, მაგალ., ცხენი, უსულო საგნის სახელი, მაგალ., მთა და განყენებული საგნის სახელი, მაგალ., სიბრძნე.

არსებითი სახელის ხასიათი აქვს აგრეთვე მოქმედების და მდგომარეობის სახელს, რომელსაც ჰქვია სახელზენა და რომელიც ზმნასაც ეკუთვნის, მაგალ., კითხვა, გვა, წოლა, ჯდომა.

2. არსებითი სახელის რიცხვი. როდესაც არსებითი სახელი გამოხატავს საგნის ერთს რიცხვს, მაშინ არსებითი სახელი მხოლობითი რიცხვისაა, მაგალ., ქვა, ხე, ცხოველი. ხოლო როცა იგივე არსებითი სახელი გამოცვლილის დაბოლოებით ერთზედ მეტს აღნიშნავს, მაშინ იგი მრავლობითი რიცხვისაა, მაგალ., ქვები, ხეები, ცხოველები. ამნაირად არსებითს სახელს ორი რიცხვი აქვს: მხოლობითი და მრავლობითი.

თუ რომლისამე არსებითი სახელის ცნება ისეთია, რომ მისი მრავლობითს რიცხვში წარმოდგენა არ შეიძლება, მაშინ არც ის არსებითი სახელი იხმარება მრავლობითს რიცხვში. ასეთები არიან მომეტებულად განყენებული საგნების ამნიშვნელი არსებითი სახელები და სახელმწიფი, მაგალ., სიბრძნე, სიმღიდრე, სირცხვილი, ჭამა, წერა, ცხოვრება და სხვ.

3. ბრუნვა. იმ დამოკიდებულების გამოსახატავად, რომელიც არსებობს საგნების შორის ან საგნისა და მოქმედების თუ მდგომარეობის შორის, არსებითი სახელი ღებულობს ბოლოში სხვადასხვა საბოლოებელს ქვენართს, მაგალ., კაც-ი, კაც-ის, კაც-ს, კაც-მა, კაც-ით; კაც-ად, კაც-ო, კაც-ნი, კაც-თა, კაც-ნო. სიტყვის საბოლოებლების ასეთს ცვლას ჰქვია ბრუნვა, ხოლო თვით სიტყვის შეცვლილ ნაკვთს საბრუნვაო.

არსებითი სახელები იბრუნებიან როგორც მხოლობითს რიცხვში, ისე მრავლობითში.

ქველად ქართულს ენაში მხოლოდ ერთი ბრუნვა ყოფილა, რადგან ყოველი არსებითი სახელი ბოლოვდებოდა ი-ბერით. შემდეგში ხმოვანი ძირმსახების შემდეგ ი შესუსტებულა და ქცეულა ე-ბერად, ასე რომ წინად რომ იტყოლნენ მამა-ი, მზე-ი, ხბო-ი, კუ-ი, შემდეგში ასბობდნენ: მამა-ე, მზე-ე, ხბო-ე, კუ-ე. უფრო გვიან ეს უკანასკნელი ე-ბერა ისე შესუსტებულა, რომ სრულებით გამქრალა და ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს მიუღიათ ის სახე რაც დღეს აქვსთ: მამა, მზე, ხბო, კუ.

რაკი სახელობითი საბრუნავის საბოლოებელი ყველა სიტყვებში ერთგვარი იყო, ცხადია, სხვა საბრუნავების საბოლოებლებიც ერთგვარნი იქნებოდნენ ყველა სიტყვებისთვის.

ამის მიხედვით ძველისძველად ქართული არსებითი სახელების ბრუნვა დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო:

მხოლობითი რიცხვი

კაც-ი	მამა-ი	მზე-ი	ხბო-ი	კუ-ი
კაც-ისა	მამა-ისა	მზე-ისა	ხბო-ისა	კუ-ისა
კაც-სა	მამა-სა	მზე-სა	ხბო-სა	კუ-სა
კაც-მან	მამა-მან	მზე-მან	ხბო-მან	კუ-მან
კაც-ითა	მამა-ითა	მზე-ითა	ხბო-ითა	კუ-ითა
კაც-ად	მამა-ად	მზე-ად	ხბო-ად	კუ-ად
კაც-ო	მამა-ო	მზე-ო	ხბო-ო	კუ-ო

მრავლობითი რიცხვი

კაც-ნი	მამა-ნი	მზე-ნი	ხბო-ნი	კუ-ნი
კაც-თა	მამა-თა	მზე-თა	ხბო-თა	კუ-თა
კაც-ნო	მამა-ნო	მზე-ნო	ხბო-ნო	კუ-ნო

ხმოვანი ძირმსახის შემდეგ ი-საბოლოებელის მოსპობასთან ერთად სხვა საბრუნავებშიაც მოხდა. ცვლილება, სახელდობრ: აი და ეი გადაიქცა ი-ბგერად, აა—ა-ბგერად, ეა—ე-ბგერად, ოი და ო—ო-ბგერად, უი და უა—უ-ბგერად, რის გამო საბრუნავი საბოლოებლები სხვადასხვა სიტყვებისათვის სხვადასხვანაირნი შეიქნენ.

ახალ ქართულ ენაში ბრუნვა ოთხნაირია: პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე.

პირველ ბრუნვას ეკუთვნიან ის არსებითი სახელები, რომელთა ბოლო ბგერა არის ი, მაგალ., ქარ-ი; მეორე ბრუნვას ის არსებითი სახელები, რომელთა ბოლო ბგერა არის ა, მაგალ., დედ-ა; მესამე ბრუნვას ის არსებითი სახელები, რომელთა ბოლო ბგერა არის ე, მაგალ., მზ-ე; მეოთხე ბრუნვას ის არსებითი სახელები, რომელთა ბოლო ბგერა არის ო ან უ, მაგალ., კალ-ო, კ-უ.

არსებითი სახელების ბოლო ბგერები: ი, ა, ე არიან საბოლოებელი ქვენართები, რაღაც ისნი იცვლებიან ბრუნვის დროს, ო და უ ბგერები კი ძირმსახი ქვენართები არიან, რაღაც ბრუნვის დროს რჩებიან უცვლელად.

არსებითს სახელს აქვს შვიდი საბრუნავი: სახელობითი, ნათე-სავობითი, მიცემითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, ცვალებითი და წოდებითი.

მხოლობითი რიცხვის საბრუნავი საბოლოებლები არიან:

	1 ბრუნვა	2 ბრუნვა	3 ბრუნვა	4 ბრუნვა
სახ.	ი	ა	გ	
ნათ.	ის(ა)	ის(ა)	ის(ა)	ს(ა) ან სი
მიც.	ს(ა)	ას(ა)	ეს(ა)	ს(ა)
მოთხრ.	მა(ნ)	ამ(ა ან ან)	ემ(ა ან ან)	მ(ა ან ან)
მოქმ.	ით(ა)	ით(ა)	ით(ა)	თ(ა) ან თი
ცვალ.	აღ(ა)	აღ(ა)	ეღ(ა)	ღ(ა)
წოდ.	ო	აო ან ავ	ეო ან ევ	ო ან ვ

შენიშვნა: ცვალებითს საბრუნავში საბოლოებელის დ-ბე-  
რა ლაპარაკში ხშირად მოისმის თ-ბე-რად და ახალს მწერლო-  
ბაშიაც სწერებ თ-ასოს დ-ასოს მაგიერ.

მრავლობითი რიცხვისთვის საბრუნავი საბოლოებლები საერ-  
თოა ყველა ბრუნვაში, სახელდობრ იგივეა რაც მხოლობითი რიცხვის  
1-ლი ბრუნვის საბოლოებლები. მხოლოდ ამ საბოლოებლების წინ  
სიტყვას ჩაერთვის ქვენართი ებ, პირველსა და მეორე ბრუნვაში ი-  
და ა საბოლოებლების მოსპობით, მესამე და მეოთხე ბრუნვაში ე, ო  
და უ ბოლო ბერების შემდეგ.

მრავლობითი რიცხვისთვის ქართულ ენას აქვს კიდევ მეორე-  
გვარი ბრუნვა, რომელიც ძეველ მწერლობაში იხმარებოდა ჩვეულებ-  
რივ, ხოლო ახალს მწერლობაში იშვიათად იხმარება. ამ ბრუნვაში,  
შვიდი საბრუნავის მაგიერ მხოლოდ ხუთია, სახელდობრ: სახელობი-  
თი, ნათესავობითი, მიცემითი, მოთხრობითი და წოდებითი. სახე-  
ლობითი საბრუნავის საბოლოებელია ნი, ნათესავობითის, მიცემითის,  
და მოთხრობითისა—თ(ა), წოდებითისა—ნო. ეს საბოლოებლები ი-ბე-  
რით დაბოლოებულს სიტყვებში ეკიდებიან ძირს, სხვა სიტყვებში-  
პირდაპირ მხოლობითი რიცხვის სახელობითი წაბრუნავის ნაკვთს.

### პირველი ბრუნვის მაგალითი

	მხოლობ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი	მეორეგვარი მრავლ. რ.
სახ.	კაც-ი	კაც-ებ-ი	კაც-ნი
ნათ.	კაც-ის (კაც-ისა)	კაც-ებ-ის (კაც-ებ-ისა)	კაც-თ (კაც-თა)
მიც.	კაც-ს (კაც-სა)	კაც-ებ-ს (კაც-ებ-სა)	კაც-თ (კაც-თა)
მოთხრ.	კაც-მა (კაც-მან)	კაც-ებ-მა (კაც-ებ-მან)	კაც-თ (კაც-თა)
მოქმ.	კაც-ით (კაც-ითა)	კაც-ებ-ით (კაც-ებ-ითა)	
ცვალ.	კაც-ად (კაც-ადა)	კაც-ებ-ად (კაც-ებ-ადა)	
წოდ.	კაც-ო	კაც-ებ-ო	კაც-ნო

### მეორე ბრუნვის მაგალითი

	მხოლობ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი	მეორეგვარი მრავლ. რიცხვი
სახ.	დედ-ა-	დედ-ებ-ი	დედა-ნი
ნათ.	დედ-ის (დედ-ისა)	დედ-ებ-ის (დედ-ებ-ისა)	დედა-თ(დედა-თა)
მიც.	დედ-ას (დედ-ასა)	დედ-ებ-ს (დედ-ებ-სა)	დედა-თ(დედა-თა)
მოთხრ.	დედ-ამ (დედ-ამა, დედ-ებ-მა(დედ-ებ-მან))	დედა-თ(დედა-თა) დედ-ამან)	
მოქმ.	დედ-ით (დედ-ითა)	დედ-ებ-ით(დედ-ებ-ითა)	
ცვალ.	დედ-ად (დედ-ადა)	დედ-ებ-ად(დედ-ებ-ადა)	
წოდ.	დედ-აო ან დედ-ავ	დედ-ებ-ო	დედა-ნო

### მესამე ბრუნვის მაგალითი

	მხოლობ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი	მეორეგვარი მრავლ. რიცხვი
სახ.	დღ-ე	დღ-ე-ებ-ი	დღე-ნი
ნათ.	დღ-ის (დღ-ისა)	დღ-ე-ებ-ის (დღ-ე-ებ-ისა)	დღე-თ(დღე-თა)
მიც.	დღ-ეს (დღ-ესა)	დღ-ე-ებ-ს (დღ-ე-ებ-სა)	დღე-თ(დღე-თა)
მოთხრ.	დღ-ემ (დღ-ემა, დღ-ემან)	დღ-ე-ებ-მა (დღ-ე-ებ-მან)	დღე-თ(დღე-თა)
მოქმ.	დღ-ით (დღ-ითა)	დღ-ე-ებ-ით(დღ-ე-ებ-ითა)	
ცვალ.	დღ-ედ (დღ-ედა)	დღ-ე-ებ-ად (დღ-ე-ებ-ადა)	
წოდ.	დღ-ეო ან დღ-ევ	დღ-ე-ე-ო	დღე-ნო

### მეოთხე ბრუნვის მაგალითები

	მხოლობ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი	მეორეგვარი მრავლ. რიცხვი
სახ.	კალო	კალო-ებ-ი	კალო-ნი
ნათ.	კალო-ს (კალო-სა, კალო-ებ-ის კალო-სი)	(კალო-ებ-ისა)	კალო-თ(კალო-თა)
მიც.	კალო-ს(კალო-სა)	კალო-ებ-ს(კალო-ებ-სა)	კალო-თ(კალო-თა)
მოთხრ.	კალო-მ(კალო-მა, კალო-ებ-მა კალო-მან)	(კალო-ებ-მან)	კალო-თ(კალო-თა)
მოქმ.	კალო-თ(კალო-თა კალო-თი)	(კალო-ებ-ით)	
ცვალ.	კალო-დ(კალო-და)	კალო-ებ-ად (კალო-ებ-ადა)	
წოდ.	კალო-ო ან კალო-ვ	კალო-ებ-ო	კალო-ნო

სახ.	კუ	კუ-ებ-ი	კუ-ნი
ნათ.	კუ-ს (კუ-სა, კუ-სი)	კუ-ებ-ის (კუ-ებ-ისა)	კუ-თ (კუ-თა)
მიც.	კუ-ს (კუ-სა)	კუ-ებ-ს (კუ-ებ-ხა)	კუ-თ (კუ-თა)
მოთხრ.	კუ-მ (კუ-მა, კუ-მან)	კუ-ებ-მა (კუ-ებ-მან)	კუ-თ (კუ-თა)
მოქმ.	კუ-თ (კუ-თა, კუ-თი)	კუ-ებ-ით (კუ-ებ-ითა)	
ცვალ.	კუ-დ (კუ-და)	კუ-ებ-ად (კუ-ებ-ადა)	
წოდ.	კუ-ო ან კუ-ზ	კუ-ებ-ო	კუ-ნო

ზოგიერთი საკუთარი სახელები, რომელნიც უცხო ენითგან არიან მიღებულნი და დაბოლოვდებიან თანხმოვანი ბგერით, მაგალ., დავით, ავთანდილ, ტარიელ, მარიამ; ხორეშან და სხვ., სახელობითს საბრუნავში ღებულობენ ი. საბოლოებელს და იბრუნებიან პირველა ბრუნავისამებრ, მხოლოდ წოდებითს საბრუნავში არ ღებულობენ შესაფერს საბოლოებელს მხოლობითის რიცხვისა და რჩებიან უსაბოლოებლოდ მაგალ., სახელი დავით ცალქე იბრუნება ამნაირად:

მხოლობითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

სახ.	დავით-ი	დავით-ებ-ი	დავით-ნი
ნათ.	დავით-ის (ა)	დავით-ებ-ის (ა)	დავით-თ (ა)
მიც.	დავით-ს (ა)	დავით-ებ-ს (ა)	დავით-თ (ა)
მოთხ.	დავით-მა (ნ)	დავით-ებ-მა (ნ)	დავით-თ (ა)
მოქმ.	დავით-ით (ა)	დავით-ებ-ით (ა)	
ცვალ.	დავით-ად (ა)	დავით-ებ-ად (ა)	
წოდ.	დავით	დავით-ებ-ო	დავით-ნო

როდესაც ასეთს საკუთარს სახელს მოსდევს გვარს სახელი, მაშინ იგი არ ღებულობს არავათარს საბოლოებელს და გვარის ბრუნავის დროს იგი რჩება უცვლელად. თანხმოვანი ბგერით დაბოლოებული საკუთარი სახელები არ ღებულობენ საბრუნავ საბოლოებლებს მაშინაც, როცა მათთან არის რომელიმე გამმარტველი სიტყვა, მაგალ., ითქმის: ვახტანგ მეექვსე, დავით ალმაშენებლის, თეიმურაზ თავ-დადებულს, ეფრემ მცირემ, ქეთევან დედოფლით, მანუჩარ მამა-სახლისად და სხვ.

ამნაირადვე არ ღებულობენ საბრუნავ საბოლოებლებს ხმოვანი ბგერით დაბოლოებული საკუთარი სახელები, როცა მათ ახლავს გვარი ან რომელიმე სხვა გამმარტველი სიტყვა. მაგალ., იტყვიან: პეტრე დიდის, გიორგი ბრწყინვალეს, შიო მღვიმელმა, ერეკლე მეორით, დუჭუ მეგრელად და სხვ.

4. ბრუნვის საზოგადო წესითგან გამონაკლისნი. ა) ქართული და უცხო საკუთარი სახელები (აღამიანებისა), უცხო გვარები და აგრეთვე ზოგიერთი ქართული გვარები, დაბოლოებულნი ა, ე, ი ბეტრებით, მაგალ., შალვა, ბიძინა, ლუკა, თომა, პეტრე, გიორგი, ალექსი, მახარე, ბართლომე, გეორგი, ჰეინრი, ზოლა, სპინოზა, ვოლესი, ვოთუა, გაბუნია, გალოგრე, მენაბდე და სხვ., თუმცა დაბოლოებით პირველს, მეორე და მესამე ბრუნვის ეკუთვნიან, მხოლობითს რიცხვში იბრუნებიან მეოთხე ბრუნვისამებრ, ე. ი. ყველა საბრუნავში ინარჩუნებენ სახელობითი საბრუნავის დაბოლოებას, როგორც ძირმსახს. ამას გარდა წოდებითს საბრუნავში არ ღებულობენ შესაფერს საბოლოებელს.

### საკუთარი სახელების ბრუნვის მაგალითები

მხოლობითი რიცხვი

სახ..	გიორგი	შალვა	პეტრე
ნათ.	გიორგი-ი-ს (ა ან ი)	შალვა-ა-ს (ა ან ი)	პეტრე-ე-ს (ა ან ი)
მიც.	გიორგი-ი-ს (ა)	შალვა-ა-ს (ა)	პეტრე-ე-ს (ა)
მოთხოვ.	გიორგი-ი-მ (ა ან ან)	შალვა-ა-მ (ა ან ან)	პეტრე-ე-მ (ა ან ან)
მოქმ.	გიორგი-ი-თ (ა)	შალვა-ა-თ (ი)	პეტრე-ე-თ (ი)
ცვალ.	გიორგი-ი-დ (ა)	შალვა-ა-დ (ა)	პეტრე-ე-დ (ა)
წოდ.	გიორგი-ი	შალვა-ა	პეტრე-ე

მრავლობითს რიცხვს აწარმოებენ საზოგადო წესით.

უცხო სახელებსა და გვარებში, რომელნიც ქართულად ი-ბგერით არიან დაბოლოებულნი, უნდა გავარჩიოთ ისეთი სახელები და გვარები, რომელნიც უცხო ენებში ბოლოვდებიან თანხმოვანი ბეტრით და ქართულად ი-დაბოლოება მიუღიათ ქართულის ენის საზოგადო თვისების გამო, რომ ყოველი სახელი ბოლოვდებოდეს ხმოვანი ბეტრით. ამისთანა საკუთარი სახელები იბრუნებიან საზოგადო წესით, როგორც ი-ბგერით დაბოლოებული არსებითი სახელები. მაგალ., მარქს-ი, ენგელს-ი, ლენინ-ი ასე იბრუნებიან, რაღაც გერმანულად პირველი ორი გვარი, ხოლო რუსულად უკანასკნელი გვარი ბოლოვდება თანხმოვანი ბეტრით: მარქს, ენგელს, ლენინ.

ბ) სახელები, როგორც საკუთარნი ისე საზოგადონი, რომელნიც უცხო ენებითგან არიან შემოსულნი დაბოლოებით აი, ეი, ოი, უი, ოა, უა, ოე, უე, იბრუნებიან იმნაირადვე როგორც ა, ე და ი ბეტრით დაბოლოებული უცხო საკუთარი სახელები, მაგალ., ჩაი, შოკეი, კონვი, ბოა და სხვ.

გ) უცხო ენითგან შემოსული საზოგადო სახელები, ორმელნიც ბოლოვდებიან ე-ბეჭრით, მაგალ., ბე, პენსნე, იუბილე, პრესპაპიი, პაპიემაშე და სხვ., მხოლობითს რიცხვში ბრუნვის დროს ე-ბეჭრას ინარჩუნებენ ყველა საბრუნავებში და ღებულობენ მეოთხე ბრუნვის საბოლოებლებს, მაგალ., ბე, ნათ. ბე-ს (ა ან ი), მიც. ბე-ს (ა), ბე-მ (ა ან ან), ბე-თ (ი), ცვალ. ბე-დ (ა), ბე-ვ (ან ო).

დ) საზოგადო სახელები, ორმელნიც წარმოებულნი არიან ი-ბეჭრით დაბოლოებული სიტყვებითგან ი-ბეჭრის ა-ბეჭრაზე შეცვლით, მხოლობითს რიცხვში იბრუნებიან ისევე, ორგორც ა-ბეჭრით დაბოლოებული საკუთარი სახელები. ასეთი სიტყვებია: **მამალ-ა** (სიტყვითგან მამალ-ი), **კუდ-ა** (სიტყვითგან კუდ-ი), **ცხვირ-ა** (სიტყვითგან ცხვირ-ი), **ბზრიალ-ა** (სიტყვითგან ბზრიალ-ი) და სხვა. მრავლობითს რიცხვში ჩვეულებრივ არ ხმარობენ ამ სიტყვებს და მჟღამ რომელსამე არსებითს სახელთან აბმენ მის გასამარტებლად. ამ შემთხვევაში ეს სიტყვები დასართავი სახელის ხასიათს ღებულობენ, უცვლელად რჩებიან და იბრუნება მხოლოდ ის არსებითი სახელი, რომელსაც ისინი ებმიან.

მხოლობითს რიცხვში ამ სიტყვების ბრუნვა მარტო იმით განსხვავდება ა-ბეჭრით დაბოლოებული საკუთარი სახელების ბრუნვისგან, ორმ წოდებითს საბრუნავში ღებულობენ შესაფერს საბოლოებელს, მაგალ., სახ. მამალ-ა, ნათ. მამალ-ა-ს (ა ან ი), მიც. მამალ-ა-ს (ა), მოთხრ. მამალ-ა-მ (ა ან ან), მოქმ. მამალ-ა-თ (ი), ცვალ. მამალ-ა-დ (ა), წოდ. მამალ-ა-ო (ან გ).

ე) საზოგადო სახელები, ორმელნიც წარმოებულნი არიან ა და ი-ბეჭრებით დაბოლოებული სიტყვებითგან ამ დაბოლოებათა ნაცვლად უნა და უკა დაბოლოებათა მიმატებით, მაგალ., კაც-უნა, ზიჭ-უნა ან ბიჭ-უკა, დათ-უნა, ღელ-უნა, მხოლობითს რიცხვში იბრუნებიან მეოთხე ბრუნვისამებრ, ე. ი. ა-ბეჭრის ინარჩუნებენ ყველა საბრუნავებში, მაგალ., სახ. კაცუნ-ა, ნათ. კაცუნ-ა-ს (ა ან ი), მიც. კაცუნ-ა-ს (ა), მოთხრ. კაცუნ-ა-მ (ა ან ან), მოქმ. კაცუნ-ა-თ (ი), წოდ. კაცუნ-ა-ო (ან გ).

ამნაირადვე იბრუნებიან საზოგადო სახელები, ორმელნიც წარმოებულნი არიან ა-ბეჭრით დაბოლოებული სიტყვებითგან ამ ბეჭრის ია, აია, აილა დაბოლოებით შეცვლით, მაგალ., ბიძ-ია (ბიძ-ა), ძამ-ია (ძმ-ა), დ-აია (დ-ა), ჩიტუნ-ია (ჩიტუნ-ა), ღათუნ-ია (ღათუნ-ა), მამაილა, ღელ-აილა, პაპ-აილა.

ვ) არსებითი სახელი ღვინო მხ. ჩ. ნათესავობითს და მოქმედებითს საბრუნავში ღებულობს პირველი ბრუნვის საბოლოებლებს, თითქოს ი-ბეჭრით ყოფილიყვეს დაბოლოებული სახელობითს საბრუნავ-

ში, მაგ., სახ. ლვინო, ნათ. ლვინ-ის (ა), მიც. ლვინო-ს (ა), მოთხრ. ლვინო-შ (ა ან ან), მოქმ. ლვინ-ით (ა), ლვინო-დ (ა), წოდ. ლვინო-ო (ან ვ).

ზ) არსებითი სახელი ხბო მრავლობითს რიცხვში ამ რიცხვის ამნიშვნელი ქვენართის წინ ღებულობს რ-ბერას, თითქოს მხოლობ. რიცხვის სახელობითს საბრუნავში ყოფილიყვეს ხბო-რ-ი, მაგალ., სახ. ხბო-რ-ებ-ი, ნათ. ხბო-რ-ებ-ის (ა), მოთხრ. ხბო-რ-ებ-მა (ნ), მოქმ. ხბო-რ-ებ-ით (ა), ცვალ. ხბო-რ-ებ-ად (ა), წოდ. ხბო-რ-ებ-ო.

ბ) არსებითი სახელი დრო ნათესავობითს და მოქმედებითს საბრუნავში იხმარება ძეველებურის ფორმითაც მხოლობით რიცხვში: დრო-ის (ა), დრო-ით (ა).

5. გრავლობითი რიცხვის ნაკვთის გრუნვა მხოლობითს და გრავლობითს რიცხვში. ზოგიერთს სიტყვებს, უმთავრესად წიგნების სახელებს, მრავლობითი რიცხვის დაბოლოება აქვსთ, მაგრამ ამის მიუხედავად იბრუნებიან თითქო დაბოლოება მხოლობითის რიცხვისა ყოფილიყვეს. მაგალ. დავითი, უამი, მარხვანი, ლოცვანი, კურთხევანი, სიტყვანი (ლექსიკონის მნიშვნელობით), წარმოებულნი სიტყვათაგან: დავითი, უამი, მარხვა, ლოცვა, კურთხევა, სიტყვა, ორსავე რიცხვში იბრუნებიან პირველი ბრუნვისამებრ, მაგალ., მხოლობითი რიცხვი, სახ. ლოცვან-ი, ნათ. ლოცვნ-ის (ა), მიც. ლოცვან-ს (ა), მოთხრ. ლოცვან-მა (ნ), მოქმ. ლოცვნ-ით (ა), ცვალ. ლოცვნ-ად (ა), წოდ. ლოცვან-ო. მრავლ. რიცხვი: სახ. ლოცვნ-ებ-ი, ნათ. ლოცვნ-ებ-ის (ა), მიც. ლოცვნ-ებ-ს (ა), მოთხრ. ლოცვნ-ებ-მა (ნ), მოქმედ. ლოცვნ-ებ-ით (ა), ცვალ. ლოცვნ-ებ-ად (ა), წოდ. ლოცვნ-ებ-ო. მეორეგვარი მრავლობითი რიცხვი: სახ. ლოცვან-ნი, ნათ., მიც. და მოთხრ. ლოცვან-თ (ა), წოდ. ლოცვან-ნო.

ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ თვითეული დასახელებულ სიტყვათაგანი, გრამატიკულად მრავლობითს რიცხვში მყოფი, აღნიშნავს ერთს საგანს.

ამნაირსავე მოვლენას, თუმცა ნაკლებ საჟუქვლიანს, წარმოადგენს ხმარება სიტყვისა კარი ორკეცის დაბოლოებით მრავლობითს რიცხვში. ამბობენ კარ-ებ-ებ-ი, კარ-ებ-ებ-ის, კარ-ებ-ებ-ს, კარ-ებ-ებ-მა და სხვ., რადგან ჰგონიათ, რომ კარ-ებ-ი მხოლობითი რიცხვია, რაიცა შეცდომაა: კარ-ებ-ი აღნიშნავს არა ერთს, არამედ ორს ან მეტს კარს.

6. გვარეულობის ან ოჯახის სახელი. მთელი გვარეულობის ან ოჯახის სახელს ამიერ-საქართველოში ხალხი მეორეგვარ მრავლობითს რიცხვში ხმარობს. ამბობენ: ტლაშაან-ნი, კობიაან-ნი, ციცა-

ან-ნი, ჯომარდიან-ნი, ჩივაან-ნი, როდესაც უნდათ ტლაშაძეების, კობიაშვილების, ციციშვილების, ჯომარდიძეების, ჩივაძეების გვარეულობა ან ოჯახი აღნიშნონ. ამ სახელების ნათესავობითი, მიცებითი და მოთხოვობითი საბრუნავია: ტლაშაან-თ (ა), კობიაან-თ (ა), ციციან-თ (ა), ჯომარდიან-თ (ა), ჩივაან-თ (ა), წოდებითი საბრუნავია: ტლაშაან-ნო, კობიაან-ნო, ჯომარდიან-ნო, ჩივაან-ნო.

ცხადია, ოდესმე ხმარებული უნდა ყოფილიყო ამ სახელების მხოლობითი რიცხვის ფორმაც: ტლაშაან-ი, კობიაან-ი, ციციან-ი, ჯომარდიან-ი, ჩივაან-ი. დღეს ეს ფორმა მხოლოდ ზოგიერთი გვარეულობის სახელს აქვს შენარჩუნებული, მაგალ., ყიფიან-ი, ორბელიან-ი, იოსელიან-ი, გულბაან-ი (სვანეთში) და სხვ. უმეტეს შემთხვევაში გვარეულობის სახელი ხალხს დაუბოლოვებია ან-ის მაგიერ შვილით და ძით. მრავლობითს რიცხვში კი ძეელი ფორმა დახსომებია და კიდეც ხმარობს ყველა გვარეულობის სახელში ამნაირად: ძით და შვილით დაბოლოებულს გვარებში ჰკეცს ძეს და შვილს და ამ სიტყვების მაგიერ უმატებს დაბოლოებას ან-ნი. მაგალ., ხმალა-ძე იძლევა ფორმას ხმალა-ან-ნი, თაქთაქი-შვილი—თაქთაქი-ან-ნი. სხვა დაბოლოების მქონე გვარებში ეს დაბოლოება (ან-ნი) ემატება პირ დაპირ გვარის სახელის ნაკვთს, მაგალ., წერეთელი—წერეთლი-ან-ნი, ბიბილური—ბიბილური-ან-ნი, აბხაზი—აბხაზი-ან-ნი.

ხანდახან ძით და შვილით დაბოლოებული გვარის სახელითგანაც აწარმოებენ ამ ფორმას ძისა და შვილის მოუკვეცავად, რაიცა მოასწავებს ხალხისაგან ძველის წესის შეგნების დაკარგვას. მაგალ., იტყვიან: ჭავჭავაძი-ან-ნი, იაშვილი-ან-ნი, თუმცა წესით უნდა ითქვას: ჭავჭავა-ან-ნი, ია-ან-ნი.

იანით და აანით დაბოლოებული გვარის სახელები, როგორც ძველის ფორმის დაბოლოების უკვე მქონებელნი, მთელის გვარეულობის ან ოჯახის აღსანიშნავად მრავლობითს რიცხვს ჩვეულებრივის წესით აწარმოებენ მეორეგვარი მრავლობითი რიცხვის საბოლოებლების მიმატებით, მაგალ., იოსელიან-ნი, იოსელიან-თ (ა), იოსელიან-ნო; ორბელიან-ნი, ორბელიან-თ (ა), ორბელიან-ნო; ყიფიან-ნი, ყიფიან-თ (ა), ყიფიან-ნო; გულბაან-თ (ა), გულბაან-ნო.

7. ძირის ცვლა ბრუნვაში. ზოგიერთი არსებითი სახელები ბრუნვის დროს იცვლიან ძირს მით, რომ სიტყვის ძირის უკანასკნელი მარცვლის ხმოვან ბეერას უშვებენ ან სხვა ბეერაზე სცვლიან მაგალ., წყალ-ი ნათესავობითს საბრუნავში იქნება წყლ-ის (ა), მტერ-ი—მტრ-ის (ა), ობოლ-ი—ობლ-ის (ა), მინდორ-ი—მინდვრ-ის (ა), ნიორ-ი—ნივრ-ის (ა). ასე შეცვლილი ძირი რჩება მხოლობითი რიცხვის.

ნათესავობითს, მოქმედებითს და ცვალებითს საბრუნავში და პირველ-გვარის მრავლობითი რიცხვის ყველა საბრუნავებში.

ძირითგან უკანასკნელს ხმოვანს უშვებენ ის სიტყვები, რომლების დაბოლოება არის: ალი, ელი, ოლი, ამი, ემი, ომი, ანი, ენი, ონი, არი, ერი, ორი, ავი, მაგალ., წყალ-ი—წყლ-ის(ა), მგელ-ი—მგლ-ის(ა), ობოლ-ი—ობლ-ის(ა), ქათამ-ი—ქათმ-ის(ა), ურემ-ი—ურმ-ის(ა), დიღომ-ი—დიღმ-ის(ა), ლატან-ი—ლატნ-ის(ა), ბრძენ-ი—ბრძნ-ის(ა), საპონ-ი—საპნ-ის(ა), მხარ-ი—მხრ-ის(ა), მჭერ-ი—მჭრ-ის(ა), გოდორ-ი—გოდრ-ის(ა), ნაგავ-ი—ნაგვ-ის(ა):

ძირში უკანასკნელ ხმოვანს სცვლიან ვ-ბგერაზე ის სიტყვები, რომელთაც აქვსთ დაბოლოება: ოჭი, ონი, ორი, მაგალ., ნიგოზ-ი—ნიგზ-ის(ა), მაწონ-ი—მაწნ-ის(ა), მინდორ-ი—მინდვრ-ის(ა).

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ძირის ცვლა ყველა იმ სიტყვებში კი არ ხდება, რომელთაც ჩამოთვლილი დაბოლოებანი აქვსთ, არამედ ზოგიერთებში.

## ძირცვალებადი სიტყვების ბრუნვის მაგალითები

1246

მხლობითი რიცხვი

სახ.	წყალ-ი	მტერ-ი	ობოლ-ი	მინდორ-ი
ნათ.	წყლ-ის(ა)	მტრ-ის(ა)	ობლ-ის(ა)	მინდვრ-ის(ა)
მიც.	წყალ-ს(ა)	მტერ-ს(ა)	ობოლ-ს(ა)	მინდორ-ს(ა)
მოთხ.	წყალ-მა(ნ)	მტერ-მა(ნ)	ობოლ-მა(ნ)	მინდორ-მა(ნ)
მოქმ.	წყლ-ით(ა)	მტრ-ით(ა)	ობლ-ით(ა)	მინდვრ-ით(ა)
ცვალ.	წყლ-აღ(ა)	მტრ-აღ(ა)	ობლ-აღ(ა)	მინდვრ-აღ(ა)
წოდ.	წყალ-ო	მტერ-ო	ობოლ-ო	მინდორ-ო

მრავლობითი რიცხვი (პირველგარი)

სახ.	წყლ-ებ-ი	მტრ-ებ-ი	ობლ-ებ-ი	მინდვრ-ებ-ი
ნათ.	წყლ-ებ-ის(ა)	მტრ-ებ-ის(ა)	ობლ-ებ-ის(ა)	მინდვრ-ებ-ის(ა)
მიც.	წყლ-ებ-ს(ა)	მტრ-ებ-ს(ა)	ობლ-ებ-ს(ა)	მინდვრ-ებ-ს(ა)
მოთხ.	წყლ-ებ-მა(ნ)	მტრ-ებ-მა(ნ)	ობლ-ებ-მა(ნ)	მინდვრ-ებ-მა(ნ)
მოქმ.	წყლ-ებ-ით(ა)	მტრ-ებ-ით(ა)	ობლ-ებ-ით(ა)	მინდვრ-ებ-ით(ა)
ცვალ.	წყლ-ებ-აღ(ა)	მტრ-ებ-აღ(ა)	ობლ-ებ-აღ(ა)	მინდვრ-ებ-აღ(ა)
წოდ.	წყლ-ებ-ო	მტრ-ებ-ო	ობლ-ებ-ო	მინდვრ-ებ-ო

მეორეგვარს მრავლობითს რიცხვში სიტყვების ძირი უცვლელად ჩეჩბა.

1246 1247 1248 1249

ძირის უკანასკნელი მარცვლის ხმოვან ბგერას უშვებს აგრეთვე სიტყვა ქვეყანა-ა, მაგ., მხოლ. რ. ნათ. ქვეყნ-ის(ა), მოქმ. ქვეყნ-ით(ა), ცვალ. ქვეყნ-ად(ა). მრავლ. რ. სახ. ქვეყნ-ებ-ი, ნათ. ქვეყნ-ებ-ის(ა), მიც. ქვეყნ-ებ-ს(ა) და სხვ.

8. გრუვაზი ართმანირთის დამხმარე სიტყვები. ორი სიტყვა ღმერთი და წელიწადი, თუმც თავის საკუთარს საბრუნავებსაც აწარმოებს, მაგრამ ჩვეულებრივ ზოგიერთს საბრუნავებს სხვა ერთმნიშვნელოვანის სიტყვებისგან სესხულობს. ეს სიტყვები არიან ღვთა და წელი:

ბრუნვა სიტყვებისა ღმერთი და წელიწადი:

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ღმერთი	წელიწადი
ნათ.	ღმერთ-ის(ა) ან ღვთ-ის(ა)	წელიწად-ის(ა) ან წლ-ის(ა)
მიც.	ღმერთ-ს(ა)	წელიწად-ს(ა)
მოთხ.	ღმერთ-მა(ნ)	წელიწად-მა(ნ)
მოქმ.	ღმერთ-ით(ა) ან ღვთ-ით(ა)	წელიწად-ით(ა) ან წლ-ით(ა)
ცვალ.	ღმერთ-ად(ა) ან ღვთ-ად(ა)	წელიწად-ად(ა) ან წლ-ად(ა)
წოდ.	ღმერთ-ო	წელიწად-ო.

მრავლობითს რიცხვში ღმერთი არ იშველიებს ღვთის ნაკვთებს, ხოლო წელიწადის ნაკვთების მაგიერ ჩვეულებრივ წლის ნაკვთები იხმარება.

მწერლობაში, როგორც ძველში ისე აწალში, ღმერთი ძირცვალებადია. იხმარება მხოლობითის რიცხვებს ნათ., მოქმ. და ცვალ. საბრუნავის ნაკვთები: ღმრთ-ის(ა), ღმრთ-ით(ა), ღმრთ-ად(ა). ხალხმა არ იცის ეს ნაკვთები და ხსენებულს საბრუნავებში ძირშეუცვლელად შმარობს: ღმერთ-ის(ა), ღმერთ-ით(ა), ღმერთ-ად(ა), ღმერთ-ებ-ი, ღმერთ-ებ-ის(ა), ღმერთ-ებ-ს(ა) და სხვ. ის გარემოება, რომ მწერლობაში არ გვხვდება ეს სიტყვა ძირნაცვალი მრავლობითს რიცხვში, იმის მომასწავებელია, რომ მისი ძირცვალებადობა ხელოვნურია.

## თავი მესამე

დასართავი სახელი.

1. სხვადასხვაგვარი დასართავი სახელი. დასართავი სახელი აღნიშნავს:

ა) საგნის შინაგანს თვისებას ან ვითარებას, მაგალ., კეთილი, ტკბილი, მწარე, მაგარი, რბილი, მტკიცე.

ბ) საგნის გარეგანს თვისებას ან ვითარებას, მაგალ., შრგვალი, ყვითელი, მახინჯი, ლამაზი.

გ) საგნის დანიშნულებას ან კუთნებას, მაგალ., სასოფლო, საზოგადო, საბრალო, საწყალი, სამტრო, საძმო.

დ) რომელიმე საგნის ან თვისების ქონებას, მაგალ., კუდიანი, შაქრიანი, ხმიანი, წყლიანი, ტყიანი, კლდოვანი, ცხენოსანი, წვეროსანი.

ე) ადგილს, სადაც საგანი იპოვება ან საითგანაც არის, მაგალ., სოფლელი, სოფლური, ქალაქელი, ქალაქური, კახელი, კახური, იმერელი, იმერული, ჩვენებური, თქვენებური, კაცთაგანი, მხეცოაგანი, ჩვენთაგანი, უცხოთაგანი.

ვ) მსგავსებას რომელსამე საგანთან, მაგალ., მხეცური, ადამიანური, კანონიერი.

ზ) დროს, რომელსაც ეკუთვნის საგანი, მაგალ., დღევანდელი, გუშინდელი, შარშანდელი, წრევანდელი.

ც) რისამე უქონელს ან მოქლებულს, მაგალ., უშნო, უჰქუო, უგუნური, ურცხვი, კუდა, ცხვირა.

ადგილის მაჩვენებელი დასართავი სახელები, რომელთაც აქვთ ორნაირი დაბოლოება—ელი და ური (ული), ელით დაბოლოებულები იხმარებიან ადამიანთა სადაურობის აღსანიშნავად, ურით (ულით) დაბოლოებულები არა-აღამიანთა აღსანიშნავად, მაგალ., კახელი კაცი, კახური ლორი, კახური ლვინო, პარტიელი მწერალი, პარტიული გაზეთი, თუმცა ხალხი საქართველოს ყველა კუთხეში არ იცავს ამ წესს.

2. დასართავი სახელების გრუნვა. დასართავი სახელი იბრუნება ისევე როგორც არსებითი სახელი.

დასართავი სახელების ბრუნვის მაგალითები:

**პირველი ბრუნვა.** მხოლ. რიცხვი: ტკბილი, ტკბილის(ა), ტკბილს(ა), ტკბილმა(ნ), ტკბილით(ა), ტკბილად(ა), ტკბილო. მრავლ. რიცხვი: ტკბილები, ტკბილების(ა), ტკბილებს(ა), ტკბილებმა(ნ), ტკბილებით(ა), ტკბილებად(ა), ტკბილებო. მეორეგვარი მრავლ. რიცხვი: ტკბილნი, ტკბილთ(ა), ტკბილნო.

**მეორე ბრუნვა.** მხოლ. რიცხვი: ბრმა, ბრმის(ა), ბრმას(ა). ბრმამ(ა, ან), ბრმით(ა), ბრმად(ა), ბრმაო ან ბრმავ. მრავლ. რიცხვი: ბრმები, ბრმების(ა), ბრმებს(ა), ბრმებმა(ნ), ბრმებით(ა), ბრმებად(ა), ბრმებო. მეორეგვარი მრავლ. რიცხვი: ბრმანი, ბრმათ(ა), ბრმანო.

**მესამე ბრუნვა.** მხოლ. რიცხვი: მხნე, მხნის(ა), მხნეს(ა), მხნემ(ა, ან), მხნით(ა), მხნედ(ა), მხნეო ან მხნევ. მრავლ. რიცხვი: მხნები, მხნების(ა), მხნებს(ა), მხნებმა(ნ), მხნებით(ა), მხნებად(ა), მხნებო. მეორეგვარი მრავლ. რიცხვი: მხნენი, მხნეთ(ა), მხნენო.

**მეოთხე ბრუნვა:** ა) პ.ი რველი მაგალითი. მხოლ. რიცხვი: საბრალო, საბრალოს(ა, ი), საბრალოს(ა), საბრალომ(ა, ან). საბრალოთ(ა, ი), საბრალოდ(ა), საბრალოო ან საბრალოვ. მრავლ. რიცხვი: საბრალოები, საბრალოების(ა), საბრალოებს(ა), საბრალოებმა(ნ), საბრალოებით(ა), საბრალოებად(ა), საბრალოებო. მეორეგვარი მრავლ. რიცხვი: საბრალონი, საბრალოთ(ა), საბრალონო. ბ) მეორე მაგალითი, მხოლ. რიცხვი: ბლუ, ბლუს(ა, ი), ბლუს(ა), ბლუმ(ა, ან), ბლუთ(ი), ბლუდ(ა), ბლუო ან ბლუვ. მრავლ. რიცხვი: ბლუები, ბლუების(ა), ბლუებს(ა), ბლუებმა(ნ), ბლუებით(ა), ბლუებად(ა), ბლუებო. მეორეგვარი მრავლ. რიცხვი: ბლუნი, ბლუთ(ა), ბლუნო.

**შენიშვნა:** დასართავი სახელებშიაც ცვალებითი საბრუნვა ვის საბოლოებელის და-ბგერა ხშირად თ-ბგერად იქცევა.

დასართავი სახელები, რომლებიც არიან წარმოებულნი არსებით თის ან დასართავის სახელისაგან ი-საბოლოებელის: ა-საბოლოუბელით შეცვლით, იბრუნებიან არა მეორე ბრუნვისამებრ, არამედ მეოთხე ბრუნვისამებრ, ე. ი. ყველა საბრუნავში ა-საბოლოებელი რჩება. სიტყვის ძირშისახად და ემატება მეოთხე ბრუნვის საბრუნავი საბოლოებელით, მაგალ. კუდა კბილა, წაბლა, კუდგრძელა, შავთვალაჭუელა, შავთვალაჭუელა, შავწარბა.

აგრეთვე იბრუნებიან ის რთული დასართავი სახელები, რომლებსა შიც ბოლო სიტყვა დაბოლოებულია ა-ბგერით, მაგალ., შავლოყა, შავთმზა,

მსგავსადვე იბრუნებიან ის დასართავი სახელები, რომლებსაც  
აქვთ დაბოლოება ია, მაგალ., ჭიშია, გრეხია, ცუცია, ტაბ-  
ვია, ავეია, კატაპარია, ყველიჭამია, დოსკლებია და სხვ.

დასართავი სახელი კაი, რომელიც არის შემოქლებული კარგი,  
იბრუნება აგრეთვე მეოთხე მრუნვისამებრ, ე. ი. ი-საბოლოებელი  
რჩება უცვლელად ყველა საბრუნავებში როგორც ძირმსახი და ემა-  
ტება მეოთხე ბრუნვის საბოლოებლები. წოდებითი საბრუნავი არა  
აქვს.

აქ ჩამოთვლილი თავისებურად მბრუნავი დასართავები ცალკე  
არ იხმარებიან მრავლობითს რიცხვში, თუმცა ებმიან კი მრავლობით  
რიცხვში მყოფ არსებითს სახელებს. გამონაცლის შეადგენენ მხოლოდ  
ია-დაბოლოების მქონე დასართავი სახელები, რომლებიც მრავლო-  
ბითს რიცხვშიაც იხმარებიან საზოგადო წესით წარმოებულნი.

ი და ა-საბოლოებელის მქონე თავისებურად მბრუნავი დასარ-  
თავი სახელების ბრუნვის მაგალითები:

**სახ.** კა-ი, კბილ-ა, ყელყელ-ა, შავლოყ ა, გრეხი-ა. **ნათ.** კა-ი-ს(ა),  
კბილ-ა-ს(ა, ი), ყელყელ-ა-ს(ა, ი), შავლოყ-ა-ს(ა, ი), გრეხი-ა-ს(ა, ი).  
**მოც.** კა-ი-ს(ა), კბილ-ა-ს(ა), ყელყელ-ა-ს(ა), შავლოყ-ა-ს(ა), გრეხი-ა-ს(ა).  
**მოთხრ.** კა-ი-მ(ა, ან), კბილ-ა-მ(ა, ან), ყელყელ-ა-მ(ა, ან), შავლოყ-ა-მ  
(ა, ან), გრეხი-ა-მ(ა, ან). **მოქმ.** კა-ი-თ(ა), კბილ-ა-თ(ი), ყელყელ-ა-თ(ი),  
შავლოყ-ა-თ(ი). **ცვალ.** კა-ი-ღ(ა), კბილ-ა-ღ(ა), ყელყელ-ა-ღ(ა), შავ-  
ლოყ-ა-ღ(ა), გრეხი-ა-ღ(ა). **წოდ.** კბილ-ა-ო(ან ვ), ყელყელ-ა-ო(ან ვ),  
შავლოყ-ა-ო(ან ვ), გრეხი-ა-ო(ან ვ).

როგორც ვთქვით, ია-დაბოლოების მქონე დასართავები მრავ-  
ლობითს რიცხვში იბრუნებიან საზოგადო წესით, მაგალ., სახ. გრეხი-  
ებ-ი, ნაი. გრეხი-ებ-ის(ა), მიც. გრეხი-ებ-ს(ა), მოთხ. გრეხი-  
ებ-მა(წ), მოქმ. გრეხი-ებ-ით-(ა), ცვალ. გრეხი-ებ-აღ(ა), წოდ. გრეხი-  
ებ ო.

**3. დასართავი სახელის გრუნვა, როცა არსებით სახელთან  
არის გადაჯგული.** თუ დასართავი სახელი არსებით სახელთან არის  
გადაბმული წინიდან, როგორც მისი გამმარტველი, მაშინ ა, ე, ო, უ  
ბგერებით დაბოლოებული რჩება სრულებით უცვლელად ორსავე  
რიცხვში და ყველა საბრუნავში მხოლობითი რიცხვის სახელო-  
ბითი საბრუნავის სახით, მაგალითად: მხოლობითი რიცხვი, სახ.  
**ბრმა** კაცი, მხნე ქალი, სამადლო საქმე, ყრუ ბავშვი, ნათ. **ბრმა** კა-  
ცის(ა), მხნე ქალის(ა), სამადლო საქმის(ა), ყრუ ბავშვის(ა), მიც.  
**ბრმა** კაცს(ა), მხნე ქალს(ა), სამადლო საქმეს(ა), ყრუ ბავშვს(ა),

მოთხ. ბრმა კაცმა(ნ), მხნე ქალმა(ნ), სამადლო საქმემ(ა ან ან), ყრუ ბავშვმა(ნ) და სხვ. მრავლობითი რიცხვი, სახ. ბრმა კაცები, მხნე ქალები, სამადლო საქმეები, ყრუ ბავშვები, ნათ. ბრმა კაცების(ა) მხნე ქალების(ა), სამადლო საქმეების(ა), ყრუ ბავშვების(ა), მიც. ბრმა კაცებს(ა), მხნე ქალებს(ა), სამადლო საქმეებს(ა), ყრუ ბავშვებს(ა) და სხვ. მეორეგვარი მრავლობითი რიცხვი, სახ. ბრმა კაცნი, მხნე ქალნი, სამადლო საქმენი, ყრუ ბავშვნი, ნათ., მიც. და მოთხრ. ბრმა კაცთა, მხნე ქალთა, სამადლო საქმეთა, ყრუ ბავშვთა, წოდ. ბრმა კაცნო, მხნე ქალნო, სამადლო საქმენო, ყრუ ბავშვნო.

ი-ბგერით დაბოლოებული დასართავი სახელები არსებით სახელებთან გადაბმის დროს ინარჩუნებენ საბრუნავ საბოლოებლებს ან მთლად ან მოკვეცით. ამასთან დასართავი სახელი მოქმედებითს საბრუნავში ნათესავობითი საბრუნავის საბოლოებელს იღებს, ხოლო ცვალებითს საბრუნავში—მიცემითი საბრუნავის საბოლოებელს. მრავლობით რიცხვში მყოფ არსებით სახელთან დასართავი სახელი რჩება შხოლობითს რიცხვში. მხოლოდ რიცხვით არსებითი სახელი მეორეგვარს მრავლობითს რიცხვში იბრუნება.

არსებით სახელთან ი-ბგერით დაბოლოებული დასართავი სახელის გადაბმის მაგალითი:

	მხოლობ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
სახ.	ტკბილ-ი სიტყვა	ტკბილ-ი სიტყვები
ნათ.	ტკბილ-ი(ს ან სა) სიტყვის(ა)	ტკბილ-ი(ს ან სა) სიტყვების(ა)
მიც.	ტკბილ-(ს ან სა) სიტყვას(ა)	ტკბილ-(ს ან სა) სიტყვებს(ა)
მოთხ.	ტკბილ-მა(ნ) სიტყვად(ა ან ან)	ტკბილ-მა(ნ) სიტყვებმა(ნ)
მოქმ.	ტკბილ-ი(ს ან სა) სიტყვით(ა)	ტკბილ-ი(ს ან სა) სიტყვებით(ა)
ცვალ.	ტკბილ-(ს ან სა) სიტყვად(ა)	ტკბილ-(ს ან სა) სიტყვებად(ა)
წოდ.	ტკბილ-ო სიტყვაო (ან ვ)	ტკბილ-ო სიტყვებო

შეორეგვარი მრავლ. რიცხვი: სახ. ტკბილ-ნი სიტყვანი, ნათ., მიც. და მოთხრ. ტკბილ-(თ ან თა) სიტყვათ(ა), წოდ. ტკბილ-ნო სიტყვანო.

**შენიშვნა:** დასართავი სახელი კარ, არსებით სახელთან გადაბმული, შეუცვლელად რჩება ორსავე რიცხვში ბრუნვის დროს.

ახალს მწერლობაში და საუბარში დასართავი სახელი ჩვეულებრივ წინიდან ებმის არსებით სახელს. მხოლოდ იშვიათად მოჰყვება

ხოლმე არსებითს სახელს ძველის მწერლობის მიხედულობით. ძველად კი დასართავი სახელი, როდესაც გადაებმებოდა ხოლმე არსებითს სახელს წინიდან თუ ბოლოდან, საბრუნავების სრულის საბოლოებლებით ეთანხმებოდა. მაგალ., სწერლენენ: მხოლ. რიცხვი: სახ. ბრმა კაცი, ნათ. ბრმის(ა) კაცის(ა), მიც. ბრმას(ა) კაცს(ა), მოთხრ. ბრმამ(ა, ან) კაცმა(ნ), მოქმ. ბრმით(ა) კაცით(ა), ცვალ. ბრმაღ(ა) კაცაღ(ა), წოდ. ბრმაო კაცო. მრავლ. რიცხვი: სახ. ბრმანი კაცნი, ნათ., მიც. და მოთხრ. ბრმათა კაცთა, წოდ. ბრმანო კაცნო.

შეგრუნებული გადაბმის მაგალითი: მხოლ. რიცხვი: სახ. კაცი ბრმა, ნათ. კაცის(ა) ბრმის(ა), მიც. კაცს(ა) ბრმსს(ა), მოთხრ. კაცმა(ნ) ბრმამ(ა, ან), მოქმ. კაცით(ა) ბრმით(ა), ცვალ. კაცაღ(ა) ბრმაღა(ა), წოდ. კაცო ბრმაო ან ბრმავ. მრავლ. რიცხვი: სახ. კაცნი ბრმანი, ნათ., მიც. და მოთხრ. კაცთა(ა) ბრმათ(ა), წოდ. კაცნო ბრმანო.

ახალს მწერლობაში და საუბარში, როდესაც დასართავი სახელი გადაბმულია არსებით სახელთან, ხშირად უმართებულოდ ჰკვეცენ ი-ბერით დაბოლოებული დასართავი სახელების საბოლოებლებს ნათესავობითს, მოთხრობითს და მოქმედებითს საბრუნავებში. მაგალ., ამბობენ და სწერენ კიღეც: შავ ფერის, შავ ფერმა, შავ ფერით, თეთრ კბილების, თეთრ კბილებმა, თეთრ კბილებით.

არის აგრეთვე მეორენაირი უმართებულობა, როდესაც არსებით სახელთან გადაბმული დასართავი სახელის სახელობითი საბრუნავის საბოლოებელი ი უცვლელად ჩერება მიცემითს, მოთხრობითს და ცვალებითს საბრუნავებში. მაგალ., ამბობენ და სწერენ: იძულებითი პასუხს, იძულებითი პასუხმა, იძულებითი პასუხად, იძულებითი პასუხებს, იძულებითი პასუხებმა, იძულებითი პასუხებად.

ორივე ეს უმართებულობა აიხსნება ენის მისწრაფებით, რომ ი-ბერით დაბოლოებული დასართავი სახელები ისევე უცვალებელი გახადოს არსებით სახელთან ერთად გადაბმით ბრუნვის დროს, როგორც უცვალებელნი არიან ამ შემთხვევაში სხვა ხმოვანებით დაბოლოებული დასართავი სახელები. უნდა ითქვას, რომ შეორე უმართებულობა უფრო ლოლიკური და ენის ბუნების შესაფერისია ვიდრე პირველი.

4. ასევე სახელის ნათესავთაშითი საგრუნავის ნაკვთი, დასართავად ჩცეული. არსებითი სახელის ნათესავობითი საბრუნავის ნაკვთი როგორც მხოლობითს ისე მრავლობითს რიცხვში ძველს მწერლობაში და ხანდახან ახალ მწერლობაში და საუბარშიც დასართავი სახელის ხასიათს ღებულობს, განიხილება როგორც სახელობითის საბრუნავის ნაკვთი და როგორც ასეთი იბრუნება ყველა საბრუნავში და რიცხვში. მაგალითად:

მხოლ. რიცხ.	მრავლ. რიც.	მეორეგვარი მრავლ. რ.	
სახ.	მამის-ა	მამის-ებ-ი	მამისა-ნი
ნათ.	მამის-ა-ისა (მამის-ა-სა)	მამის-ებ-ისა	მამისა-თა
მიც.	მამის-ა-სა	მამის-ებ-სა	მამისა-თა
მოთხ.	მამის-ა-მ(ა ან ან)	მამის-ებ-მა(ნ)	მამისა-თა
მოქმ.	მამის-ა-ითა(მამის-ა-თა)	მამის-ებ-ით(ა)	
ცვალ.	მამის-ა-დ(ა)	მამის-ებ-ად(ა)	
წოდ.	მამის-ა-ო(ან ვ)	მამის-ებ-ო	მამისა-ნო

მეორე მაგალითი

მხოლ. რიცხ.	მრავლ. რ.	მეორეგვარი მრავლ. რიცხ.	
სახ.	მამების-ა	მამების-ებ-ი	მამებისა-ნი
ნათ.	მამების-ა-ისა(მამების-ა-სა)	მამების-ებ-ისა	მამებისა-თა
მიც.	მამების-ა-სა	მამების-ებ-სა	მამებისა-თა
მოთხრ.	მამების-ა-მა(ნ)	მამების-ებ-მა(ნ)	მამებისა-თა
მოქმ.	მამების-ა-ითა(მამების-ა-თა)	მამების-ებ-ით(ა)	
ცვალ.	მამების-ა-დ(ა)	მამების-ებ-ად(ა)	
წოდ.	მამების-ა-ო(ან ვ)	მამების-ებ-ო	მამებისა-ნო

მეორე მაგალითი. მხოლ. რიცხ. სახ. მამათ-ა, ნათ. მამათ-ა-ისა (მამათ-ა-სა), მიც. მამათ-ა-სა, მოთხ. მამათ-ა-მა(ნ), მოქმ. მამათ-ა-ითა (ან თა), ცვალ. მამათ-ა-დ(ა), წოდ. მამათ-ა-ო(ან ვ). მრავლ. რიცხვი: სახ. მამათა-ნი, ნათ., მიც. და მოთხრ. მამათა-თა, წოდ. მამათა-ნო.

დასართავად ქცეული არსებითი სახელის ნათესავობითი საბრუნვაის ნაკვთი ებმის სხვა არსებითს სახელს გამშარტველად, იჭერს აღგილს მის შემდეგ და ეთანხმება მას როგორ საბრუნვით ისე რიცხვით, მაგალითად:

მხოლობითი რიცხვი: სახ. სიტყვა მამის-ა, თქმა ზმების-ა, საქმე მართალთ-ა. ნათ. სიტყვისა მამის-ა-ისა(ან სა), თქმისა ზმების-ა-ისა (ან სა), საქმისა მართალთ-ა-ისა(ან სა). მიც. სიტყვასა მამის-ა-სა, თქმასა ზმების-ა-სა, საქმესა მართალთ-ა-სა. მოთხრ. სიტყვამან მამის-ა-მან, თქმამან ზმების-ა-მან, საქმემან მართალთ-ა-მან. მოქმ. სიტყვითა მამის-ა-ითა(ან თა), თქმითა ზმების-ა-ითა(ან თა), საქმითა მართალთ-ა-ითა (ან თა). ცვალ. სიტყვად(ა) მამის-ა-დ(ა), თქმად(ა) ზმების-ა-დ(ა), საქმედ(ა) მართალთ-ა-დ(ა). წოდ. სიტყვა-ო(ან ვ) მამის-ა-ო(ან ვ), თქმა-ო(ან ვ) ზმების-ა-ო(ან ვ), საქმე-ო(ან ვ) მართალთ-ა-ო(ან ვ).

მრავლობითი რიცხვი: სახ. სიტყვა-ნი მამისა-ნი, თქმა-ნი ზმე-ბისა-ნი, საქმე-ნი მართალთა-ნი. ნათ., მოც., მოთხრ. სიტყვა-თა მამი-სა-თა, თქმა-თა ზმებისა-თა, საქმე-თა მართალთა-თა. წოდ. სიტყვა-ნო მამისა-ნო, თქმა-ნო ზმებისა-ნო, საქმე-ნო მართალთა-ნო.

5. ხარისხები. რაღან ერთი და იგივე თვისება: ხშირად ერთს საგანს უფრო მეტად აქვს ვიდრე მეორეს, ამიტომ ქართულს ენას შეუმუშავებია მეტობის ამნიშვნელი ფორმები დასართავის სახელუბი-სა. მაგალ., დასართავი სახელი ლამაზი აღნიშნავს საგნის სილამა-ზეს სხვა საგნების სილამაზესთან შეუდარებლად. ხოლო თუ ერთს სა-განს სილამაზე მეტი აქვს, ვიდრე მეორეს, მაშინ ვატყვით, რომ ეს საგანი მეორე საგანთან შედარებით ულამაზესია, რაიცა ნიშნავს უფრო ლამაზს. ამნაირად ერთისა და იმავე სიტყვის ამ ორის ფორ-მით გამოიჩატება თვისების ორი ხარისხი: დადებითი, ე. ი. თვისება სხვა საგნების იმავე თვისებასთან შეუდარებლად, და აღმატებითი, ე. ი. თვისება იმაზე მომეტებული რაც სხვა საგანს აქვს.

აღმატებითი ხარისხის ფორმის საწარმოებლად ი, ა. რა უ ბგე-რით დაბოლოებული დასართავი სახელის ძირს ემატება ზენართი უ და ქვენართი ესი, მაგალ., ძრიელ-ი—უ-ძრიელ-ესი, ცხელ-ი—უ-ცხელ-ესი, ბრელ-ი—უ-ბრელ-ესი, ბრმ-ი—უ-ბრმ-ესი, მხნ-ე—უ-მხნ-ესი, ღ და უ ბგერით დაბოლოებულს დასართავს სახელებში კი პირდაპირ სახელობითი საბრუნავის, ნაკვთს, მაგალ., საბრალო—უ-საბრალო-ესი, ყრუ—უ-ყრუ-ესი.

ზოგიერთი დასართავი სახელი აღმატებითს. ხარისხს ცოტაო-დენის განსხვავებით აწარმოებს, მაგალ., კეთილი—უ-კეთ-ესი (კარ-გის მნიშვნელობით), ტკბილი—უ-ტკბ-ესი, მცირე (წლოვანობით)—უ-მცრ-ოსი, მსხვილი—უ-მსხ-ოსი, გრძელი—უ-გრძ-ესი, ზენა—უ-ზენა-ესი, ქვენა—უ-ქვენა-ესი.

არის რამდენიმე დასართავი სახელი მხოლოდ აღმატებითი ხა-რისხის ფორმით, მაგალ., უ-ფრ-ოსი, უ-პირატ-ესი, უ-არ-ესი, უ-ალ-ესი, უ-ადრ-ესი.

ახალს მწერლობაში და საუბარში ხშირად აღმატებითი ხარის-ხის ფორმის მაგიერ იხმარება დადებითი ხარისხის ფორმა წინ მიმა-ტებით. სიტყვისა უფრო, მაგალ., ულამაზესი=უფრო ლამაზი; უდი-დესი=უფრო დიდი; უმწარესი=უფრო მწარე.

უცხო ენებში არსებული ეგრე წოდებული აღმატებული ხარის-ხის (superlativus) ცალკე ფორმა ქართულში არ არსებობს. ეს ხარი-სხი ქართულად გამოითქმება დადებითი ხარისხის ფორმაზე დამატე-ბით სიტყვებისა: ფრიად, ძალიან, მეტად, უალრესად და სხვ. ზო-

გიერთი ქართველი გრამატიკოსი აღმატებული ხარისხის ფორმას აწარმოებს აღმატებითის (რომელსაც ისინი ეძახიან შედარებითს) ხარისხის ფორმისთვის თავში უ ზენართის მიმატებით, მაგალ., უ-უ-დიდ-ესი, უ-უ-ძნელ-ესი, უ-უ-ძვირ-ესი. ესეთი წარმოება ხელოვნურია და ეუცხოვება როგორც ძელს მწერლობას ისე ახლანდელს სასაუბრო ენას. ეს ხელოვნური ფორმა შემოიღო ანტიკ კათოლიკოზმა ევროპულის ენების მიბაძით.

6. დასართავი სახელების ძირის ცვლა ბრუნვაში. ზოგიერთი დასართავი სახელები, როდესაც ცალკე იბრუნებიან, ძირს იცვლიან მის უკანასკნელი მარცვლის ხმოვანი ბერის გამოშვებით ან ვ-ბგერაზე შეცვლით, მაგალ., საწყალ-ი—საწყლ-ისა, დაბალ-ი—დაბლ-ისა, წითელ-ი—წითლ-ით, წვეროსან-ი—წვეროსნ-ად, მშვენიერ-ი—მშვენივრ-ისა, მშიერ-ი—მშივრ-ისა.

როდესაც არსებითს სახელთან არის გადაბმული, დასართავს სახელში არ ხდება ძირის ცვლა, მაგალ., საწყალ-ი კაცი — საწყალ-ი (ს, სა) კაცის(ა), საწყალ-ი(ს, სა) კაცით(ა), წითელი კოჭი — წითელ-ი (ს, სა) კოჭი-ს(ა), წითელ-ი(ს, სა) კოჭი-თ(ა), მშჩერი ი მგელი — მშჩერ-ი(ს, სა) მგლის(ა), მშიერ-ი(ს, სა) მგლით(ა).

ძირის ბოლო მარცვლის ხმოვანი ბერი იმ დასართავ სახელებში იკარგება, რომელთა დაბოლოება არის ალი, ელი და ანი და ძირში არის კიდევ სხვა ხმოვანი მარცვალი. ვ-ბგერაზე სკვლიან ხმოვან ბერას ის დასართავები, რომელთაც აქვთ დაბოლოება იერი. მაგრამ ძირის ცვლა უკანასკნელს შემთხვევაში არ არის საერთო და ცველა დასართავში არ შეიმჩნევა, მაგალ., მშვენიერ-ი—მშვენივრ-ისა გონიერ-ი—გონივრ-ისა, ნაყოფიერ-ი—ნაყოფიერ-ისა, წესიერ-ი—წესიერ-ისა

ძირითგან ხმოვანის ბერის გამოშვება ან ვ-ბგერაზე შეცვლა მხოლობითი რიცხვის ნათესავობითს, მოქმედებითს და ცვალებითს საბრუნავებში და მრავლობითი რიცხვის ყველა საბრუნავებში ხდება. მეორევგარს მრავლობითს რიცხვში ძირის ცვლა არ ხდება.

7. დასართავი სახელების ჭარბოება. დასართავი სახელი არის მარტივი, წარმოებული და რთული.

წარმოებული დასართავი სახელი წარმოებს სხვადასხვაგვარ სიტყვათაგან სხვადასხვა ზენართების და ქვენართების მიმატებით, სახელდობრ:

ა) არსებითი სახელისაგან მიმატებით ქვენართებისა; იანი, ოვანი, ოსანი, იერი, რივი, ელი. ური (ული), ივი, ეული, ებური და სხვ. მაგალ., ქვ-ა—ქვ-იანი, წყალ-ი—წყლ-იანი, შნო—შნო-იანი,

კუ—კუ-იანი, კლდ-ე—კლდ-ოვანი, წელ-ი—წლ-ოვანი, ხელ-ი—ხელ-ოსანი, გონ-ი—გონ-იერი, ხენ-ი—ხნ-იერი, გონებ-ა—გონებ-რივი, ზნეობ-ა—ზნეობ-რივი, სოფელ-ი—სოფლ-ური, მტერ-ი—მტრ-ული, ქალაქ-ი—ქალაქ-ელი, პარტი-ა—პარტი-ელი, კახ-ეთ-ი—კახ-ური, იმერ-ეთ-ი—იმერ-ული, მხარ-ი—მხრ-ივი, მარჯვენ-ა—მარჯვენ-ივი, მარცხენ-ა—მარცხ-ივი, მამ-ა—მამ-ეული, პაპ-ა—პაპ-ეული, ხელი-ხელ-ეული, გმირ-ი—გმირ-ის-ეული, ძმ-ა—ძმ-ის-ეული, კაც-ი—კაც-ის-ებური, მხეც-ი—მხეც-ის-ებური.

არსებითი სახელისგანვე მიმატებით ზენართებისა სა და უ და საბოლოებელის შეცვლით ქვენართებით ე, ო, ური (ული), ელი, ან პირდაპირ საბოლოებელზე ამ ქვენართების მობმით, მაგალ., ბრალ-ი—სა-ბრალ-ო, სოფელ-ი—სა-სოფლ-ო, ძმ-ა—სა-ძმ-ო, გზ-ა—სა-გზა-ო, მაჯ-ა—სა-მაჯ-ური, ყურ-ი—სა-ყურ-ე, ჭკუ-ა—უ-ჭკუ-ო, ბედ-ი—უ-ბედ-ური და უ-ბედ-ო, გონ-ი—უ-გონ-ური და უ-გონ-ო, ფერ-ი—უ-ფერ-ული და უ-ფერ-ო, გემ-ო—უ-გემ-ო და უ-გემ-ური, ძალ-ა—უ-ძალ-ო და უ-ძლ-ური, ღონ-ე—უ-ღონ-ო, მზ-ე—უ-მზ-ე-ო, დღ-ე—უ-დღ-ე-ო და უ-დღ-ე-ური.

ბ) დასართავი სახელისაგან საბოლოებელის შეცვლით ქვენარ-თებით: იანი, ური, არი, ებური, მაგალ., შავ-ი—შავ-იანი, თეორ-ი—თეორ-იანი, წითელ-ი—წითლ-იანი და წით-ური, დიდ-ი—მ-დიდ-არი, ძველ-ი—ძველ-ებური..

დასართავი სახელისგანვე მიმატებით ზენართისა მო და საბო-ლოებელის შეცვლით ო-ქვენართით, მაგალ., ლურჯ-ი—მო-ლურჯ-ო, ყვითელ-ი—მო-ყვითალ-ო, წითელ-ი—მო-წითალ-ო, მცირ-ე—მო-მცრ-ო, მსხვილ-ი—მო-მსხ-ო.

გ) რიცხვითი სახელისაგან საბოლოებელის შეცვლით დაბოლოე-ბით იანი, მაგალ., ერთ-ი—ერთ-იანი, ორ-ი—ორ-იანი, ცხრ-ა—ცხრ-იანი, ნახევარ-ი—ნახევრ-იანი, მეოთხედ-ი—მეოთხედ-იანი.

დ) ნაცვალსახელისგან მიმატებით ქვენართებისა: ებური, იანი, ეული, მაგალ., მე—ჩემ-ებური, შენ—შენ-ებური, ის—მის-ებური, ჩვენ—ჩვენ-ებური, თქვენ—თქვენ-ებური, ისინი—იმათ-ებური ან მათ-ებური, თავი—თავ-ის-ებური, ჩემი—ჩემ-იანი, შენი—შენ-იანი. მისი—მის-იანი, მე—ჩემ-ეული, შენ—შენ-ეული, ის—მის-ეული.

როგორც ვხედავთ, ქვენართები ებური და ეული ნათესავობი-თი საბრტნავის ნაკვთებს ემატებათ.

ნაცვალსახელისაგანვე მიმატებით ზენართებისა სა და უ და საბოლოებელის შეცვლით ო-ბგერით ან პირდაპირ საბოლოებელზედ ო-ბგერის მიმატებით, მაგალ., მე—სა-ჩემ-ო, უ-ჩემ-ო, შენ—სა-შენ-ო,

უ-შენ-ო, ყოველი—სა-ყოველთა-ო, ის—სა-მის-ო, თვითო—სა-თვი-  
თო-ო.

როგორც ვხედავთ აქაც ქვენართი და ზენართი ქმატება წმი-  
რად ნათესავობითი საბრუნავის ნაკვთს: ჩემ, შენ, მას, ყოველთა-

ე) ზმისაგან, სახელდობრ, აწმყო დროს მხოლობითი რიცხვის  
მესამე პირის ნაკვთისგან ბოლოში ი-საბოლოებელის მიმატებით და  
აგრეთვე უ-ზენართის მამატებითაც, მაგ., ღირ-ს—ღირს-ი, უ-ღირს-ი,  
ხამ-ს—უ-ხამს-ი, არ-ს—არს-ი. ამნაირადვერა წარმოებული მსგავს-ი  
ნაკვთისაგან ჰ-გავ-ს, მხოლოდ აქ ჰ-მიმართმსახი შეცვლილია  
ს-მიმართმსახით და დამატებულია მ-ბგერა. ამავე ნაკვთისაგან წარმოე-  
ბულია უ-მსგავს-ი.

ხშირად ზმისართავი, რომელსაც საზოგადოდ დასართავი სა-  
ხელს ხასიათი აქვს, ნამდვილ დასართავად იქცივა, მაგალ., მგრე-  
ლი, მკრთალი, მკვდარი, მშრალი და სხ. ზოგჯერ დასართავად კა-  
დაქცევის დროს ზმისართავში ქვენართის მცირე ცვლილება მომხ-  
დარი, მაგალ., მკვეთ-ი—მკვეთ-რ-ი, მწვავ-ი—მწვავ-ე.

ვ) ზმისართისაგან მიმატებით ქვენართებისა, დელი, ინდელი,  
ჭანდელი, ური, ითი, ეთი, ა, სკელი, მაგალ., გუშინ—გუშინ-დელი,  
შარშან—შარშან-დელი, ზეგ—ზეგ-ინდელი, ხვალ—ხვალ-ინდელი,  
კვლავ—კვლავ-ინდელი, როდის—როდ-ინდელი, დლეს—დლე-ინდე-  
ლი, და დლე-განდელი, წრეულ—წრე-განდელი, სადა—სადა-ური,  
აქა—აქა-ური, ზეით—ზეით-ური, ქვეით—ქვეით-ური, ზე—ზე-ითი,  
ქვე—ქვე-ითი, შიგან—შიგნითი, ქვეშ—ქვეშ-ეთი, გარე—გარ-ეთი და  
გარე-ითი, უკან—უკან-ა, წინ—წინ-ა, ზევით—ზევით-ა, ქვევით—  
ქვევით-ა, უკანა—უკანა-სკნელი, ქვე—ქვე-სკნელი, ზე—ზე-სკნელი.

ზმისართისაგანვე მიმატებით ზენართისა და და ქვენართისა-ო  
მაგალ., მარალის—სა-მარალის-ო, მუდამ—სა-მუდამ-ო, ხვალ—სა-  
ხეალ-ი-ო, როდის—სა-როდის-ო, დლეს—სა-დლეის-ო, ზეგა—სა-ზეგა-ო,  
ზეგ—სა-ზეგ-ი-ო, შინა—სა-შინა-ო, წინა—სა-წინა-ო, გარე—სა-გარე-ო.

8. დასართავი სახელის მნიშვნელობით ხმასინდული არსე-  
ბითი სახელი. არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს რომლისამე  
შესამჩნევის თვისების საგანს, ხშირად დასართავის სახელს მნიშვნე-  
ლობას ღებულობს და იხმარება როგორც დასართავი სახელი, მაგალ.,  
ქვა, გმირი, ზღვა, მხეცი, ქურდი, ძმა.

ამბობენ: გმირი კაცი, ქვა გული, ზღვა სიმდიდრე, მხეცი ადა-  
მიანი, ქურდი მეზობელი, ძმა ბიჭი. ამნაირად გადაბმულები არსე-  
ბით სახელებთან, იბრუნებიან როგორც შესაფერი საბოლოებელს

მქონე დასართავი სახელები, მაგალ., მხ. რ. სახ. გმირი კაცი, ნათ. გმირი(ს ან სა) კაცის(ა), მიც. გმირ(ს ან სა) კაცს(ა), მოთხრ. გმირმა(ნ), კაცმა(ნ), მოქმ. გმირი(ს ან სა) კაცით(ა), წოდ. გმირო კაცო; მრ. რ. სახ. გმირი კაცები, ნათ. გმირი(ს ან სა) კაცების(ა), მიც. გმირ(ს ან სა) კაცებს(ა) და სხვ.; მხ. რ. სახ. ქვა გული, ნათ. ქვა გულის(ა), მიც. ქვა გულს(ა), მოთხრ. ქვა გულმა(ნ) და სხვ.; მრ. რ. სახ. ქვა გულები, ნათ. ქვა გულების(ა), მიც. ქვა გულებს(ა), მოთხრ. ქვა გულებმა(ნ) და სხვ.

აგრეთვე საზოგადო წესით იბრუნებიან, როგორც არსებითი სახელი, რომელთანაც გადაბმული იქნებიან, მეორეგვარს მრავლობითს რიცხვში იქნება.

დასართავი სახელის მნიშვნელობით ხმარებული არსებითი სახელები აღმატებითს ხარისხსაც აწარმოებენ საზოგადო წესით, მაგ., გმირი—უგმირესი, მხეცი—უმხეცესი, თუმცა ყველა ასეთი სიტყვას აღმატებითი ხარისხი არ იხშარება.

## თავი მეოთხე

### რიცხვითი სახელი.

1. სხვადასხვაგვარი რიცხვითი სახელი. რიცხვითი სახელები არიან: ა) რაოდენობითი, რომელნიც აღნიშნავენ საგნების რაოდენობას, მაგალ., ერთი, ორი, სამი, ათი, ასი, ხუთასექვსი და სხვა ბ) რიგობითი, რომელნიც აღნიშნავენ რიგს რიცხვის მიხედვით, მაგალ., პირველი, მეორე, მეათე, მეასე, მეხუთასექვსე და სხვ. გ) ნაწევრობითი, რომელნიც აღნიშნავენ მთელის ნაწილს, მაგალ., ნახევარი, მესამედი ან ნასამალი, მეოთხედი ან ნაოთხალი, მეათედი ან ნაათალი, მეასედი. ან ნაასალი, მეასოთხმოცედი, მეათასშვიდასოცდაექვსედი და სხვ. დ) დაახლოვებითი, რომელნიც აღნიშნავენ რაოდენობას დაახლოვებით, მაგალ., ორიოდე, გთიოდე, ორმოციოდე, ასიოდე, და სხვ. ე) ცალჯგუფობითი, რომელნიც აღნიშნავენ რაოდენობას ცალობით ან ჯგუფობით, მაგალ., თითო ან თითო თითო, ორ-ოლი, სამ-სამი, ათ-ათი, ას-ასი, და სხვ. ვ) განუსაზღვრელი, რომელნიც აღნიშნავენ დიდს თუ მცირე რაოდენობას განუსაზღვრელად, მაგალ., ცოტა, ბევრი, მრავალი, ცოტაოდენი, მცირეოდენი.

2. რიცხვითი სახელების ბრუნვა. ბრუნვის მხრით რიცხვითი სახელებს არსებითის და დასართავის სახელების ხასიათი აქვთ მცირეოდენის განსხვავებით.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი იბრუნება როგორც არსებითი სახელი შესაფერი საბოლოებელით.

რაოდენობითი რიცხვითი სახელების ბრუნვის მაგალითები.

მხოლობითი რიცხვი	მეორეგვარი მრავლ. რიცხვი			
სახ.	ერთ-ი	რვ-ა	ერთ-ნი	რვ-ა-ნი
ნათ.	ერთ-ის(ა)	რვ-ის(ა)	ერთ-თ(ა)	რვ-ა-თ(ა)
მიც	ერთ-ს(ა)	რვ-ას(ა)	ერთ-თ(ა)	რვ-ა-თ(ა)
მოთხრ.	ერთ-მა(ნ)	რვ-ამ(ა ან ან)	ერთ-თ(ა)	რვ-ა-თ(ა)
მოქმ.	ერთ-ით(ა)	რვ-ით(ა)		
ცვალ.	ერთ-ად(ა)	რვ-ად(ა)		
წოლ.	ერთ-ო	რვ-აო(ან ავ)	ერთნ-ო	რვ-ა-ნო.

პირველგვარს მრავლობითს რიცხვში რაოდენობითი რიცხვითი სახელი სულ არ იხმარება როგორც რიცხვი. იხმარება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი აღნიშნავს რიცხვის წერილობითს გამოხატულობას, ნიშანს, როგორც არსებითი სახელი, მაგალ., იტყვიან: „ეს მოწაფე ხშირად ერთებს და ორებს ლებულობს“, „ამ სტრიქონში სულ სუთები დავსწერ“. აქ ერთები, ორები, ხუთები აღნიშნავენ არა რიცხვს, არამედ რიცხვის წერილობითს გამოხატულობას ანუ ნიშებს.

როდესაც რაოდენობითი რიცხვითი სახელი გადაბმულია არსებითს სახელთან როგორც მისი გამმარტველი, მაშინ იგი იბრუნება როგორც დასართავი სახელი შესაფერი საბოლოებელით.

არსებით სახელთან გადაბმულის რაოდენობითი რიცხვითი სახელების ბრუნვის მაგალითები:

#### მხოლობითი რიცხვი

სახ.	ორ-ი	წიგ-ნი	ცხრ-ა	კლიტ-ე
ნათ.	ორ-ი(ს, სა)	წიგნ-ის(ა)	ცხრ-ა	კლიტ-ის(ა)
მიც.	ორ-(ს, სა)	წიგნ-ს(ა)	ცხრ-ა	კლიტ-ეს(ა)
მოთხრ.	ორ-მა(ნ)	წიგნ-მა(ნ)	ცხრ-ა	კლიტ-ემ(ა ან ან)
მოქმ.	ორ-ი(ს, სა)	წიგნ-ით(ა)	ცხრ-ა	კლიტ-ით(ა)
ცვალ.	ორ-(ს, სა)	წიგნ-აღ(ა)	ცხრ-ა	კლიტ-ეღ(ა)
წოდ.	ორ-ო	წიგნ-ო	ცხრ-ა	კლიტ-ეო(ან ევ)

#### მრავლობითი რიცხვი

სახ.	ორ-ნი	წიგნ-ნი	ცხრ-ა	კლიტ-ე-ნი
ნათ., მიც., მოთხრ. ორ-(თ ან თა)	წიგნ-თ(ა)	ცხრ-ა	კლიტ-ე-თ(ა)	
წოდ.	ორ-ნო	წიგნ-ნო	ცხრ-ა	კლიტ-ე-ნო

რაოდენობითი რიცხვითი სახელი მრავლობითს რიცხვში იშვიათად იხმარება ცალკე და არსებითს სახელთან გადაბმული.

რიგობითი რიცხვითი სახელები იბრუნებიან როგორც შესაფერის დაბოლოების დასართავი სახელები, ცალკეც. და არსებით სახელთან გადაბმულებიც.

ნაწევრობითი რიცხვითი სახელები იხმარებიან და იბრუნებიან როგორც არსებითი სახელები. მაგალ., იტყვიან: მე ნახევარი მერგო, ის ნასამალს წაიღებს, თქვენ მეოთხედით უნდა დაკმაყოფილდეთ, ამ რიცხვის სამი მეოთხედი თორმეტს უდრის. მხოლოდ ნახევარი ზოგიერთს თავისებურობას წარმოადგენს ხმარებაში.

როდესაც ნახევარით უერთდება რაოდენობითს რიცხვითს სახელს, იგი აღნიშნავს დამატებულს ერთის ნახევარს, მაგალ., ერთ ნახევარი =  $1\frac{1}{2}$ , ათ-ნახევარი =  $10\frac{1}{2}$ . აგრეთვე როდესაც ნახევარი უერთდება არსებითს. სახელს, იგი აღნიშნავს დამატებულს საგნის ნახევარს, მაგალ., ჭიჭა-ნახევარი, ორ-ჯამ-ნახევარი სამ-გირვანქა-ნახევარი ნიშნავს  $1\frac{1}{2}$  ჭიჭას,  $2\frac{1}{2}$  ჯამს,  $3\frac{1}{2}$  გირვანქას. მთელის საგნის რიცხვი ითქმის საგნის სახელის წინ, ხოლო ნახევარი საგნის სახელის შემდეგ. თუ რიცხვითი სახელი, ი-ბერით ბოლოვდება, ი-ექვეცება.

როდესაც აღინიშნება მხოლოდ საგნის ნახევარი, მაშინ სიტყვა ნახევარი ი-მოკვეცილი ითქმის საგნის სახელის წინ, მაგალ., ნახევარ ჭიჭა ნახევარ-ჯამი, ნახევარ-გირვანქა:

როდესაც რიცხვი შეიცავს მხოლოდ ასეულებს, ათასეულებს. და მილიონებს, ამისთანა რიცხვზე დამატებული ნახევარი აღნიშნავს არა საგნის ერთეულის ნახევარს არამედ ასეულის, ათასეულის ან მილიონის ნახევარს. მაგალ., ორას-ნახევარი ნიშნავს არა  $200\frac{1}{2}$ , არა-მედ 250-ს, სამიათას-ნახევარი ნიშნავს არა  $3000\frac{1}{2}$ , არამედ 3500-ს, ორმილიონ-ნახევარი ნიშნავს არა  $2,000,000\frac{1}{2}$ , არამედ 2,500,000-ს.

დაახლოვებითი რიცხვითი სახელები იბრუნებიან როგორც ქასართავი სახელები შესაფერის დაბოლოებით, მხოლოდ მრავლობითი რიცხვი მეორეგვარი აქვსთ, მაგალითად:

### ცალკე

### გადაბმული

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ორიოდ-ე	ორიოდ-ე	სიტვ-ა
ნათ.	ორიოდ-ის(ა)	ორიდე-ე	სიტყვ-ის(ა)
მიც.	ორიოდ-ეს(ა)	ორიოდ-ე	სიტყვ-ას(ა)
მოთხრ.	ორიოდ-ემ(ა ან ან)	ორიოდ-ე	სიტყვ-ამ(ა ან ან)
მოქმ.	ორიოდ-ით(ა)	ორიოდ-ე	სიტყვ-ით(ა)
ცვალ.	ორიოდ-ედ(ა)	ორიოდ-ე	სიტყვ-ად(ა)
წოდ.	ორიოდ-ეო(ან ევ)	ორიოდ-ე	სიტყვ-აო(ან ავ)

მრავლობითი რიცხვი.

სახ.	ორიოდ-ე-ნი	ორიოდ-ე	სიტყვ-ა-ნი
ნათ. მიც. მოთხრ.	ორიოდ-ე-თ(ა)	ორიოდ-ე	სიტყვ-ა-თ(ა)
წოდ.	ორიოდ-ე-ნო	ორიოდ-ე	სიტყვ-ა-ნო

ახალს ენაში და მწერლობაში დაახლოვებითი რიცხვითი სახელები აღარ იხმარებიან მრავლობითს რიცხვში არც ცალკე და არც გადაბმულები.

ცალჯგუფობითი რიცხვითი სახელები იბრუნებიან როგორც დასართავის სახელები შესაფერის საბოლოებლებით. მხოლოდ მრავლობითს რიცხვში გადაბმულები სრულებით აღარ იხმარებიან.

ცალჯგუფობითი რიცხვითი სახელების ბრუნვის მაგალითები:

პირველი მაგალითი

ცალკე	გადაბმით	
მხოლ. ო.	მრავლ. ო.	მხოლ. რიცხვი
სახ.	სამ-სამ-ი	სამ-სამ-ნი
ნათ.	სამ-სამ-ის(ა)	სამ-სამ-თ(ა)
მიც.	სამ-სამ-ს(ა)	სამ-სამ-თ(ა)
მოთხ.	სამ-სამ-მა(ნ)	სამ-სამ-თ(ა)
მოქმ.	სამ-სამ-ით(ა)	სამ-სამ-ი(ს ან სა)
ცვალ.	სამ-სამ-ად(ა)	სამ-სამ-(ს ან სა) პურ-ად(ა)
წოდ.	სამ-სამ-ო	სამ-სამ-ნ
		სამ-სამ-ო პურ-ო
		სამ-სამ-ი(ს ან სა) პურ-ის(ა)
		სამ-სამ-(ს ან სა) პურ-ს(ა)
		სამ-სამ-მა(ნ) პურ-მა(ნ)
		სამ-სამ-ი(ს ან სა) პურ-ით(ა)
		სამ-სამ-(ს ან სა) პურ-ად(ა)
		სამ-სამ-ო პურ-ო

მეორე მაგალითი

სახ.	ცხრა-ცხრა-ა	ცხრა-ცხრა-ნი	ცხრა-ცხრა კვერცხ-ი
ნათ.	ცხრა-ცხრა-ის(ა)	ცხრა-ცხრა-თ(ა)	ცხრა-ცხრა კვერცხ-ის(ა)
მიც.	ცხრა-ცხრ-ას(ა)	ცხრა-ცხრა-თ(ა)	ცხრა-ცხრა კვერცხ-ს(ა)
მოთ.	ცხრა-ცხრ-ამ(ა,ან)	ცხრა-ცხრა-თ(ა)	ცხრა-ცხრა კვერცხ-მა(ა)
მოქმ.	ცხრა-ცხრ-ით(ა)		ცხრა-ცხრა კვერცხ-ით(ა)
ცვალ.	ცხრა-ცხრ-ად(ა)		ცხრა-ცხრა კვერცხ-ად(ა)
წოდ.	ცხრა-ცხრ-აო(ან ავ)	ცხრა-ცხრა-ნო	ცხრა-ცხრა კვერცხ-ო

მესამე მაგალითი

სახ.	თით-ო	თითო-ნი	თითო ჭიქ-ა
ნათ.	თით-ო-ს(ა ან ი)	თითო-თ(ა)	თითო ჭიქ-ის(ა)
მიც.	თით-ო-ს(ა)	თითო-თ(ა)	თითო ჭიქ-ას(ა)
მოთხ.	თით-ო-მ(ა ან ან)	თითო-თ(ა)	თითო ჭიქ-ამ(ა ან ან)
მოქმ.	თით-ო-თ(ი)		თითო ჭიქ-ით(ა)
ცვალ.	თით-ო-დ(ა)		თითო ჭიქ-ად(ა)
წოდ.	თით-ო-ო(ან ავ)	თითო-ნო	თითო ჭიქ-აო(ან ავ)

განუსაზღვრელი რიცხვითი სახელები იბრუნებიან და იხმარებიან როგორც რაოდენობითი.

რიცხვითი ს ხელები, როდესაც ბოლოში მოებმით ხოლმე ნაწილაკები ვე, და, ცა, იბრუნებიან ჩვეულებრივის წესით, ნაწილაკები კი მოსდევენ საბრუნავ საბოლოებლებს უცვლელად.

ნაწილაკებიანი რიცხვითი სახელების ბრუნვის მაგალითები:

პირველი მაგალითი

მხოლ. ო.	მრავლ. ო.	მეორეჯგარი მრავლ. ო.
სახ. პირველი-ვე	პირველები-ვე	პირველნი-ვე
ნათ. პირველის(ა)-ჭე	პირველების(ა)-ვე	პირველთ(ა)-ვე
მიც. პირველს(ა)-ვე	პირველებს(ა)-ვე	პირველთ(ა)-ვე
მოთხრ. პირველმა(ნ)-ვე	პირველებმა(ნ)-ვე	პირველთ(ა)-ვე
მოქმ. პირველით(ა)-ვე	პირველებით(ა)-ვე	
ცვალ. პირველად(ა)-ვე	პირველებად(ა)-ვე	
წოდ. პირველო-ვე	პირველებო-ვე	პირველნო-ვე

მეორე და მესამე მაგალითი

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ორი-ლა	ორიოდე-(ც(ა)
ნათ.	ორის(ა)-ლა	ორიოდის(ა)-ც(ა)
მიც.	ორს(ა)-ლა	ორიოდეს(ა)-ც(ა)
მოთხრ.	ორმა(ნ)-ლა	ორიოდემ(ა ან ან)-ც(ა)
მოქმ.	ორით(ა)-ლა	ორიოდით(ა)-ც(ა)
ცვალ.	ორად(ა)-ლა	ორიოდედ-(ა)-ც(ა)
წოდ.	ორო-ლა	ორიოდ-ეო(ან ევ)-ც(ა)

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ორნი-ლა	ორიოდენი-(ც(ა)
ნათ., მიც., მოთ.	ორთ(ა)-ლა	ორიოდეთ(ა)-ც(ა)
წოდ.	ორნო-ლა	ორიოდენო-ც(ა)

მხოლოდ ვე-ნაწილაკიანი რიცხვითი სახელები ვადაებმიან ხოლო მე არსებითს სახ. ლს და იბრუნებიან როგორც შესაფერის საბოლოებელის მქონე გადაბმული დასართავი სახელები, მაგალ.,

მხოლობითი რიცხვი

სახ.	პირველი-ვე შემთხვევა
ნათ.	პირველი(ს ად სა)-ვე შემთხვევის(ა)
მიც.	პირველ(ს ად სა)-ვე შემთხვევას(ა)
მოთხრ.	პირველმა(ნ)-ვე შემთხვევამ(ა ად პნ)
მოქ.	პირველი(ს ად სა)-ვე შემთხვევით(ა)
ცვალ.	პირველ(ს ად სა)-ვე შემთხვევად(ა)
წოდ.	პირველო-ვე შემთხვევაო ან შემთხვევავ

მეორეგვარი მრავლობითი რიცხვი

სახ.	პირველნი-ვე შემთხვევანი
ნათ. მიც., მოთ.	პირველთა-ვე შემთხვევათ(ა)
წოდ.	პირველნო-ვე შემთხვევანო.

პირველგვარს მრავლობითს რიცხვში დასართავი რჩება მხოლობითში, არსებითი სახელი იბრუნება მრავლობითში.

და და ცა-ნაწილაკებიანი რიცხვითი სახელები არ გადაებმიან ხოლმე არსებითს სახელს. იმშთ თავის ნაწილაკები გადააქვთ არსებითს სახელზე და ისე ებმებიან ხოლმე. მაგალ., არ ითქმის: ორი-ლა საათი ან ორიოდე-ც(ა) სიტყვა, უნდა ითქვას: ორი საათი-ლა, ორიოდე სიტყვა-ც(ა), ორის საათის(ა)-ლა, ორიოდე სიტყვის(ა)-ც(ა), ორ(ს ად სა) საათს(ა)-ლა, ორიოდე სიტყვას(ა)-ც(ა) და სხ.

საუბარში და ხშირად მწერლობაშიაც უმართებულოდ აბრუნებენ გვ-ნაწილაკიან რიცხვითს სახელებს.

მაგალითი მართებული და უმართებულო ბრუნვისა

მხოლობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
მართებული	უმართებულო	მართებული	უმართებულო
სახ. ორი-ვე	ორივ-ე	ორნი-ვე	ორივ-ე-ნი
ნათ. ორის(ა)-ვე	ორივ-ე-ს(ა; ი)	ორთა-ვე	ორთავ-ე-ს(ა, ი)
მიც. ორს(ა)-ვე	ორივ-ე-ს(ა)	ორთა-ვე	ორთავ-ე-ს(ა)
მოთ. ორმა(ნ)-ვე	ორივ-ე-მ(ა, ან)	ორთა-ვე	ორთავ-ე-მ(ა, ან)
მოქ. ორით(ა)-ვე	ორივ-ე-თ(ი)		ორთავ-ე-თ(ი)
ცვ. ორად(ა)-ვე	ორივ-ე-დ(ა)		ორთავ-ე-დ(ა)
წოდ. ორო-ვე	ორივ-ე-ვ	ორნო-ვე	ორთავ-ე-ნო

3. რიცხვითი სახელების ხარისხი. რიგობითს რიცხვითს სახელს პირველი და განუსაზღვრულ რიცხვით სახელებს მრავალი, მეტი, ნაკლები აქვსთ აღმატებითი ხარისხი, რომელიც ისევე წარმოებს როგორც დასართავის სახელებისა. მაგ., პირველი—უპირველესი, მრავალი—უმრავლესი, მეტი—უმეტესი, ნაკლები—უნაკლებესი.

4. რიცხვითი სახელების შედგენილობა. რიცხვითი სახელები არიან მარტივნი, წარმოებულნი და რთულნი.

მარტივნი არიან: ა) რაოდენობითნი: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ასი; ბ) ცალჯგუფობითი: თითო; და გ) განუსაზღვრულნი: მრავალი, ბევრი, ცოტა, მეტი.

წარმოებულნი არიან: ა) ნაწევრობითნი: ნახევარი (სიტყვის გან ხევა), მესამედი (სიტყვისგან სამი), ნაასალი (სიტყვისგან ასი) და სხვანი, ორი უკანასკნელი სიტყვის მსგავსად წარმოებულნი; ბ) რიგობითნი: მეორე (სიტყვისგან ორი), მესამე (სიტყვისგან სამი), და სხვანი, ამ სიტყვების მსგავსად წარმოებულნი.

რთულნი არიან: ა) რაოდენობითნი: თერთმეტი (ათ-ერთ-მეტი), თორმეტი (ათ-ორ-მეტი), ცამეტი (=თსამეტი=ათ-სამ-მეტი), თოთხმეტი (ათ-ოთხ-მეტი), თხუთმეტი (ათ-ხუთ-მეტი), თექვსმეტი (ათ-ექვს-მეტი), ჩვიდმეტი (=თშვიდმეტი=ათ-შვიდ-მეტი), თვრამეტი (=თრამეტი=ათ-რვა-მეტი), ცხრამეტი (=თცხრამეტი=ათ-ცხრა-მეტი), ოცი (=ორცი=ორთი=ორ-ათი), ოცდაერთი, ოცდაორი, ორმოცი (ორ-მ-ოცი), სამოცი (სამ-ოცი), ოთხმოცი (ოთხ-მ-ოცი), ათასი (ათ-ასი), ათიათასი (ათი-ათ-ასი), ასიათასი (ასი-ათ-ასი) და სხვ. ბ) დაახლოებითნი: ორიოდე (ორი-ოდენი), სამიოდე (სამი-ოდენი) და სხვ. გ) ცალჯგუფობითნი: ორ-ოლი (ორ-ორი), სამ-სამი და სხვ. დ) რიგობითნი: მეთერთმეტე, მეოცდაერთე, მეასერთე, მეათასხუთასე და სხ.

სიტყვა პირველი, ცხადია, წარმოებულია, მაგრამ ჯერ ვერ ითქმის რომელი სიტყვისგან. თავის ფუძით (პირ) ენათესავება ინდოევროპულს პროტოს (ბერძნ.), პრომუს (ლათინ.), პერვი (სლავ.) და თურქულს ბირ (რაც ნიშნავს ერთს).

5. თვლის სისტემა. ქართულს ენაში მრიცხველობის ათეული სისტემა ოცამდეა დაცული, რასაც გვიმტკიცებს სიტყვა ოცი (=ორთი=ორ-ათი). შემდეგ ასამდე თვლა წარმოებს ოცეულის სისტემით. ასითგან თვლა შერეულია, ასეულები და სხვა უმაღლესი რიგის რიცხვები წარმოებულია. ათეული სისტემით ათიათასამდე, შემდეგ ასევე ოცეული სისტემა იჩენს თავს.

არის ცდა ქართულს თველაში წმინდა ითეულის სისტემის შემოღებისა ამნაირად: ათის შემდეგი რიცხვების საწარმოებლად ათს ემატება რიცხვები ერთითგან ცხრამდე: ათ-ერთი, ათ-ორი, ათ-ხამი, ათ-ოთხი, ათ-ხუთი, ათ-ექვსი, ათ-შვიდი, ათ-ჩვა, ათ-ცხრა, ოცის მაგიერ ითქმის ორ-ათი, ოცდათის მაგიერ სამ-ათი, ორმოცის მაგიერ ოთხ-ათი და ამნაირად ასამდე: ხუთ-ათი (50), ექვს-ათი (60), შვიდ-ათი (70), ჩვა-ათი (80), ცხრა-ათი (90). ეს იქნება თვლის სისტემის ხელოვნური გადაკეთება, მაგრამ იგი იქნება ქართულის ენის ბუნებასთან შეგუებული, ფრიად ადვილად შესათვისებელი და ახალთაობისათვის ანგარიშის შესწავლის გამაადვილებელი. ამ სისტემით რიცხვი 435,976 გამოითქმის: ოთხასსამათხუთიათასცხრასშვიდათ-ექვსი. საწონ-საზომთა ათეული სისტემის შემოღებასთან ერთად თვლის ათეული სისტემის შემოღებაც ურიგო არ იქნება.

## თ ა ვ ი მ ე ს უ თ ე

### ნაცვალსახელი.

1. ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა უ ვ ა რ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი რ ი თ ა ვ ა ნ თ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს ა დ ა თ ვ ი ს ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ა რ ი ა ნ : ა) პ ი რ ი ვ ნ ე ბ ი თ ნ ი , ბ) კ უ თ ნ ი ლ ე ბ ი თ ნ ი , გ) მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ ნ ი , დ) კ ი თ ხ ვ ი თ ნ ი , ე) მ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ე ლ ნ ი , ვ) მ ს ა ზ ლ ვ რ ე ლ ნ ი , ზ) გ ა ნ უ ს ა ზ ლ ვ რ ე ლ ნ ი , ტ) მ ს გ ა ვ კ ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ნ ი დ ა თ ) უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი თ ნ ი .

2. პ ი რ ი ვ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი რ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი რ ი თ ი ა ღ ნ ი შ ნ ი გ ს რ ო მ ე ლ ს ა მ ე პ ი რ ი ს : ა ნ ი მ ა ს , რ ო მ ე ლ ი ც ლ ა პ ა რ ა კ ა მ ბ ს , მ ა გ . , მ ე , ა ნ ი მ ა ს , რ ო მ ე ლ ს ა ც ე ლ ა პ ა რ ა კ ა მ ბ ი ა ნ , მ ა გ ა ლ . , შ ე ნ , ა ნ ი მ ა ს , რ ო მ ე ლ ზ ე დ ა ც ა რ ი ს ლ ა პ ა რ ა კ ი , მ ა გ ა ლ . , ი ს ა ნ ი გ ი . ა მ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ პ ი რ ი ვ ნ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი რ ი ა რ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ს პ ი რ ი ს ა , ს ა ხ ე ლ დ ა ბ რ , მ ე , მ ე რ უ რ ე პ ი რ ი ს ა , ს ა ხ ე ლ დ ა ბ რ , შ ე ნ , დ ა მ ე ს ა მ ე პ ი რ ი ს ა , ს ა ხ ე ლ დ ა ბ რ , ი ს ა ნ ი გ ი . პ ი რ ი ვ ნ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ი ბ რ უ ნ ე ბ ი ა ნ თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ა დ . ა ქ ვ ს თ ო რ ი რ ი ც ხ ვ ი . პ ი რ ვ ე ლ ი პ ი რ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ს ა ქ ვ ს თ ხ ი ს ა ბ რ უ ნ ა ვ ი : ს ა ხ ე ლ ი ბ ი თ ი , ნ ა თ ე ს ა ვ ი ბ ი თ ი , მ ი ც ე მ ი თ ი დ ა მ ო თ ხ რ ი ბ ი თ ი , მ ე რ უ რ ე პ ი რ ი ს ა ს ხ უ რ უ ნ ა ვ ი : ს ა ხ ე ლ ი ბ ი თ ი , ნ ა თ ე ს ა ვ ი ბ ი თ ი , მ ი ც ე მ ი თ ი , მ ო თ ხ რ ი ბ ი თ ი დ ა წ ი დ ე ბ ი თ ი მ ე ს ა მ ე პ ი რ ი ს ა ს — ე ქ ვ ი ს : ს ა ხ ე ლ ი ბ ი თ ი , ნ ა თ ე ს ა ვ ი ბ ი თ ი , მ ი ც ე მ ი თ ი , მ ო თ ხ რ ი ბ ი თ ი , მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი დ ა ც ვ ა ლ ე ბ ი თ ი .

პ ი რ ი ვ ნ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს ბ რ უ ნ ვ ა .

პ ი რ ვ ე ლ ი პ ი რ ი ს ა

მ ე რ უ რ ე პ ი რ ი ს ა .

მ ხ ო ლ . რ .	მ რ ა ვ ლ . რ .	მ ხ ო ლ . რ .	მ რ ა ვ ლ . რ .
ს ა ხ .	მ ე , მ ე ნ ა	ჩ ვ ე ნ (ა)	შ ე ნ (ა)
ნ ა ფ .	ჩ ე მ (ი)	ჩ ვ ე ნ (ი)	შ ე ნ (ი)
მ ი ც .	მ ე , მ ე ნ ა , ჩ ე მ	ჩ ვ ე ნ (ა)	შ ე ნ (ა)
მ ო თ .	მ ე , მ ე ნ ა	ჩ ვ ე ნ (ა)	შ ე ნ (ა)
წ ი დ .			შ ე ნ , შ ე
			თ ქ ვ ე ნ , თ ქ ვ ე

მესამე პირისა

მხოლ. ო.	მრავლ. ო.
სახ.	ის, იგი
ნათ.	(ი)მის(ა ან ი)
მიც.	(ი)მას(ა)
მოთხრ.	(ი)მან(ა)
მოქმ.	(ი)მით(ა)
ცვალ.	(ი)მაღ(ა)

სახელობითის, მიცემითის და მოთხრობითის საბრუნავის ნაკვთს მენა ხანდახან ხმარობს ხალხი ღლმოსავლეთ-საქართველოში. მიცემითი საბრუნავის ნაკვთი მე მაშინ იხმარება, როცა ეს ნაცვალ-სახელი უთანდებულოდ არის. თუ თანდებული ახლავს, მაშინ იხმარება ნაკვთი ჩემ. მაგალ., ითქმის: მე კაცს მეძახიან, ჩემთან ყოფნა გერჩივნოს. ნათესავობითი საბრუნავის ნაკვთები ჩემ, ჩვენ, შენ, თქვენ, იმის(ა) ან მის(ა), იმათ(ა) ან მათ(ა) იხმარებიან თანდებული თუ ახლავსთ, მაგალ., ჩემგან, ჩემთვის, ჩვენგან, ჩვენთვის, შენგან, შენთვის, თქვენგან, თქვენთვის, იმის(ა)გან, იმის(ა)თვის, მის-(ა)გან, მის(ა)თვის, იმათ(ა)გან, იმათ(ა)თვის, მათ(ა)გან, მათ(ა)-თვის. თუ თანდებული არ ახლავსთ, იხმარება: ჩემი, ჩვენი, შენი, თქვენი, იმისი, მისი, იმათი, მათი, მაგალ., ჩემი და იმისი (ან მისი) ნუ გეშინია, თქვენი ღირსი არა ვარ, ჩვენი მორიცება არ იციან, შენი რცხვენია. ნაკვთები იმის, მის, იმათ, მათ ხანდახან უთანდებულოდაც იხმარებიან, როდესაც გამმარტველიად არიან არსებით სახელთან. მაგალ., ამბობენ: იმის ჭკუა შორსა სჭრის, მის სილამაზე სანატრელია, იმათ სიტყვით ეს ადვილია, მათ გატირებამ შემაწუხა. მიცემითს საბრუნავში ა-ბგერა ზედმეტად გამოითქმის ბოლოში მხოლოდ ხანდახან, როცა თანდებული არ ახლავს ამ საბრუნავს. მოთხრობითს საბრუნავში ზედმეტი ა-ბგერა გამოითქმის აგრეთვე ხანდახან. მოქმედებითი საბრუნავის ნაკვთები: იმით, მით, იხმარებიან უთანდებულოდაც და თანდებულთანაც, ხოლო ნაკვთები იმითა, მითა— მხოლოდ უთანდებულოდ. ცვალებითი საბრუნავის ნაკვთი მაღ(ა) თითქმის სულ არ იხმარება. წოდებით საბრუნავის ნაკვთები შენ, თქვენ იხმარებიან როდესაც მარტო არიან, მაგალ., ითქმის: შენ, არ გესმის? თქვენ, იქით ნუ იცქირებით! შე, თქვე იხმარებიან, თუ გამ-

მარტველი სიტყვა მოსდევთ. მაგალ., ითქმის: **შე კაცო, მაშ რა მექნა?** თქვე დალოცვილებო, მაგას ხომ ჩვენც მოვახერხებდით!

პიროვნებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით იხმარება არსებითი სახელი, თავი, რომელიც ამ შემთხვევაში იბრუნება მხოლოდ მხოლობითს რიცხვში როგორც არსებითი სახელი. თავი გამოხატავს ყველა პირს (პირველსაც, ე. ი. რომელიც ლაპარაკობს, მდორესაც ე. ი. რომელსაც ელაპარაკებიან, მესამესაც, ე. ი. რომელზედაც ლაპარაკობენ). მაგალ., ითქმის: **თავს ნებას არ მივცემ, თავს უშველე,** თავს არ ზოგავს. ამ გამონათქვამებში თავი პირველად აღნიშნავს პირველ პირს, მეორედ—მეორე პირს, მესამად—მესამე პირს. ხშირად ეს სიტყვა კუთნილებით ნაცვალსახელთან შეერთებული იხმარება: **ჩემი თავი, შენი თავი, იმისი თავი, თვისი(ან თავისი) თავი.**

**3. კუთნილებითი ნაცვალსახელები.** კუთნილებითი ნაცვალსახელები წარმოებული არიან პიროვნებითი ნაცვალსახელების გან და წარმოადგენენ მათ ნათესავობითი საბრუნავის ნაკვთს ი-სა-ბოლოებელით: **ჩემი, ჩვენი, შენი, თქვენი, იმისი ან მისი, იმათი ან მათი, თავისი ან თვისი.** იბრუნებიან როგორც არსებითი და დასართავი სახელები ცალკეც და არსებითს სახელთან გადაბმულებიც, ერთის განსხვავებით, სახელდობრ, მხოლობითის რიცხვის მიცემითს საბრუნავში კუთნილებითს ნაცვალსახელებს ერთის ჩვეულებრივის ნაკვთის გარდა მეორენაირი ნაკვთიცა აქვთ: **ჩემ-ს(ა) და ჩემ-სას(ა), შენ-ს(ა) და შენ-სას(ა), იმის-ს(ა) და იმის-სას(ა), მის-ს(ა) და მის-სას(ა), თქვენ-ს(ა) და თქვენ-სას(ა), ჩვენ-ს(ა) და ჩვენ-სას(ა), იმათ-ს(ა) და იმათ-სას(ა), მათ-ს(ა) და მათ-სას(ა), თვის-ს(ა) და თვის-სას(ა), თავის-ს(ა) და თავის-სას(ა).**

მიცემითი ბრუნვის ჩვეულებრივი ნაკვთი მხოლოდ მაშინ იხმარება, როდესაც ნაცვალსახელი გადაბმულია არსებითს სახელთან, მეორენაირი ნაკვთი კი მაშინ, როდესაც ნაცვალსახელი მარტოდ მარტო, არსებითს სახელთან არ არის გადაბმული, მაგალითად: მე **ჩემს** ნაცნობს დავუძახებ, შენ **შენსას** დაუძახე; შენ **შენს** დარღს შემატყობინებ, მე **ჩემსას** შეგატყობინებ; **ჩვენს** ინტერესს არად აგდებთ, თქვენსას კი მაღლა აყენებთ; **თქვენს** ქონებას ზოგავთ, იმისსას კი ფლანგავთ; **ჩვენს** საყველურს არად აგდებთ, იმათსას კი ძალიან ერიდებით. რაღვანაც ნაკვთებში იმისსას და მისსას ერთად ხვდება ორი ხ, რაც ქართულ ენას არ უყვარს, ამიტომ საუბარში მხოლოდ ერთი ს-ბერება ისმის და წერითაც ამ ნაკვთებში ერთ ს-ასოს სწერენ: იმისსას, მისას (ნაცვლად იმისსას, მისსას).

4. გაჩვევებული ნაცვალსახელები. მაჩვენებელი ნაცვალსახელი სამნაირია: а) ერთი უჩვენებს იმ საგანს, რომელიც ახლოა მოლაპარაკეზე, მაგალ., ეს(ა ან ე); б) მეორე—იმ საგანს, რომელიც ახლოა მასთან, ვისაც ელაპარაკებიან, მაგალ.; ეგ(ა ან ე), მაგი; გ) მესამე—იმ საგანს, რომელიც მოშორებით არის ერთთანაც და მეორესთანაც, მაგალ., ის(ა ან ი), იგი. მაჩვენებელი ნაცვალსახელების ფუძეა 8 რაც ნათესავობითს და მის მიმყოლ საბრუნავებში თავს იჩინს. ამ ნაცვალსახელებს ორივე რიცხვი და ექვსი საბრუნავი აქვთ. წოდებითი არა აქვსთ.

მაჩვენებელი ნაცვალსახელების ბრუნვის მაგალითები:

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ეს(ა ან ე), ამ-ა	ეგ(ა ან ე), მაგ-ი(ან ა)	ის(ა ან ი), იგ-ი, იმ-ა
ნათ.	ამ-ის(ა)	მაგ-ის(ა)	იმ-ის(ა)
მიც.	ამ-ას(ა)	მაგ-ას(ა)	იმ-ას(ა)
მოთხრ.	ამ-ან(ა).	მაგ-ან(ა)	იმ-ან(ა)
მოქმ.	ამ-ით(ა)	მაგ-ით(ა)	იმ-ით(ა)
ცვალ.	ამ-ად(ა)	მაგ-ად(ა)	იმ-ად(ა)

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ეს-ე-ებ-ი	ეგ-ე-ებ-ი	ის-ე-ებ-ი
ნათ.	ამ-ე-ებ-ის(ა)	მაგ-ე-ებ-ის(ა)	იმ-ე-ებ-ის(ა)
მიც.	ამ-ე-ებ-ს(ა)	მაგ-ე-ებ-ს(ა)	იმ-ე-ებ-ს(ა)
მოთხრ.	ამ-ე-ებ-მა(ნ)	მაგ-ე-ებ-მა(ნ)	იმ-ე-ებ-მა(ნ)
მოქმ.	ამ-ე-ებ-ით(ა)	მაგ-ე-ებ-ით(ა)	იმ-ე-ებ-ით(ა)
ცვალ.	ამ-ე-ებ-ად(ა)	მაგ-ე-ებ-ად(ა)	იმ-ე-ებ-ად(ა)

მეორეგვარი მრავლობითი რიცხვი

სახ.	ეს-ე-ნი	ეგ-ე-ნი, მაგ-ე-ნი	ის-ი-ნი, იგ-ი-ნი
ნათ, მიც., მოთ.	ამ-ა-თ(ა)	მაგ-ა-თ(ა)	იმ-ა-თ(ა)

ამ ნაცვალსახელების პირველგვარი მრავლ. რიცხვი უსულო საგანთა ნაცვლად იხმარება, მეორეგვარი მრავლ. რიცხვი კი სულიერ საგანთა ნაცვლად.

როდესაც მაჩვენებელი სახელები ებმიან არსებითს სახელებს, ნათესავობითს და მის მიმყოლ საბრუნავებში ეკვეცებათ საბოლოებლები როგორც მხოლობითს, ისე მრავლობითს რიცხვში, სახელობითს საბრუნავში კი ნაცვალსახელი მრავლობითს რიცხვში რჩება მხოლო-

ბითის რიცხვის ნაკვთით, მაგალ., მხოლობ. რიცხვი, სახ. ეს(ა ან ე) წიგნი, ნათ. ამ წიგნის(ა), მიც. ამ წიგნებ(ა), მოთხრ. ამ წიგნება(ნ) და სხვ. მრავლ. რიცხ., სახ. ეს(ა ან ე) წიგნები, ნათ. ამ წიგნების(ა) მიც. ამ წიგნებს(ა). მოთხრ. ამ წიგნებმა(ნ) და სხვ.; მხოლ. რიც., სახ. ეგ(ე) ან მაგი საქმე, ნათ. მაგ საქმის(ა), მიც. მაგ საქმეს(ა); მოთხრ. მაგ საქმე(ა ან ან) და სხვ., მრავლ. რიცხვი, სახ. ეგ(ე) საქმეები, ნათ. მაგ საქმეების(ა), მიც. მაგ საქმეებს(ა), მოთხრ. მაგ საქმეებმა(ნ) და სხვ.; მხოლობითი რიცხვი, სახ. ის(ი) ან იგი მიზეზი, ნათ. იმ მიზეზის(ა), მიც. იმ მიზეზს(ა), მოთხრ. იმ მიზეზმა(ნ) და სხვ., მრავლ. რიცხვი, სახ. ის(ი) ან იგი მიზეზები, ნათ. იმ მიზეზების(ა), მიც. იმ მიზეზებმა(ნ) და სხვ.

5. კითხვითი ნაცვალსახელები. კითხვითი ნაცვალსახელები არიან: სამგერნი: ა) მარტივნი: ვინ, რა; ბ) წარმოებულნი: რომელი, (სიტყვისგან რა), ვითარი (სიტყვისგან ვინ); გ) როულნი, შემდგარნი ორის სიტყვისაგან, რომელთაგან პირველი არის რა: რაგვარი(რაგორი), რაოდენი(რავდენი), რაფერი, რამოდენა, რამსიღიღე, რამსიღრე, რამსიმაღლე, რამსისხო და სხვანი ამნაირად წარმოებულნი.

კითხვითი ნაცვალსახელები სხვადასხვანიარად იბრუნებიან. ნაცვალსახელს ვინ მხოლოდ მხოლობითი რიცხვი და ოთხი საბრუნავი აქვს; სახ. ვინ(ა), ნათ. ვის(ა ან ი), მიც. ვის(ა), მოთხრ. ვინ(ა).

ნაცვალსახელი რა იბრუნება როგორც არსებითი სახელი იმ განსხვავებით, რომ წოდებითი საბრუნავი არა აქვს და პირველგვარს: მრავლობითს რიცხვში სახელობითი საბრუნავის საბოლოებელი არჩება ყველა საბრუნავებში ებ-ქვენართის წინ, მაგალითად:

მხოლ. რ.	მრავლ. რ.	მეორეგვარი მრავლ. რ.
სახ.	რ-ა	რ-ა-ებ-ი
ნათ.	რ-ის(ა ან ი)	რ-ა-ებ-ის(ა)
მიც.	რ-ას(ა)	რ-ა-ებ-ს(ა)
მოთხრ.	რ-ამ(ა ან ან)	რ-ა-ებ-მა(ნ)
მოქმ.	რ-ით(ა ან ი)	რ-ა-ებ-ით(ა)
ცვალ.	რ-აღ(ა)	რ-ა-ებ-აღ(ა)

არსებით სახელთან გადაბმული როცა არის, რა ორსავე რიცხვში და ყველა საბრუნავებში უცვლელიად რჩება, მაგალ., მხოლ. რიცხვი, სახ. რა საქმე, ნათ. რა საქმის(ა), მიც. რა, საქმეს(ა), მოთხრ. რა საქმემ(ა ან ან) და სხვ. მრავლ. რიცხვი, სახ. რა საქმეები, ნათ. რა საქმეების(ა), მიც. რა საქმეებს(ა), მოთხრ. რა საქმეებმა(ნ) და.

სხვ. მეორეგვარი მრავლ. რიცხვი, სახ. რა. საქმენი, ნათ., მიც., მოთხრ. რა. საქმეთ(ა).

კითხვითი ნაცვალსახელები რომელი, რაგვარი(როგორი), ჩანაირი, რაფერი, რაოდენი(რავდენი), რამოდენა, რამსიდიდე, რაშსიგრძე და სხვანი, რომელნიც ამნაირად არიან წარმოებულნი, იბრუნებიან როგორც შესაფერი საბოლოებელის მქონე დასართავი სახელები, მხოლოდ არა აქვთ წოდებითი საბრუნავი და ნაცვალკაზელს რაოდენი(რავდენი) არა აქვს აგრეთვე პირველგვარი მრავლობითი რიცხვი, ნაცვალსახელი რომელი ძირცვალებადია.

არსებითს სახელებთან ეს ნაცვალსახელები იმნაირადვე იბმიან, როგორც შესაფერის საბოლოებელის მქონე დასართავი სახელები.

თუ კითხვითს ნაცვალსახელს ბოლოში დართული აქვს ნაწილაკი და, ბრუნვის დროს ეს ნაწილაკი უცვლელი რჩება და სიტყვას საბრუნავის საბოლოებელის შემდეგ ემატება.

პირველი მაგალითი. სახ. ვინ-ლა, ნათ. ვის(ი)-ლა, მიც. ვის(ა)-ლა, მოთხრ. ვინ-ლა.

მეორე მაგალითი. მხოლ. რიცხვი, სახ. რა-ლა, ნათ. რის(ა ან ი)-ლა, მიც. რას(ა)-ლა, მოთხრ. რამ(ა ან ან)-ლა, მოქმ. რით(ა ან ი)-ლა, ცვალ. რად(ა)-ლა; მრავლ. რიცხვი, სახ. რაები-ლა, ნათ. რაების(ა)-ლა, მიც. რაებს(ა)-ლა, მოთხრ. რაებმა(ნ)-ლა, მოქმ. რაებით(ა)-ლა, ცვალ. რაებად(ა)-ლა; მეორეგვარი მრავლ. რიცხვი, სახ. რანი-ლა, ნათ., მიც., მოთხრ. რათ(ა)-ლა.

მესამე მაგალითი. მხოლ. რიცხვი, სახ. რომელი-ლა, ნათ. რომლის(ა)-ლა, მიც. რომელს(ა)-ლა, მოთხრ. რომელმა(ნ)-ლა, მოქმ. რომლით(ა)-ლა, ცვალ. რომლად(ა)-ლა; მრავლ. რიცხვი, სახ. რომლები-ლა, ნათ. რომლების(ა)-ლა, მიც. რომლებს(ა)-ლა, მოთხრ. რომლებმა(ნ)-ლა, მოქმ. რომლებით(ა)-ლა, ცვალ. რომლებად(ა)-ლა; მეორეგვარი მრავლ. რიცხვი, სახ. რომელნი-ლა, ნათ., მიც. და მოთხრ. რომელთ(ა)-ლა.

მეოთხე მაგალითი. მხოლ. რიცხვი, სახ. რამსიდიდე-ლა, ნათ. რამსიდიდის(ა)-ლა, მიც. რამსიდიდეს(ა)-ლა, მოთხრ. რამსიდიდემ(ა ან ან)-ლა, მოქმ. რამსიდიდით(ა)-ლა, ცვალ., რამსიდიდედ(ა)-ლა; მრავლ. რიცხვი, სახ. რამსიდიდეები-ლა, ნათ. რამსიდიდეების(ა)-ლა, მიც. რამსიდიდეებს(ა)-ლა, მოთხრ. რამსიდიდეებმა(ნ)-ლა, მოქმ. რამსიდიდეებით(ა)-ლა, ცვალ. რამსიდიდეებად(ა)-ლა; მეორეგვარი მრავლ. რიცხვი, სახ. რამსიდიდენი-ლა, ნათ., მიც., მოთხრ. რამსიდიდეთ(ა)-ლა.

მეხუთე მაგალითი. მხოლ. რიცხვი, სახ. რამსისხო-ლა, ნათ. რამსისხოს(ა ან ი)-ლა, მიც. რამსისხოს(ა)-ლა, მოთხრ., რამსის-

რამზ(ა ან ან)-ლა, მოქმ. რამსისხოთ(ი)-ლა, ცვალ. რამსისხოდ(ა)-ლა; მრავლ. რიცხვი, სახ. რამსისხოები-ლა, ნათ. რამსისხოების(ა)-ლა, მიც. რამსისხოებს(ა)-ლა, მოთხრ. რამსისხოებმა(ნ)-ლა, მოქმ. რამსისხოებით(ა)-ლა, ცვალ. რამსისხოებად(ა)-ლა; მეორეგვარი მრავლ. რიცხვი, სახ. რამსისხონი-ლა, ნათ., მიც. და მოთხრ. რამსისხოთ(ა)-ლა.

6. მაკავშირებელი ნაცვალსახელები. მაკავშირებელი ნაცვალსახელები, რომელიც არიან იგივე კითხვითი ნაცვალსახელები ბოლოში დართვით ნაწილაკისა ც(ა), იბრუნებიან ისევე როგორც კითხვითი ნაცვალსახელები, მხოლოდ ნაწილაკი ც(ა) ბოლოში ემატება ყოველს საბრუნავს, მაგალ., მხოლობითი რიცხვი, სახ. რა-ც(ა), ნათ. რიხ(ა)-ც(ა), მიც. რას(ა)-ც(ა), მოთხრ. რამ(ა ან ან)-ც(ა), მოქმ. რით(ა ან ი)-ც(ა), ცვალ. რად(ა)-ც(ა); მრავლ. რიცხვი, სახ. რაები-ც(ა), ნათ. რაების(ა)-ც(ა), მიც. რაებს(ა)-ც(ა), მოთხრ. რაებმა(ნ)-ც(ა), მოქმ. რაებით(ა)-ც(ა), ცვალ. რაებად(ა)-ც(ა); მეორეგვარი მრავლ. რიცხვი, სახ. რანი-ც(ა), ნათ., მიც. და მოთხრ. რათ(ა)-ც(ა).

7. მსაზღვრელი ნაცვალსახელები ბრუნვის მხრით თავისებურობას წარმოაღვენენ. ზოგი მათგანი, მაგალ., ყოველი, ყველა, თვითეული, ზოგი, ზოგიერთი ორსავე რიცხვში იბრუნება, ზოგი, მაგალ., ერთერთი, არავინ, ნუვინ, ნურავინ, ვერავინ, არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, მარტო მხოლობითს რიცხვში იბრუნება, ზოგიც სულ არ იბრუნება და რჩება უცვლელად ყველა საბრუნავში, მაგალ., თვით, თვითონ.

მსაზღვრელი ნაცვალსახელების ბრუნვის მაგალითები:

მხოლობითი რიცხვი. სახ. ყოველ-ი, ყველ-ა, ზოგ-ი, ზოგიერთი, თვითეულ-ი; ნათ. ყოვლ-ის(ა), ყველ-ას(ა ან ი), ზოგ-ის(ა), ზოგიერთის(ა), თვითეულ-ის(ა); მიც. ყოველ-ს(ა), ზოგ-ს(ა), ზოგიერთ-ს(ა), თვითეულ-ს(ა); მოთხრ. ყოველ-მა(ნ), ყველ-ამ(ა ან ან), ზოგ-მა(ნ), ზოგიერთ-მა(ნ), თვითეულ-მა(ნ); მოქმ. ყოვლ-ით(ა), ყველ-ათ(ი), ზოგ-ით(ა), ზოგიერთ-ით(ა), თვითეულ-ით(ა); ცვალ. ყოვლ-ად(ა); ყველ-ად(ა), ზოგ-ად(ა), ზოგიერთ-ად(ა), თვითეულ-ად(ა); წოდ. ყოველ-ო, ყველ-ო(ან ავ), ზოგ-ო, ზოგიერთ-ო, თვითეულ-ო.

ამ ნაცვალსახელებს არა აქვთ პირველგვარი მრავლობითი რიცხვი და იხმარებიან მხოლოდ მეორეგვარ მრავლობითს რიცხვში. ნაცვალსახელი ყველა მრავლობითს რიცხვში მხოლოდ სახელობითს და წოდებითს საბრუნავში იხმარება.

მეორეგვარი მრავლობითი რიცხვი. სახ. ყოველ-ნი, ყველა-ნი, ზოგ-ნი, ზოგიერთ-ნი, თვითეულ-ნი; ნათ., მიც., მოთხრ. ყოველ-თ(ა),

ზოგ-თ(ა), ზოგიერთ-თ(ა), თვითეულ-თ(ა); წოდ. ყოველ-ნო, ყველა-ნო, ზოგ-ნო, ზოგიერთ-ნო, თვითეულ-ნო.

ეს ნაცვალსახელები ებმიან არსებითს სახელებს როგორც შესაფერი საბოლოებელის მქონე დასართავი სახელები. ამასთან როგორც პირველგვარს ისე მეორეგვარს მრავლობითს რიცხვში ებმის მხოლოდ ზოგიერთი, მარტო პირველგვარს მრავლ. რიცხვში ებმის მხოლოდ ყველა, დანარჩენები კი მარტო მეორეგვარს მრავლობითს რიცხვში ებმიან. მაგალ., ითქმის ყველა ქვეყანა, ყველა ქვეყნები; ზოგიერთი ქალი, ზოგიერთი ქალები, ზოგიერთნი ქალნი; ყოველი ადამიანი, ყოველი ადამიანი; ზოგი შემთხვევა, ზოგნი შემთხვევანი; თვითეული ხე, თვითეულნი ხენი.

ნაცვალსახელები: არავინ, ვერავინ, არარა, ვერარა, ნურა, ნურარა იბრუნებიან როგორც მათი შემაღენელი სიტყვები ვინ და რა რა მხოლოდ მხოლობითს რიცხვში და არ ებმიან არსებითს სახელს.

ნაცვალსახელები: ერთერთი, ყველაფერი, არაფერი, ნურაფერი იბრუნებიან როგორც მათი შემაღენელი სიტყვები ერთი და ფერი. ფერი ამ შემთხვევაში არის ძირცვალებადი და ჰყარგავს. ე-ბგერას ნათესავობითს, მოქმედებითს და ცვალებითს საბრუნავებში. იხმარებიან მხოლოდ მხოლობითს რიცხვში და ებმიან არსებითს სახელს როგორც ი-ბგერით დაბოლოებული დასართავი სახელები. ამათგან ერთერთი ებმის მარტო მხოლობითს რიცხვში მყოფს, დანარჩენტი კი ებმიან, თუმცა ძალიან იშვიათად, ორსავე რიცხვში მყოფს არსებითს სახელს.

ნაცვალსახელები: არავითარი, ნურავითარი, ვერავითარი, არაგვარი, ვერაგვარი, ნურაგვარი, არანაირი, ვერანაირი, ნურნაირი იბრუნებიან და ებმიან არსებითს სახელს როგორც დასართავი სახელები.

ნაცვალსახელები თვით და თვითონ(თითონ) უცვალებელნი არიან და იჭერენ ადგილს ყოველს რიცხვში და საბრუნავში მყოფს არსებითს სახელთან და პიროვნებითს და მაჩვენებელს ნაცვალსახელთან. მაგალითად, თვით ხე, თვით ხის(ა), თვით ხესა და სხვ. თვით ხები, თვით ხეების(ა), თვით ხეებს(ა) და სხე. თვით ხენი, თვით ხეთ(ა) და სხე. თვითონ ადამიანი, თვითონ ადამიანის, თვითონ ადამიანს და სხე. თვითონ ადამიანები, თვითონ ადამიანების(ა), თვითონ ადამიანებს(ა) და სხე. თვითონ ადამიანნი, თვითონ ადამიანთ(ა) და სხე. თვით მე, თვით შენ, თვითონ ჩვენ, თვითონ თქვენ, თვითონ ის, თვით ისინი და სხე., თვით ეს, თვითონ ეგ, თვით მაგის(ა), თვითონ იმას(ა), და სხე., თვით ესენი, თვითონ ეგენი და სხე.

8. განუსაზღვრელი ნაცვალსახელები წარმოადგენენ კითხვითს ნაცვალსახელებს ბოლოში მიმატებით ნაწილაკებისა მე და ლაც(ა), მა- ჟალ., კინ-მე, რა-მე, რომელი-მე, კინ-ლაც(ა), რა-ლაც(ა), რომელი- ლაც(ა), რავდენი-მე, რავდენი-ლაც(ა), რაგვარი-მე, რაგვარი-ლაც(ა) და სხვ.

განუსაზღვრელი ნაცვალსახელები იბრუნებიან როგორც კითხვი- თა ნაცვალსახელები ნაწილაკების მიმატებით საბრუნავი საბოლოებ- ლების შემდეგ. მაგალ., ვინმე ნათ. საბრუნავში იქნება როგორც ვინ, მხოლოდ მე-ნაწილაკის დართვით, სახელდობრ: ვის(ა ან ი)-მე; რამე მოთხოვობითს საბრუნავში იქნება როგორც რა, მხოლოდ მე-ნაწილაკის დართვით, სახელდობრ: რა-მე; რომელიმე მოქმედ. საბრუნავში იქ- ნება როგორც რომელი, მხოლოდ მე-ნაწილაკის დართვით, სახელ- დობრ: რომლით(ა)-მე და სხვ.

განუსაზღვრელი ნაცვალსახელები ებმიან არსებით სახელს, რო- გორც კითხვითი ნაცვალსახელები.

სასაუბრო ენაში და იმის გაფლენით ახალს მწერლობაშიაც ნა- წილაკიან ნაცვალსახელებს უმართებულოდ აბრუნებენ, რადგან ნა- წილაკებს სიტყვის განუყრელ და შეხორცებულ ნაწილად სთვლიან. მაგალ., მომოძნე: სახ. კინმე, ნათ. კინმე-ს(ა ან ი), მიც.. კინმე-ს(ა), მოთხორ. კინმე-მ(ა), მოქმ. კინმე-თი, ცვალ. კინმე-დ(ა), წოდ. კინ- მე-ო(ან ვ). აწარმოებენ მრავლობითი რიცხვის ნაკვთებსაც: კინმე-ები, კინმე-ების(ა), კინმე-ებს(ა), კინმე-ებმა და სხვა. ავილოთ მეორე მა- გალითი ლაც(ა)-ნაწილაკიანი განუსაზღვრელი ნაცვალსახელის უმარ- თებულო ბრუნვის: მხოლ. რ. სახ. რალაც-ა, ნათ. რალაც-ის(ა), მიც. რალაც-ას(ა), მოთხორ. რალაც-ამ(ა), მოქმ. რალაც-ით(ა), ცვალ. რალაც- ად(ა), წოდ. რალაც-ავ. მრ. რ. სახ. რალაც-ები, ნათ. რალაც-ების(ა), მიც. რალაც-ებს(ა) და სხვ. მეორეგვარი მრ. რ. სახ. რალაცა-ნი, წოდ. რალაცა-ნო.

არსებით სახელთან გადაბმის დროს განუსაზღვრელ ნაცვალსა- ხელებს ორსავე რიცხვში უცვლელად სტოკებენ როგორც ა და ე ბე- რებით დაბოლოებულებს.

9. მსგავსჩვენითი ნაცვალსახელები: ასეთი, ესეთი, ისეთი, ჩემგვარი, შენგვარი, ჩვენგვარი, თქვენგვარი, ამგვარი, იმგვარი, ჩემ- ნაირი, შენნაირი, ჩვენნაირი, თქვენნაირი, ამნაირი, იმნაირი, მაგნაირი, ამსიდიდე, იმსიგრძე, მაგსისხო, ჩემსიწლო, შენსისქე, ჩვენსიმალლე, ამსიგანე, იმსიმძიმე, ამისთანა, მაგისთანა, ჩემისთანა და სხვანი, ამნაირად წარმოებულნი, იბრუნებიან და იხმარებიან როგორც და- სართავი სახელები, ცალკეც და არსებითს სახელთან გადაბმითაც.

10. ურთიერთობითი ნაცვალსახელმგები ურთიერთი და ერთ-მანერთი იბრუნებიან როგორც არსებითი სახელები, მხოლოდ არ იხ-მარებიან მოთხრობითს, ცვალებითს და წოდებითს საბრუნავებში და არც მრავლობითს რიცხვში, მაგალ., სახ. ურთიერთი, ერთმანერთი, ნათ. ურთიერთის(ა), ერთმანერთის(ა); მიტ. ურთიერთს(ა), ერთმან-ერთსა, მოქმ. ურთიერთით(ა), ერთმანერთით(ა).

სიტყვაში ერთმანერთი ბგერა ჩ ბოლოში ხშირად ვარდება სა-უბარში და წერითაც ხშირადა სწერენ: ერთმანერთი.

## თავი გევესე

ზმა.

1. ზმის განსახულება:

ა) სახელზმა, რომელიც არის მოქმედების ან ყოფა-მდგომარეობის ამნიშვნელი სახელი, მაგალ., წერა, დაწერა, ჭრა, გაჭრა, ხვნა, მოხვნა, წოლა, დაწოლა, ჯდომა, შეჯდომა.

ბ) ზმახრილი, რომელიც აღნიშნავს რომლისამე საგნის მოქმედებას ან ყოფა-მდგომარეობას, მაგალ., ვსწერ, ვჰკერე, სჭამა, ვწვები, იჯდა.

გ) ზმასართავი, რომელიც აღნიშნავს რისამე მომქმედს ან რამე ყოფა-მდგომარეობაში მყოფს, ნამყოფს ან სამყოფს, მაგალ., მწერელი, ნაკერი, სახვნელი, მურელი, ჭრილი, საჭრელი, მწოლარე, ნაჯდომი, სადგმელი.

სახელზმას არსებითი სახელის თვისება აქვს, ზმასართავს კი დასართავა სახელისა.

2. ზმის სახები. ზმას აქვს ორი სახე: **სრულყოფელი და სრულყოფილი.**

ა) **სრულყოფელი** სახე ჰქვია იმისთანა ნაკვთს, რომელიც ანიშნავს მოქმედებას თუ ყოფა-მდგომარეობას განუსაზღვრელად, საზოგადოდ, მაგალ., წერა, კითხვა, ვსწერე, ვიკითხე, ვწოლილვარ, ვმჯდარვარ, მწერელი, მკითხველი, მჯდომი.

ბ) **სრულყოფილი** სახე ჰქვია ზმის იმისთანა ნაკვთს, რომელიც მოქმედებას ან ყოფა-მდგომარეობას უფრო გარკვევით ანიშნავს, მაგლითად, ჩაწერა, მიწერა, წაკითხვა, მოკითხვა, დავსწერე, ამოვიკითხე, ჩავიკითხე, დავწოლილვარ, მივწოლილვარ, წამომჯდარვარ, შემჯდარვარ, ჩამწერელი, წამწერელი, მიმწერელი, წამკითხველი, მომკითხველი, დამჯდომი, შემჯდომი.

სრულყოფილი სახე არის იგივე სრულყოფელი სახის ნაკვთი მიმატებით წენართებისა: და, გა, ჩა, შე, წა, მო, მი, ამო, წამო და სხვა.

3. მიმოხილა. ზმახრილს აქვს განსაკუთრებული თვისებები ნაკვთების ცვლისა იმის მიხედვით, თუ ვინ ან რა, ვისთან ან რასთან

დამოკიდებით, რავდენი, როდის, რა პირობებში მოქმედობს ან იმყოფება, მოქმედებდა ან იმყოფებოდა, იმოქმედებს ან იმყოფებს, მაგალ., ვსწერ, გწერ, მწერს, სწერდა, სწერეს, ვსწერდე, მწერო და სხვ. ნაკვთების ამნაირად ცვლას ჰქვია მიმოხრა.

4. პირები. ნაკვთი, გამომხატველი იმის მოქმედების ან მდგომარეობის, რომელიც ლაპარაკობს, პირველი პირის ნაკვთად იწოდება; ნაკვთი, გამომხატველი იმის მოქმედების ან მდგომარეობის, რომელსაც ელაპარაკებიან, მეორე პირის ნაკვთად იწოდება; ნაკვთი, გამომხატველი იმის მოქმედების ან მდგომარეობის, რომელზედაც არის ლაპარაკი, მესამე პირის ნაკვთად იწოდება. ამნაირად ზმნას აქვს სამი პირის ნაკვთი, ან მოკლედ, სამი პირი—პირველი, მეორე და მესამე.

5. მიმართები. იმის მიხედვით თუ ვისთან ან რასთან აქვს დამოკიდებულება რომლისამე პირის მოქმედებას ან ყოფა-მდგომარეობას, ზმნას აქვს განსაკუთრებული ნაკვთები. იმ ნაკვთს, რომელიც ანიშნავს რომლისამე პირის მოქმედების ან ყოფა-მდგომარეობის დამოკიდებულებას მესამე პირთან, მესამე მიმართის ნაკვთი ჰქვია; იმ ნაკვთს, რომელიც ანიშნავს რომლისამე პირის მოქმედების ან ყოფა-მდგომარეობის დამოკიდებულებას მეორე პირთან, მეორე მიმართის ნაკვთი ჰქვია; იმ ნაკვთს, რომელიც ანიშნავს რომლისამე პირის მოქმედების ან ყოფა-მდგომარეობის დამოკიდებულებას პირველ პირთან, პირველი პირთან, პირველი მიმართის ნაკვთი ჰქვია. ამნაირად მიმართები არის:  
ა) პირველი პირისა მეორესა და მესამე პირთან, ბ) მეორე პირისა პირველსა და მესამე პირთან, გ) მესამე პირისა პირველსა, მეორესა და მესამე პირთან. მაგალ., ვსწირავ (პირველისა მესამე პირთან, რაც აინიშნება 1<sub>3</sub>), გწირავ (პირველისა მეორე პირთან, რაც აინიშნება 1<sub>2</sub>), სწირავ (მეორისა მესამე პირთან, რაც აინიშნება 2<sub>3</sub>), მწირავ (მეორისა პირველ პირთან, რაც აინიშნება 2<sub>1</sub>), სწირავს (მესამე პირისა მესამე პირთან, რაც აინიშნება 3<sub>3</sub>), გწირავს (მესამისა მეორე პირთან, რაც აინიშნება 3<sub>2</sub>), მწირავს (მესამისა პირველ პირთან, რაც აინიშნება 3<sub>1</sub>).

6. ჩიცები. იმის მიხედვით, რომ მოქმედი ან რომელსამე ყოფა-მდგომარეობაში მყოფი პირი შეიძლება იყვეს ერთი ან მეტი, ნაკვთებიც ორნაირია: ა) ერთის პირის ამნიშნავი, ბ) მეტის პირის ამნიშნავი. აგრეთვე დამოკიდებულება შეიძლება იყვეს ერთსა ან მეტს პირთან, ამიტომ მიმართის რიცხვის ასანიშნავად ნაკვთები ორნაირია: ა) ერთის პირისადმი მიმართის ამნიშნავი, ბ) მეტის პირისადმი მიმართის ამნიშნავი. ნაკვთი, რომელიც აღნიშნავს ერთს პირს ან მი-

გართს, პირის ან მიმართის მხოლობითი რიცხვის ნაკვთია, ნაკვთი, რომელიც აღნიშნავს მეტს პირს ან მიმართს, პირის ან მიმართის მრავლობითი რიცხვის ნაკვთია. მაგალ., ვსდგამ არის პირის მხოლობითი რიცხვი, რადგან ამ სიტყვით იგულისხმება ერთი პირის მოქმედება, იმავე დროს ეს ნაკვთი გამოხატავს მიმართის. მხოლობითი რიცხვსაც და მრავლობითსაც, რადგან იგი გვაგულისხმებინებს მოქმედებას, მიმართულს როგორც ერთის ისე შეტის პირის შიმართ; გდგამზ როცა ამ ნაკვთთან იგულისხმება მე, არის პირის მხოლობითი რიცხვი, მიმართისა მრავლობითი, რადგან აღნიშნავს მიმართს რავდენსამე პირთან, ხოლო როცა მასთან იგულისხმება ჩვენ, არის, პირის მრავლობითი რიცხვი, მიმართისა კი მხოლობითიც და მრავლობითიც, რადგან ანიშნავს რავდენისამე პირის მოქმედებას ერთის ან რავდენისამე პირისადმი მიმართულს. მდგამ არის მხოლობითი რიცხვი პირისაც და მიმართისაც. მდგამზ არის პირის მრავლობითი რიცხვი, ხოლო მიმართისა მხოლობითი, რადგან იგულისხმება რავდენისამე პირის შოქმედება ერთის პირისადმი მიმართული. გვდგამ არის პირის მხოლობითი რიცხვი, ხოლო მიმართისა მრავლობითი, რადგან იგულისხმება ერთის პირის მოქმედება რავდენისადმიმე მიმართული. გვდგამზ არის მრავლობითი რიცხვი როგორც პირისა ისე მიმართისა, რადგან იგულისხმება რავდენიმე პირის მოქმედება, რავდენისადმიმე მიმართული.

7. დროები. იმის მიხედვით თუ როდის ზღება მოქმედება ან როდინდელს მდგომარეობას გამოხატავს ზმნა, მას აქვს განსაკუთრებული ნაკვთები დროს აღსანიშნავად. ნაკვთს, რომელიც აღნიშნავს იმ დროს მოქმედებას ან მდგომარეობას, როდესაც ლაპარაკობენ, აწმყო დროს ნაკვთი ჰქვია, მაგალ., ვსთვლი, ვხედავ, ვზივარ, ვიტანჯები. ნაკვთს, რომელიც აღნიშნავს წარსულის დროს მოქმედებას ან მდგომარეობას, წარსული დროს ნაკვთი ჰქვია. თუ წარსულს დროში მოქმედება ან მდგომარეობა არ არის დასრულებული ან თუ კიდევ წარსულში მოქმედება მომხდარა ან მდგომარეობა ყოფილა ხნის გამავლობაში გაგრძელებით თუ რავდენჯერმე განმეორებით, ამისთანა მოქმედების ან მდგომარეობის ამნიშვნელ ნაკვთს შეუსრულებელი წარსული დროს ნაკვთი ჰქვია, მაგალ., ვსთვლიდი, ვხედავდი, ვიტანჯებოდი. ნაკვთს, რომელიც ანიშნავს წარსულ დროში მომხდარს და შესრულებულ მოქმედებას ან მდგომარეობას, შესრულებული წარსული დროს ნაკვთი ჰქვია, მაგალ., ვსთვალე, ვნახე, ვიტანჯე. ნაკვთი, რომელიც გამოხატავს იმისთანა მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მომხდარა განსაზღვრულს დროს და შეს-

რულებული კიდეც, საზღვრებული წარული დროს ნაკვთი ჰქვია, მაგალ., ცუთვლივარ, ფუნახივარ, ვტანჯულვარ. ნაკვთი, რომელიც აღნიშნავს იმ მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მომავალს დროში იქნება, მომავალი დროს ნაკვთი ჰქვია, მაგალ., ცთვლი, ვნახავ, ვიტანჯული.

ამნაირად ზმნა თავის ნაკვთებით გამოხატავს ზუთს დროს: ა) აწმყოს, ბ) შეუსრულებელ წარსულს, გ) შესრულებულ წარსულს, დ) საზღვრებულ წარსულს და ე) მომავალს.

8. კილომეტრი. მეტყველებაში მოქმედება ან მდგომარეობა საგნისა გამოითქმის ხოლმე ან გადაჭრით, ან პირობით, ან ნატვრით, ან სხვა მოქმედებასთან თუ მდგომარეობასთან დამოკიდებით ან ერთისგან მეორისთვის დავალებით თუ თხოვნით, ერთის სიტყვით, სხვადასხვა კილოთი. თევითეულის კილოს გამოსახატავად ზმნას აქვს განსაკუთრებული ნაკვთები, რომლებიც კილოს ნაკვთებად იწოდებათ.

ზმნის კილოებია: ა) გადაჭრითი, ბ) პირობითი, გ) ნატვრითი, დ) დამოკიდებითი, და ე) ბრძანებითი.

გადაჭრითს კილოს აქვს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დროები: ა) აწმყო (მაგალ., ვჲკითხულობ), ბ) შეუსრულებელი წარსული (მაგალ., ვჲკითხულობდი), გ) შესრულებული წარსული (მაგალ., ვეკითხე), დ) საზღვრებული წარსული (მაგალ., ვუკითხივარ) და ე) მომავალი (მაგალ., ვიკითხავ).

პირობითს კილოს აქვს ერთი დრო—შესრულებული წარსული (მაგალ., ვიკითხავდი).

ნატვრითს კილოს აქვს სამი დრო: ა) აწმყო (მაგალ., ვჲკითხულობდე), ბ) საზღვრებული წარსული (მაგალ., ვეკითხე), და გ) მომავალი (მაგალ., ვიკითხავდე).

დამოკიდებითს კილოს აქვს ორი დრო: ა) საზღვრებული წარსული (მაგალ., ვეკითხო) და ბ) მომავალი (მაგალ., ვიკითხო).

ბრძანებითს კილოს არის სამნაირი: დადებითი, უარყოფითი და აკრძალვითი.

დადებითს ბრძანებითს ჭკილოს აქვს საერთო ნაკვთი აწმყოსა და მომავალის დროსთვის (მაგალ., იკითხე), უარყოფით ბრძანებითს აქვს მხოლოდ მომავალი დრო (მაგალ., არ იკითხო), აკრძალვითს ბრძანებითს აქვს აწმყო (მაგალ., ნუ კითხულობ) და მომავალი (მაგალ., ნუ იკითხავ).

9. ზმნათა გვარები. თავიანთ თვისების მიხედვით ზმნები ზმნახრილის განსაზღულებისა სამის გვარისანი არიან: ა) მოქმედებითნი, ბ) ჭნებითნი და გ) უოფა-მდგომარეობითნი.

მოქმედებითი ზმნები არიან ისეთი ზმნები, რომელნიც ანიშნავენ საგნის მოქმედებას, საქმიანობას, მაგალ., ვსწერ, ვხნავ, ვიღებ, ვიბრძვი, ვშფოთავ, ვღლელავ.

ვნებითი ზმნები ანიშნავენ არა მოქმედებას იმ საგნისას, რომელზედაც ლაპარაკია, არამედ იმ მდგომარეობას, რომელშიაც იგი ჩაყენებულია გარეშე მიზეზით ან იმ მოქმედებას, რომელსაც ის განიცდის, მაგალ., ვიწერები, ვიჭრები, ვიდაგვი, ვიწვი, ვკვდები, ვხტები, ვდნები, ვკეთდები, ვეწერები, ვეჭრები, ვედაგვი, ვეწვი, ვაკვდები, ვახტები, ვადნები, ვუკეთდები.

ყოფა-მდგომარეობითი ზმნები ანიშნავენ ყოფას ან მდგომარეობას, მაგალ., ვარ, ვწევვარ, ვზივარ, ვაწევვარ, ვუწევვარ, ვუზივარ.

ზმნა, გამომხატველი იმისთანა მოქმედებისა, ვნებულობისა ან ყოფა-მდგომარეობისა, რომელსაც აქვს დამოკიდებულება სხვა საგანთან, გარდამაგალ ზმნად იწოდება, ხოლო გამომხატველი იმისთანა მოქმედებისა, ვნებულობისა ან ყოფა-მდგომარეობისა, რომელსაც არა აქვს სხვა საგანთან არავითარი დამოკიდებულება, გარდუვალ ზმნად იწოდება. ამიტომ ზმნები არიან:

ა) გარდამაგალნი მოქმედებითნი, მაგალ., ვსჭრი, ვჟყრი, ვჟჷვნი, ვზოვავ, ვხნავ, ვნატრულობ, ვლაპარაკობ, ვფიქრობ, ვსტირი.

ბ) გარდუვალნი მოქმედებითნი, მაგალ., ვცოცავ, ვბრუნავ, ვიბრძვი, ვშფოთავ, ვღლელავ.

გ) გარდამაგალნი ვნებითნი, მაგალ., ვეჭრები, ვეყრები, ვეგზავნები, ვეზოგები, ვეხვნები, ვენატრები, ველაპარაკები, ვაფიქრდები, ვაკვდები.

დ) გარდუვალნი ვნებითნი, მაგალ., ვიჭრები, ვიყრები, ვიგზავნები, ვიზოგები, ვიხვნები, ვინატრები, ვილაპარაკები, ვფიქრდები, ვკვდები.

ე) გარდამაგალნი ყოფა-მდგომარეობითნი, მაგალ., ვადგავარ, ვაზივარ, ვაწევვარ, ვჟკიდივარ, ვურევივარ.

ვ) გარდუვალნი ყოფა-მდგომარეობითნი, მაგალ., ვარ, ვდგავარ, ვზივარ, ვწევვარ.

ზმნა ვარ იწოდება არსებითად და აგრეთვე შემწეობითად, რადგან ის ალნიშნავს არსებობას და მის დახმარებით ზმნის ზოგიერთი ნაკვთები წარმოებენ.

**10. ზმნათა ხარისხები.** იმის მიხედვით მოქმედებას პირდაპირ აწარმოებს ვინმე ან რამე, თუ სხვის საშუალებით, ან ვნებულობა წარმოებს პირდაპირ თუ სხვის საშუალებით, გარდამაგალ მოქმედება.

ბითს ზმნებს და ზოგიერთს ვნებითს (როგორც გარდამავალს ისე გარდუეალს) ზმნებს აქვსთ სამი ხარისხი: მარტივი, სხმითგარდასვლითი და კვლავსხმითგარდასვლითი. მარტივი ხარისხისაა იმისთანა ზმნა, რომელიც გამოხატავს პირდაპირ და უშუალოდ წარმოებულს მოქმედებას ან ვნებულობას, მაგალ., ვხჩაგრავ, ვიჩაგრები, ვეჩაგრები. სხმითგარდასვლითი ხარისხისაა იმისთანა ზმნა, რომელიც გამოხატავს სხვის საშუალებით წარმოებულ მოქმედებას ან ვნებულობას, მაგალ., ვაჩაგრინები, ვიჩაგრინები, ვეჩაგრინები. კვლავსხმითგარდასვლითი ხარისხისაა იმისთანა ზმნა, რომელიც გამოხატავს სხვის ჩარევით მესამე პირის საშუალებით წარმოებულს მოქმედებას ან ვნებულობას, მაგალ., ვაჩაგრინებინები, ვიჩაგრინებინები, ვეჩაგრინებინები.

სხმითგარდასვლითი ხარისხის საწარმოებლად სახელზმნის ძირს ემატება ინება ან ევინება, ინება ემატება, როცა ძირისხმოვანია, მაგალ., წერა—წერინება, დებ-ა—დებ-ინება, გმობ-ა—გმობ-ინება, კითხვ-ა—კითხვ-ინება. როცა ძირი არ არის ხმოვანი, მაშინ ემატება ევინება, მაგალ., ხვნ-ა—ხვნ-ევინება, ყრ-ა—ყრ-ევინება, წვ-ა—წვ-ევინება. კვლავსხმითგარდასვლითი ხარისხის საწარმოებლად სახელზმნის ძირს ემატება ინებინება და ევინებინება. ამნაირად წარმოებული სახელზმნები ოხრებიან საზოგადო წესით.

11. ზმნათა ჯურები. ზმნახრილი იმის მიხედვით თუ მისგან გამოხატული მოქმედება, ვნებულობა ან ყოფა-მდგომარეობა რისკენ ან რაზედ მიიმართება, სხვადასხვა ჯურისაა, მაგალ., ვხოვლი, ვათვლი, ვითვლი, ვუთვლი, ვითვლები, ვეთვლები, ვდნები, ვიღნობი, ვადნები, ვედნობი, ვუდნები, ვკეთდები, ვუკეთდები, ვწევგარ, ვაწევგარ, ვუწევგარ.

ზმნახრილის ჯური ხუთია. პირველ ჯურს ეკუთნიან ის ზმნახრილები, რომელთაც ძირის წინ არა აქვსთ განსაკუთრებული ჯურის ამნიშვნელი ბგერა ანუ ჯურმსახი, მაგალ., ვ-ს-თვლ-ი, ვ-დნ-ებ-ი, ვ-ზ-ი-ვარ. მეორე ჯურს ეკუთნიან ის ზმნახრილები, რომელთაც ძირის წინ აქვსთ ჯურმსახი ბგერა ა, მაგალ., ვ-ა-თვლ-ი, ვ-ა-დნ-ებ-ი, ვ-ა-ზ-ი-ვარ. მესამე ჯურის ზმნახრილებს ძირის წინ აქვსთ ჯურმსახი ე, მაგალ., ვ-ე-თვლ-ებ-ი, ვ-ე-დნ-ობ-ი. მეოთხე ჯურის ზმნახრილებს ძირის წინ აქვსთ ჯურმსახი ი, მაგალ., ვ-ი-თვლ-ი, ვ-ი-თვლ-ებ-ი. მეხუთე ჯურის ზმნახრილებს ძირის წინ აქვსთ ჯურმსახი უ, რომელიც მეორე და პირველი მიმართის ნაკვთებში ი-ბგერად იქცევა, მაგალ., ვ-უ-თვლ-ი, ვ-უ-დნ-ებ-ი, ვ-უ-წევ-ვარ, ვ-ი-თვლ-ი, მ-ი-თვლ-ი, ვ-ი-დნ-ებ-ი, მ-ი-წევ-ხარ. ამნაირად ზმნახრილები არიან,

უჯურმსახოები, ა-ჯურმსახიანები, უ-ჯურმსახიანები, ი-ჯურმსახიანები და უ-ჯურმსახიანები:

უველა გვარის ზმნახრილს არა აქვს უველა ეს ჯურები.. ზოგს გვარს ერთი ჯური აქვს, ზოგს—ორი, ზოგს—სამი და ზოგსაც მეტი. ამას გარდა ოვითეული გვარის ოვითეულს ზმნას შეიძლება არა ჰქონდეს გვარის უველა ჯურები.

გარდამავალი მოქმედებითი ზმნები ყოველნაირი ჯურისანი არიან, მაგალი, ვ-ს-თვლ-ი, ვ-ა-კეთ-ებ, ვ-ე-ძი-ებ, ვ-ი-ლ-ებ, ვ-უ-გზავნ-ი.

გარდამავალი მოქმედებითი ზმნები არიან ოთხის ჯურისანი არიან, მაგალი, ვ-შტოთ-ავ, ვ-ი-ბრძ-ი.

გარდამავალი ვნებითი ზმნები არიან ოთხის ჯურისანი, მაგალი, ვ-ჭ-ყვ-ებ-ი, ვ-ა-დნ-ებ-ი, ვ-ე-რიდ-ებ-ი, ვ-უ-კეთ-დ-ებ-ი.

გარდამავალი ვნებითი ზმნები არიან ორის ჯურისანი, მაგალი, ვ-წვ-ებ-ი, ვ-ი-ჭრ-ებ-ი.

გარდამავალი ყოფა-მდგომარეობითი ზმნები სამის ჯურისანი არიან, მაგალი, ვ-ჭ-კიდ-ი-ვარ, ვ-ა-ჭ-ი-ვარ, ვ-უ-რევ-ი-ვარ.

გარდამავალი ყოფა-მდგომარეობითი ზმნები ერთის ჯურისანი არიან, მაგალი, ვ-წევ-ვარ, ვ-ჭ-ი-ვარ, ვ-დგ-ა-ვარ.

**12. პიმოსახრელი ზენართები და ძვენართები.** ზმნის სხვა-ლასხევა ნაკეთების საწარმოებლად ანუ მის მიმოსახრელად ზმნის ძირის ჯურმსახის გარდა კიღუვ სხვადასხვა ზენართები და ქვენართები ემა-ტება, მაგალი, ვ-ს-დგ-ამ, ვ-დგ-ამ-ს, მ-დგ-ამ-დ-ი, ვ-ს-დგ-ი, ს-დგ-ა; ვ-ი-კითხ-ავ, ვ-ი-კითხ-ა, მ-ი-კითხ-ე, ვ-ი-კითხ-ო.

მიმოსახრელი ზენართები ორნაირია: პირმსახი და მიმართმსა-ხი. პირმსახი ასახიერებს ზმნახრილის პირს, მიმართმსახი ზმნახრი-ლის მიმართს. მაგალი, ნაკვთში ვ-ს-დგ-ამ ვ არის პირმსახი, რად-გან იგი გვიჩვენებს, რომ ზმნა პირველი პირის მოქმედებაა, ს მიმართ-მსახია, რადგან იგი გვიჩვენებს, რომ მოქმედება მიმართულია მესამე პირისაღმი; ნაკვთში ვ-დგ-ამ ვ არის მიმართმსახი, რადგან იგი გვიჩვენებს, რომ მოქმედება მიმართულია მეორე პირისაღმი.

მიმოსახრელი ქვენართებიც ორნაირია: ძირმსახი და საზო-ლოებელი. ძირმსახი ასახიერებს ნაკვთის ძირს, ხოლო საბოლოებე-ლი სრულპყოფს. ნაკვთს, მაგალი, ნაკვთში ვ-ს-დგ-ამ-თ ამ პირმსახია, თ საბოლოებელია.

**13. პირმსახი.** არის ერთადერთი—ვ, რომელიც პირველი პი-რის გამასახიერებელია მესამე მიმართში. პირველი პირი მეორე მი-მართში, ისე როგორც მეორე და მესამე პირი უველა მიმართებში,

უპირმსახოა, თუმცა საფიქრებელია, რომ მათაც უნდა ჰქონოდათ პირმსახი.

ვ-პირმსახს ზმნის ნაკვთში ადგილი უპირავს ძირის თავში მი-  
მართმსახისა და ჯურმსახის წინ, თუ ისინიც არიან ნაკვთში.

მესამე მიმართის მეორე პირი მხოლოდ იმით განსხვავდება პირ-  
ელისახან, რომ პირმსახი არა აქვს, მესამე პირი კი—როგორც პირ-  
მსახის უქონლობით, ისე განსაკუთრებული საბოლოებელით, მაგალ.,  
1<sub>3</sub> ვ-ს-წერ, 2<sub>3</sub> ს-წერ, 3<sub>3</sub> ს-წერ-ს, 1<sub>3</sub> ვ-ს-წერ-თ, 2<sub>3</sub> ს-წერ-თ,  
3<sub>3</sub> ს-წერ-ენ. მეორე და პირველი მიმართის პირები, იმის მიუხედა-  
ვად რომ არა აქვსთ პირმსახები, საბოლოებელით გამოიცნობიან,  
მაგალ., 1<sub>2</sub> გ-წერ, 3<sub>2</sub> გ-წერ-ს, 2<sub>1</sub> მ-წერ, 3<sub>1</sub> მ-წერ-ს.

**14. მიმართმსახი.** მიმართმსახი არის სამი: მესამე მიმართისა—ს  
ან ჸ, მეორე მიმართისა—გ, პირველი მიმართისა—მ. მესამე და მეორე  
მიმართმსახი მრავლობითს ჩატარებით არ იცვლება, პირველი მიმართ-  
მსახი კი იცვლება და არის გვ. მიმართმსახები აქვსთ მხოლოდ გარ-  
დამავალ ზმნებს და ერთს დროში, სახელდობრ, ყველა კილოების  
საზღვრებულ წარსულში, გარდუვალ მოქმედებითს ზმნებსაც. ზმნა-  
ხრილის ნაკვთში მიმართმსახს უპირავს ადგილი ძირის თავში და  
ჯურმსახის წინ, თუ ჯურმსახი არის ნაკვთში.

მესამე მიმართის მსახი ს იხმარება იმ უჯურმსახო ზმნახრილებში,  
რომელთა ძირი იწყება ერთერთი შემდეგი ბერით: დ, თ, ტ, ჩ, ც, ჭ,  
შ, ჸ, მაგალ., ვ-ს-დ-ებ, ვ-ს-თვლ-ი, ვ-ს-ტექ, ს-ჩაგრავ, ს-ცვლ-ი,  
ს-ძრ-ავ, ს-წერ-ს, ს-ჭამ-ს, ს-ჯვერ-დ-ებ-ა. ჸ იხმარება იმ უჯურმსახო  
ზმნახრილებში, რომელთა ძირი იწყება ერთერთი შემდეგი ბერით:  
ბ, გ, კ, პ, ფ, ქ, ყ, მაგალ., ვ-ჰ-ბედ-ავ, ვ-ჰ-გზავნ-ი, ჸ-კრეფ, ჸ-პარავ,  
ჸ-ფლ-ავ-ს, ჸ-ქსოვ-ს, ჸ-ყრ-ი-ს. დანარჩენი თანხმოვანი ბერების წინ  
ახალს ენაში არ მოისმის ჸ-ბერა და ამიტომ მწერლობაშიაც არ  
ხმარობენ მას, თუმცა ძველს მწერლობაში სწერდნენ ამ ასოს და, უც-  
ჭველია, საუბარშიაც გამოსთქმამდენენ.

აღმოსავლეთ-საქართველოში საუბარში აღარ მოისმის მესამე  
მიმართის მსახი ბერა პირველ პირში. მაგალ., ამბობენ: ვ-ბან (ნაცვ-  
ლად ვ-ჰ-ბან), ვ-დ-ებ (ნაცვლად ვ-ს-დ-ებ), ვ-კრეფ (ნაცვლად ვ-ჰ-კრეფ),  
ვ-წერ (ნაცვლად ვ-ს-წერ), თუმცა მეორე და მესამე პირის ნაკვთებში  
მესამე მიმართის მსახი ბერა მაგრად არის. მაგალ., ამბობენ: ჸ-ბან,  
ჸ-ბან-ს, ს-დ-ებ, ს-დ-ებ-ს, ჸ-კრეფ-ს, ს-წერ, ს-წერ-ს.

დასავლეთ-საქართველოში კი ეს მიმართმსახი (როგორც ჸ ისე ს)  
სრულიად აღარ მოისმის არც ერთს პარში. მაგალ., ამბობენ: ვ-ბან, ბან,  
ბან-ს, ვ-დ-ებ, დ-ებ, დ-ებ-ს, ვ-კრეფ, კრეფ-ს, ვ-წერ, წერ-ს.

მეორე და პირველი მიმართის შსახები გ და მ (მრ. რ. გვ) მტკიცედ და უცვლელად იხმარებიან ოოგორუ უჯურმსახო ზმნახრილებში ისე ჯურმსახიანებში, მაგალ., გ-წერ, გ-წერ-ს, გ-ა-წერ, გ-ა-წერ-ს, მ-ცნ-ობ, მ-ცნ-ობ-ს, გვ-ცნ-ობ-ს, მ-ე-ძი-ებ, მ-ე-ძი-ებ-ს, გვ-ე-ძი-ებ-ს და სხვ.

15. ძირმსახი. ძირმსახი სახელზმნასა და ზმნასართავში, ოოგორუ არსებითს და დასართავს სახელში, არის სიტყვის ის ქვენართი, ოომელიც ფუძესთან ერთად ასახიერებს ძირს და ოჩება ბრუნვის ღროს; ზმნახრილში კი სიტყვის ის ქვენართი, ოომელიც ფუძესთან ერთად ოჩება მიმოხრის ღროს ოომელსამე ღროში. მაგალ., სახელზმნაში დნობა ფუძეა დნ, ძირმსახია ობ, საბოლოებელია ა. ფუძე დნ და ძირმსახი ობ ერთად შეადგენენ ძირს დნობ, ოომელიც ბრუნვის ღროს ოჩება უცვლელად. ზმნასართავში ტანჯული ფუძეა ტანჯ, ძირმსახია ულ, საბოლოებელია ი. ფუძე ტანჯულ და ძირმსახი ულ ერთად შეადგენენ ძირს ტანჯულ, ოომელიც ოჩება უცვლელად ბრუნვის ღროს. ზმნახრილში სცნობს ფუძეა ცნ, ძირმსახია ობ, საბოლოებელია ს (ბოლოში), მიმართმსახია ს (თავში). ფუძე ცნ და ძირმსახი ობ ერთად შეადგენენ ძირს ცნობ, ოომელიც აწმყო ღროში მიმოხრის ღროს ოჩება უცვლელად.

შენიშვნა: მიმოსახრელი ძირმსახის გარდა ზმნას შეიძლება ჰქონდეს კიდევ ფუძესთან შეხორცებული ქვენართი, ოომელიც ფუძესთან ერთად უცვლელად ოჩება ზმნის ყველა განსახულებებში, მაგალ., გზავნ-ა, ძებნ-ა, სწავლ-ა. ამ ზმნებში ფუძეებია გზ, ძ, სწავ, მათთან შეხორცებული ქვენართებია აგ-ნ, ებ-ნ, ლ, ოომელიც ზმნის ყველა განსახულებებში ფუძესთან განუყრელნი არიან.

ძირმსახი ზმნაში, ოოგორუ ყოველს სიტყვაში, შეიძლება რავდენიმეც იყვეს ან სულაც არ იყვეს. მაგალ., ზმნახრილში ვცდილობ ფუძეა ცდ, პირმსახია ც, ძირმსახია ილ და ობ, ზმნახრილში ვ-ს-ტეხ ტეხ ფუძეა, ვ—პირმსახი, ს—მიმართმსახი, ძირმსახი სრულებით არ არის.

ზმნის მიმოსახრელი ძირმსახებია: ვ, ავ, ებ, ობ, ოლ, მ, ამ, ომ, ინ, ოლ, დ, ო, ილ, ულ, ი, ა, ე, მაგალ., კითხ-ვ-ა, ვ-ხნ-ავ, ვ-ი-ლ-ებ, ვ-გმ-ობ, სრ-ოლ-ა, ოქ-მ-ა, ნა-სვ-ამ-ი, დგ-ომ-ა, ვ-ა-წერ-ინ-ე, ვ-ს-ცნ-ობ-ოდ-ი, ვ-ს-წერ-ლ-ი, ვ-ს-ტირ-ო-ლ-ი, წერ-ილ-ი, წნ-ულ-ი, ვ-გვ-ი, ვ-ს-ჭრ-ა, ვ-ი-წვ-ე.

16. საბოლოოებელი. სახელზმნასა და ზმნასართავში საბოლოებელი არის ის ქვენართი, ოომელიც სიტყვის ბოლოშია და ბრუნვის ღროს იცვლება, ხოლო ზმნახრილში ის ბოლო ქვენართი, ოომელიც

რომელისამე დროს მიმოხრაში იცვლება. მაგალ., გზავნ-ა, საბოლოე-ბელია ა, რადგან იგი იცვლება მიცემითს და მოქმედებითს საბრუნავებში—გზავნ-ის(ა), გზავნ-ით(ა). ზმნასართავში კრულ-ი საბოლოე-ბელია ი, რადგან იგი იცვლება მიცემითს, მოთხრობითს, ცვალებითს, წოდებითს საბრუნავებში—კრულ-სა, კრულ-მა(ნ), კრულ-ად(ა), კრულ-ო. ზმნასრილში ვ-ს-ჭამ-ე საბოლოებელია ე, რადგან ამავე დროში მიმოხრის დროს იგი იცვლება მესამე პირში—ს-ჭამ-ა.

ზმნასრილის საბოლოებლებია: ა, ე, ი, ო, ს, თ, ეთ, ით, ებ, ნ, ან, ენ, ნენ; იან, მაგალ., ი-ქნ-ებ-ა, ვ-გმ-ე, ვ-სვ-ი, ს-ცხ-ო, ს-ჭრ-ი-ხ, ვ-ს-ცნ-ობ-თ, ვ-ი-ღ-ეთ, ვ-კვთ-დ-ით, ს-თქვ-ეს, გზავნ-ო-ნ, ჰ-ყრ-ი-ან, ს-წერ-ენ, სტირ-ოდ-ნენ, ე-რიდ-ებ-იან.

ზმნასრილის საბოლოებლები განიყოფებიან ათს ჯგუფად, რომელთაგან თვითული წარმოადგენს ამა თუ იმ დროს მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის პირთა საბოლოებლებს, ეს საბოლოებელთა ჯგუფები შემოკლებით აინიშნებიან ასე: ეათეს, ეათნენ, ეოთეს, ეოთნენ, იათეს, იათიან, იათნენ, სთან, სთენ, სთნ. (იხ. ტაბულა I).

ამ ჯგუფებში თ-ბგერა ანიშნავს მრავლობითი რიცხვის 1 და 2 პირის საბოლოებელის ბოლო ბგერას ან თვით საბოლოებელს, მის შემდეგი ბგერები თუ ბგერა—მრავლობითი რიცხვის მესამე პირის საბოლოებელს, ხოლო მის წინ მყოფი ბგერა მხოლობითი რიცხვის მესამე პირის საბოლოებელს. ამ უკანასკნელის წინ მყოფი ბგერა, რომელიც იქნება ან ე ან რ, ალნიშნავს მხოლობითი რიცხვის 1 და 2 პირის საბოლოებელს, რომელიც თ-ბგერასთან ერთად იქნება სრული საბოლოებელი მრავლობითი რიცხვის 1 და 2 პირისა. თუ ჯგუფში თ-ს წინ მყოფი ბგერის წინ არა არის რა, მაშინ მხოლობითი რიცხვის 1 და 2 პირს არ ჰქონიათ საბოლოებელი და მრავლობითი რიცხვის 1 და 2 პირის საბოლოებელი ყოფილა მხოლოდ თ.

ჩამოთვლილი საბოლოებლები პირების ამნიშვნელი საბოლოებლებია, ამიტომ მათ ვუწოდებთ პირხაბოლოებლებს.

არის კიდევ ზმნასრილის ერთგვარი საბოლოებელი, რომელიც ყველა დროს ნაკვთებში ალნიშნავს მიმართის. მრავლობითს რიცხვს. ასეთ საბოლოებელს ჩვენ მიმართსაბოლოებელს ვუწოდებთ. ეს საბოლოებელია თ და იხმარება მხოლოდ მხოლობითი რიცხვის პირველის და მესამე პირის მეორე მიმართის მრავლობითი რიცხვის ასანიშნავად. მაგალ., ფრაზებში მე შენ გწერ, ის შენ გწერს ნაკვთები გწერ, გწერს წარმოადგენენ მხოლობითი რიცხვის პირველი და მესამე პირის მეორე მიმართის მხოლობითს რიცხვს, ხოლო ფრაზებში ჲ თქვენ გწერთ, ის თქვენ გწერსთ ნაკვთები გწერთ, გწერსთ წარ-

მოადგენენ, მხოლობითი რიცხვის, პირველი და მესამე, პირის მეორე მიმართის მრავლობითს რიცხვს.

მრავლობითი რიცხვის ამავ პირების მეორე მიმართის მრავლობითს რიცხვში ეს საბოლოებელი მწერლობაში და საუბარში არ იმარება ალბად იმიტომ, რომ თითონ პირველი პირის მრავ. რიცხვის საბოლოებელი არის თ და მიმართის საბოლოებელის მიმატებით ორი თ მოიყრიდა თავს ერთად და ამიტომ ერთერთი უნდა დაკარგულიყო. რაც შეეხება მრავლ. რიცხვის მესამე პირის მრ. რიცხვის მეორე მიმართს, არის საბუთი იმისი, რომ ამ ნაკვთს თ-ბგერა ასახიერებდა, რადგან ალაგ-ალაგ. (მაგალ. დუშეთის მაზრაში) ეხლაც იტყვიან: ისინი შენ გაქებენ, ისინი თქვენ გაქებენთ; ისინი შენ გწერენ, ისინი თქვენ გწერენთ და სხვ.

ეს საბოლოებელი ხანდახან იხმარება ხოლმე გარდამავალი ვწებებითი გვარის. და მოქმედებითი გვარის ვნებითი ხასიათის ნაკვთებში მესამე პირის მესამე მიმართშიაც. მაგალ., იტყვიან: ის სხვას ექნება, ის სხვებს ექნებათ; ის ქალს ეცოდინება, ის ქალებს ეცოდინებათ; წიგნი მწერალს უწერია, წიგნი მწერლებს უწერიათ; ეს რომ მოწაფეს ეთქვა, ეს რომ მოწაფეებს ეთქვათ; გითომ წიგნი იმას ეჭითხოს, გითომ წიგნი იმათ ეკითხოსთ. ამ ფრაზებში ექნებათ, ეცოდინებათ, უწერიათ, ეთქვათ, ეკითხოსთ წარმოადგენენ. მხ. რიცხვის მესამე პირის მესამე მიმართის მრავლობითს რიცხვს.

სახელზნის და ზმნასართავის საბოლოებელნი არიან იგინივე, რაც არსებითის და დასართავის სახელებისა.

**17. მოდავდებითის და ვნებითის თვისების ნაკვთები. მოქმედებითს ზმნებში ღრუთა ნაკვთები ორის თვისებისანი არიან:** ა): მოქმედებითის თვისებისა და ბ) ვნებითის თვისებისა. მოქმედებითი თვისების ნაკვთით გამოხატული პირი ვნებითს ნაკვთში მოქმედების საგნადაზდება. მაგალ., როცა კაცი ამბობს ვსკერი, ამით გამოხატავს თავის მოქმედებას სხვა პირზედ ან საგანზე გადატანილს ან მიმართულს, ხოლო როცა იგივე კაცი იტყვის ვუპრივარ, ეს იმას ნიშნავს რომ იმაზედ ყოფილა გადმოტანილი სხვის. მოქმედება. პირველს შემთხვევაში კაცი იყო მოქმედი, მის მოქმედების საგანი სხვა იყო, მეორე შემთხვევაში იგი შეიქნა ვნებული, ე. ი. ის გახდა სხვის მოქმედების საგნად. როცა ვეტყვით ვისმე შენ სკერი, ამით ჩვენ ავნიშნავთ მეორე პირის მოქმედებას სხვა პირზე ან საგანზე, გადატანილს, ხოლო როცა ვეტყვით შენ უპრისარ, მაშინ ავნიშნავთ იმავე პირზე სხვის. მოქმედების გადმოტანას, როცა ვიზედმე ვიტყვით იმანჭრა, ეს იმას ნიშნავს, რომ იმან თავის, მოქმედება სხვა საგანზე გა-

დაიტანა ან მიმართა, ხოლო როდესაც მაზედვე ვიტყვით ის უჭრაა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გამხდარა სხვის მოქმედების საგნად, სხვის მოქმედება გადმოტანილია მაზედ. ამნაირად მოქმედებითი თვისების რომელიმე პირის ნაკვთის აზრი პირდაპირ წინამდებრია ვნებითი თვისების იმავე პირის ნაკვთის აზრისა.

მაგრამ, რადგან როგორც მოქმედებითი თვისების, ისე ვნებითი თვისების ნაკვთებს, აქესთ მიმართები, ამიტომ მოქმედებითი თვისების ყოველი ნაკვთის აზრი ადვილად გამოითქმის ვნებითი თვისების ნაკვთებითაც; ამისთვის საკმარისია, მოქმედებითი თვისების ნაკვთის მიმართი შეიცვალოს ვნებითი თვისების ნაკვთის შესატყვისი პირით, ხოლო მისი პირი ვნებითი თვისების ნაკვთის შესატყვისი მიმართით. მაგალ., თუ გვინდა ვნებითი თვისების ნაკვთით გამოვსთქვათ აზრი მოქმედებითი თვისების ნაკვთისა მე ვსწერა. რომელიც წარმოადგენს პირველი პირის მესამე მიმართს, უნდა ავილოთ ვნებითი თვისების ნაკვთის მესამე პირის პირველი მიმართი, რაც არის ის მიწერია. თუ გვინდა ვნებითი თვისების ნაკვთით გამოვსთქვათ აზრი მოქმედებითი თვისების ნაკვთისა შენ მესამე, რომელიც წარმოადგენს მეორე პირის პირველ მიმართს, უნდა ავილოთ ვნებითი თვისების ნაკვთის პირველი პირის მეორე მიმართი, რაიცა არის მე გიგამიგარ.

მოქმედებითს ზმნებში ვნებითი თვისების ნაკვთები მხოლოდ სამს დროს აქვს; ა) გადაჭრითი კილოს საზღვრებულ წარსულს, ბ) ნატვირთი კილოს საზღვრებულ წარსულს და გ) დამოკიდებითი კილოს საზღვრებულ წარსულს.

შესამჩნევი არის ის მოვლენა, რომ გარდუვალი მოქმედებითი ზმნების საზღვრებული წარსული დროების ნაკვთები იმნაირადვე არიან წარმოებულნი როგორც გარდამავალი მოქმედებითი ზმნების ნაკვთები, ეს კია, რომ ამნაირად წარმოებული გარდუვალი მოქმედებითი ზმნების ყველა ნაკვთები არ იხმარებიან. იხმარება მხოლოდ ის ნაკვთები, რომელიც წარმოადგენენ მესამე პირის მესამე, მეორე და პირველ მიმართს, რაიცა უდრის. მოქმედებითი თვისების ნაკვთების პირველს, მეორე და მესამე პირს. ამიტომ იყო, რომ ძველს გრამატიკის მესამე პირის პირველი მიმართი პირველ პირად მიაჩნდათ, მეორე მიმართი მეორე პირად და მესამე მიმართი მესამე პირად.

18. სხვადასხვანაირი გიმოხრა. ყველა ზმნა ერთნაირად არ მიმოიხრება, ეს ი. ზმნები მიმოხრის დროს ერთნაირს მიმოსახრელ ძირმსახურს და საბოლოებლებს, არ ღებულობენ, იმის მიხედვით თუ რანგირად წარმოებენ ნაკვთები, მიმოხრა არის ექვსნაირი;

რაღვან ყველა ამ მიმოხრებში მიმოსახრელი ზენართები ერთ-ნარნი არიან და ერთნაირადვე იქმარებიან, როგორც ეს მოხსენებულია VII თავის 13 და 14 მუხლში, ამიტომ აქ ჩვენ სხვადასხვა მი-მოხრის ცალკე განხილვის დროს მხოლოდ ძირმსახების და პირსაბოლოებლების ხმარებას ავნიშნავთ, რაღვან სწორედ ისინი არიან სხვა-დასხვანაირნი სხვადასხვა მიმოხრის და სხვადასხვა რიგის ნაკვთებში. აგრეთვე არ მოვიხსენიებთ მიმართსაბოლოებლებს, რომელნიც ყველა ზმებში იხმარებიან VI თავის 16 მუხლის თანახმად.

ამას გარდა ჩვენ აქ არ მოვიხსენიებთ ცალცალკე ყველა მიმოხ-რაში ბრძანებითი კილოს სხვადასხვა ნაკვთების წარმოებას, რაღვან ეს ნაკვთები ნასესხებნი არიან. დადებითი ბრძანებითი კილოს აწმყო და მომავალი დროს მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის მეორე პირის ნაკვთები წარმოადგენენ გადაჭრითი კილოს შესრულებული წარსული დროს შესატყვისს ნაკვთებს, დანარჩენი ნაკვთები—დამო-კიდებითი კილოს მომავალი დროს შესატყვის ნაკვთებს. აკრძალვითი ბრძანებითი კილოს აწმყო და მომავალი დროს ნაკვთები წარმოად-გენენ გადაჭრითი კილოს აწმყო და მომავალი დროს შესატყვისს ნაკვთებს. უარყოფითი ბრძანებითი კილოს მომავალი დროს ნაკვ-თები წარმოადგენენ დამოკიდებითი კილოს მომავალი დროს შე-სატყვისს ნაკვთებს.

19. პირველნაირი მიმოხრა. პირველნაირი მიმოხრის წესისა-მებრ მიმოხრებიან გარდამავალი მოქმედებითი ზმები, რომელნიც ხუთის ჯურისანი არიან: 1. უჯურმსახოები, 2. ა-ჯურმსახიანები, 3. ე-ჯურმსახიანები, 4. ი-ჯურმსახიანები და 5. უ(ი)-ჯურმსახიანები. ჯურმსახები თავს იჩენენ ზმნახრილის ნაკვთებში. მხოლოდ სამისავე კილოს საზღვრებული წარსული დროს ნაკვთები ყოველნაირის ჯუ-რის ზმებში (როგორც ჯურმსახიანებში ისე უჯურმსახოებში) ერთსა და იმავე ჯურმსასს ლებულობენ, სახელდობრ, გადაჭრითი კილოს საზღვრებულს წარსულში უ(ი)-ჯურმსასს, ხოლო ნატერითი და და-მოკიდებითი კილოების საზღვრებულს წარსულში ე-ჯურმსახს.

იმის მიხედვით, თუ რა განსხვავებით აწარმოებენ ზმნახრილის სხვადასხვა ნაკვთებს, პირველი მიმოხრის ზმები ცხრა რიგისანი არიან (იხ. ტაბულა II).

ა) პირველ რიგს ეკუთნიან ის ზმები, რომელთა სახელზმნა შედგება ფუძისაგან და ა-საბოლოებელისგან ან ფუძისაგან, მასთან შეხორცებული ძირმსახისაგან და ა-საბოლოებელისაგან. ამასთან საბო-ლოებელის წინ არის მხოლოდ ერთი თანხმოვანი ბერია, მაგალ., წერ-ა, მღერ-ა, კვებ-ა, რეკ-ა, კვეთ-ა, თხოვ-ა, გლოვ-ა, წოვ-ა,

ქსოვ-ა, ჭამ-ა, წვიმ-ა, თოვ-ა, სმენ-ა, ძლევ-ა, ცემ-ა, კრეფ-ა.  
და სხვ.

სხვადასხვა კილოს სხვადასხვა დროს ნაკვთები ამნაირად წარ-  
მოებენ:

**გად.** ქ. აწმყო და მომავალი დროსი: სახელზმნის ძირს ემატება  
სთენ-საბოლოებლები.

„ „ შეუსრულ. წარს. და პირობ. კილოს შესრ. წარს. დრო-  
სი: სახელზმნის ძირს ემატება და-ძირმსახი და იათნენ-სა-  
ბოლოებლები.

„ „ შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება ეათეს-  
საბოლოებლები.

„ „ საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება ო-ძირ-  
მსახი და შემწ. ზმნის გადაჭრ. ქ. აწმყო დროს ნაკვთები.

**ნატ.** ქ. აწმყო და მომავ. დროსი: ს. ძ. ემატება და ე-ძირმსა-  
ხები და სონ-საბოლოებლები.

„ „ საზღ. წარს. დროსი: ს. ძ. ემატება ეათნენ-საბოლოებ-  
ლები.

**დამ.** ქ. საზღ. წარს. დროსი: ს. ძ. ემატება ო-ძირმსახი და სონ-  
საბოლოებლები.

„ „ მომავლ. დროსი: ს. ძ. ემატება ო-ძირმსახი და სონ-სა-  
ბოლოებლები.

ზმნები გმერ-ა, მზერ-ა, შვერ-ა, წყვეტ-ა ჟლეტ-ა, კრებ-ა,  
კრეფ-ა, ყვლეფ-ა, თხლეშ-ა, კბეჩ-ა, ბრეც-ა, ფრენ-ა, კრეჭ-ა,  
გრეხ-ა, გლეჯ-ა, წვენ-ა, წყენ-ა, რცხვენ-ა, კბენ-ა, ხმენ-ა და  
ბევრნი სხვანი, რომელთაც ძირში ე-ბგერა აქვსთ, გადაჭრ. კილოს  
შესრულ. წარსულ დროში, ნატვრ. კილოს. საზღ. წარს. დროში და  
დამძკ. კილოს საზღ. წარს. და მომავალს დროში ამ ე-ბგერას  
სცვლიან ო-ბგერით.

ზმნები წევ-ა, ხევ-ა, ძლევ-ა, ქნევ-ა, ჭმევ-ა, სმევ-ა, ერთის-  
სიტყვით პირველი რიგის ყველა ის ზმნები, რომელთა ფუძეს შეხორ-  
ცებული აქვს ევ-ძირმსახი, ზევით დასახელებულ დროებში ე-ბგერის  
ო-ბგერით შეცვლის გარდა ე-ბგერასაც ჰეარგავენ.

ზმნები ჭმევ-ა და სმევ-ა აღნიშნულ დროებში უფრო ხშირად  
ა-ჯურმსახიანი ჭამა და სშა-ზმნების ნაკვთებს ხმარობენ. მაგალ.,  
ნაცვლად ვა-ჭმი-ე, ა-ჭმი-ე, ა-ჭმი-ა, და სხ. ხმარობენ: ვ-ა-ჭამ-ე,  
ა-ჭამ-ე, ა-ჭამ-ა და სხვ. ან ნაცვლად ვ-ა-სში-ე, ა-სში-ე, ა-სში-ა და  
სხვ. ხმარობენ: ვ-ა-სშ-ი, ა-სშ-ი, ა-სშ-ა და სხვ.

ზმნა თხოვა, ი-ჯურმსახიანშ, გ- ქ- აწმყო დროს, შეუსრულ-წარს. დროს და ნ. კ. აწმყო დროს ნაკვთებს სხვანაირადაც აწარ-მოებს. ფუძის შემჩერებულობს ძირმსახებს ულ-ობ და ასე იხმა-რება:

გთხოვ-ულობ, გთხოვ-ულობ, თხოვ-ულობ, მთხოვ-ულობ, თხოვ-ულობ-ს, გთხოვ-ულობ-ს, მთხოვ-ულობ-ს, გთხოვ-ულობ-დ-ი, თხოვ-ულობ-დ-ა, გთხოვ-ულობ-დ-ე, თხოვ-ულობ-დ-ე-ს და სხვ. ო და უ ბგერებს შორის გ-ბგერა ხშირად ისპობა და ითქმის: გთ-ხოულობ, გთხოულობ და სხვ.

ბ) მეორე რიგს ეკუთნიან ის ზმნები, რომელთა სახელზმნა შედგება ფუძისა და ა-საბოლოებელისაგან ან ფუძისაგან, მასთან შე-ხორცებულის ძირმსახისაგან და ა-საბოლოებელისაგან. ამასთან სა-ჭილოებლის წინ არის ორი ან მეტი თანხმოვანი: ბგერა, მაგალ., ქრა, ცრ-ა, ყრ-ა, ბრ-ა, ხრ-ა, გლ-ა, გვ-ა, ცვლ-ა, თლ-ა, თვლ-ა, ხჯ-ა, ხგრ-ა, ზრდ-ა, ღვრ-ა, ნატრ-ა, ქჩნ-ა, ბდლვნ-ა, ფცქვნ-ა, ღრლნ-ა, ფჟგვნ-ა, ჩიტქნ-ა, კოცნ-ა, სწავლ-ა, ძებნ-ა, გზავნ-ა და სხვა.

სხვადასხვა კილოს სხვადასხვა დროს ნაკვთები ამნაირად წარ-მოებენ:

**გად.** კ. აწმყო და მომაგალი დროსი: სახელზმნის ძირს ემატება ი-ძირმსახი და სთან-საბოლოებლები.

, „ შეუსრ. წარს. და პირ. კილოს შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება ი და დ ძირმსახი და იათ-ნენ-საბოლოებლები.

, „ შეხრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება ეათეს-საბოლოებლები.

, „ ხაზლ. წარს. დროსი: ს. ძ. ემატება ი-ძირმსახი და შემწ-ზმნის გადაჭ. კ. აწმყო დროს ნაკვთები.

**ნატ.** კ. აწმყო და მომაგ. დროსი: ს. ძ. ემატება ი, დ და ე-ძირ-მსახი და სთნ-საბოლოებლები.

, „ ხაზლ. წარს. დროსი: ს. ძ. ემატება ეათნენ-საბოლოებ-ლები.

**დამ.** კ. ხაზლ. წარს. დროსი: ს. ძ. ემატება ო-ძირმსახი და სთნ-საბოლოებლები.

, „ მომაგალი დროსი: ს. ძ. ემატება ო-ძირმსახი და სთნ-საბოლოებლები.

იშ ზმნებში, რომელთა ტურქ. ან ძირი უხმოვანოა, გადაჭ. კ. შესრ. წარს. დროში ფურქ. თუ ძირი ხმოვანდება ან ა-ბგერით ან

უ-ბგერით. ისინი, რომელნიც ა-ბგერით ხმოვანდებიან, ყველა პირებში ხმოვანდებიან, ხოლო რომელნიც ე-ბგერით ხმოვანდებიან, მხოლოდ 1 და 2 პირში ხმოვანდებიან და ეათეს-საბოლოებლების მაგიერ იათეს-საბოლოებლებს ლებულობენ, მაგალ., ყრ-ა—1<sub>3</sub>, ვ-ჴ-ყარ-ე, 2<sub>3</sub>, ჵ-ყარ-ე, 3<sub>3</sub>, ჵ-ყარ-ა და სხვ.; ჭრ-ა—1<sub>3</sub>, ვ-ს-ჭერ-ი, 2<sub>3</sub>, ს-ჭერ-ი, 3<sub>3</sub>, ხ-ჭრ-ა და სხვ.

ა-ბგერით გახმოვანდებული ძირები უცვლელად რჩებიან ნატვრ. კ. საზღვრ. წარსულში, დამოკ. კ. საზღვრ. წარს. და ამავე კილოს მომავალს დროში, ხოლო ე-ბგერით გახმოვანდებული ძირი მხოლოდ ნატვრ. კილოს საზღვრ. წარსულის 1 და 2 პირში რჩება გახმოვანდებული, ამასთან უათენ-საბოლოებლების მაგიერ ლებულობს იათენ-საბოლოებლებს, დამოკ. კილოში კი როგორც საზღვ. წარსულს ისე მომავალს დროში ძირი გაუხმოვანდებელი რჩება და ლებულობს თ-ძირმსახის მაგიერ ა-ძირმსახს, მაგ., ნ. კ. საზღ. წარს. დრ. მხ. რ. 1<sub>3</sub> ვ-ე-ყარ-ე, 2<sub>3</sub> ე-ყარ-ე, 3<sub>3</sub> ე-ყარ-ა, მრ. რ. 1<sub>3</sub> ვ-ე-ყარ-ეთ, 2<sub>3</sub> ე-ყარ-ეთ, 3<sub>3</sub> ე-ყარ-ნენ; მხ. რ. 1<sub>3</sub> ვ-ე-ჭერ-ი, 2<sub>3</sub> ე-ჭერ-ი, 3<sub>3</sub> ე-ჭრ-ა, მრ. რ. 1<sub>3</sub> ვ-ე-ჭერ-ით, 2<sub>3</sub> ე-ჭერ-ით, 3<sub>3</sub> ე-ჭრ-ნენ. დამოკ. კ. საზღ. წარს. დროს მხ. რ. ვ-ე-ყარ-ო, ე-ყარ-ო, ე-ყარ-ო-ს და სხვ.; ვ-ე-ჭრ-ა, ე-ჭრ-ა, ე-ჭრ-ა-ს და სხ. დამოკ. კ. მომავ. დროს მხ. რ. ვ-ჴ-ყარ-ო, ჵ-ყარ-ო, ჵ-ყარ-ო-ს; ვ-ს-ჭრ-ა, ხ-ჭრ-ა, ხ-ჭრ-ა-ს.

ზმნები შოვნ-ა და ზოვნ-ა, ი-ჯურმსახიანები, გ. კ. აწმუო დროს ნაკვთებს განსხვავებულად აწარმოებენ. ძირის შემზეგ ლებულობენ ძირმსახებს ულ-ობ. მაგალ., შოვნ-ა—მხ. რ. 1<sub>3</sub> ვ-შოვნ-ულ-ობ, 2<sub>3</sub> შოვნ-ულ-ობ, 3<sub>3</sub> შოვნ-ულ-ობ-ს, მრ. რ. 1<sub>3</sub> ვ-შოვნ-ულ-ობ-თ, 2<sub>3</sub> შოვნ-ულ-ობ-თ, 3<sub>3</sub> შოვნ-ულ-ობ-ენ. ერთის სიტყვით მიმოიხრება თითქოს სახელზმნა ყოფილიყვეს შოვნულობა, როგორც 5 რიგის ზმნა. ასევე თავისებურად, წარმოებენ გადაჭრ. კილოს შეუსრ. წარსული დროს და ნატვრ. კილოს აწმუო დროს ნაკვთები: ვ-შოვნ-ულ-ობ-დ-ი, შოვნ-ულ-ობ-დ-ი, შოვნ-ულ-ობ-დ-ა და სხვ. ვ-ჴ-პოვნ-ულ-ობ-დ-ი, ჵ-პოვნ-ულ-ობ-დ-ი, ჵ-პოვნ-ულ-ობ-დ-ა და სხვ. ვ-შოვნ-ულ-ობ-დ-ე, შოვნ-ულ-ობ-დ-ე-ს და სხვ.

ამ ზმნების ნაკვთებში ნ-ბგერა (ძირმსახი) ხშირად ისპობა, მაგალ., ამბობენ: ვ-ჴ-პოვ-ულობ, ვ-ჴ-პოვ-ულობ-დი, ვ-ი-პოვ-ე, ვ-ი-პოვ-ი და სხვ. ხანდახან კი ვ-ბგერაც იქარგება, როგორც ორს ხმოვანს შორის მყოფი და იტყვიან ხოლმე: ჵ-ჴ-პო-ულობ, ვ-შო-ულობ ვ-ი-პო-ე, ვ-ი-შო-ე, ვ-ი-პო-ი, ვ-ი-შო-ი და სხ.

აგრეთვე ზმნა ნატრ-ა, ი-ჯურმსახიანი, გ. კ. აწმუო დროს, შეუსრ. წარს. დროს და ნატვრ. კ. აწმუო დროს ნაკვთებს ისეც აწარმოებს,

თითქო მისი სახელზმნა ყოფილიყვეს ნატრ-ულობა. მაგალ., ვ-ი-ნატრ-ი ან ვ-ნატრ-ულობ, ვ-ი-ნატრ-ი-დ-ი ან ვ-ნატრ-ულობ-დ-ი, ვ-ი-ნატრ-ი-დ-ე ან ვ-ნატრ-ულობ-დ-ე.

ზმნა ხწავლა-ა, ი-ჯურმსახიანი, გ. კ. აწმყო და შეუსრ. წარსულს და ნ. კ. აწმყო დროს ისე აწარმოებს თითქო მის სახელზმნა ყოფილიყვეს სწავლობა, მაგალ., ვ-ხწავლობ, ვ-ხწავლობ-დ-ი, ვ-ხწავლობ-დ-ე.

ზმნა ძებნა-ა აწარმოებს ნაკვთებს აგრეთვე როგორც ე-ჯურმსახიანი ზმნა 1 რიგისა, თითქოს მის სახელზმნა ყოფილიყვეს ძებნა. მაგალ., აწმყო დროს მხ. რ. 1<sub>3</sub> ვ-ე-ძებ, 2<sub>3</sub> ე-ძებ, 3<sub>3</sub> ე-ძებ-ს და სხ. შესრ. წარს. დროს მხ. რ. 1<sub>3</sub> ვ-ე-ძებ-ე, 2<sub>3</sub> ე-ძებ-ე, 3<sub>3</sub> ე-ძებ-ა.

პირველი რიგის ზმნები მღერა-და ცქერა-და მეორე რიგის წესისამებრაც აწარმოებენ გ. კ. აწმყო დროს, მაგალ., ვ-უ-მღერ-ი, უ-მღერ-ი, უ-მღერ-ი-ს, ვ-უ-მღერ-ი-თ, უ-მღერ-ი-თ, უ-მღერ-ი-ან; ვ-უ-ცქერ-ი, უ-ცქერ-ი და სხვ.

გ) მესაშე რიგის ზმნებს ეკუთნიან ის ზმნები, რომელთა სახელზმნა შედგება ფუძისაგან, ვ-ძირმსახისაგან და ა-საბოლოებელისაგან ან ფუძისაგან, მასთან შეხორცებულის ძირმსახისაგან, ვ-ძირმსახისაგან და ა-საბოლოებელისაგან. მაგალ., ჰელ-ვ-ა, ზოგ-ვ-ა, დაგ-ვ-ა, ბერ-ვ-ა, კეთ-ვ-ა, პარს-ვ-ა, ლოკ-ვ-ა, ლუპ-ვ-ა, ლუნ-ვ-ა, სრ-ვ-ა, რგ-ვ-ა, ფლ-ვ-ა, ფიც-ვ-ა; ხარშ-ვ-ა, გარს-ვ-ა და სხვ.

სხვადასხვა, კილოს სხვადასხვა დროს ნაკვთები ამნაირად წარმოებენ:

გად. კ. აწმყო და მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ვ-ძირმსახი ეცვლება ავ-ძირმსახით, შემდეგ ემატება ბთენ-საბოლოებლები.

„ „ შეუხრ. წარს. და პირობ. კილოს შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ვ-ძირმსახი ეცვლება ავ-ძირმსახით, შემდეგ ემატება დ-ძირმსახი და იათენ-საბოლოებლები.

„ „ შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ვ-ძირმსახი და ემატება ეათეს-საბოლოებლები.

„ „ საზღ. წარს. დროსი: ს. ძ. ეკარგება ვ-ძირმსახი, შემდეგ ემატება ი-ძირმსახი და შემშ. ზმნის გადაჭრ. კ. აწმყო დროს ნაკვთები.

ზატ. კ. აწმყო და მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ვ-ძირმსახი ეცვლება ავ-ძირმსახით, შემდეგ ემატება დ და ე-ძირმსახები და ხთნ-საბოლოებლები.

**ნატ.** კ. **საზღ.** წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ვ-ძირ-მსახი და ემატება ეათნენ-საბოლოებლები.

**დამ.** კ. **საზღ.** წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ვ-ძირ-მსახი, შემდეგ ემატება ო-ძირმსახი და სთნ-საბოლოებლები.

, , **მომავ.** დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ვ-ძირმსახი, შემდეგ ემატება ო-ძირმსახი და სთნ-საბოლოებლები.

ამ რიგის ზმნების უხმოვანო ფუძის მქონე სახელზმნებში და აგრეთვე იმ ხმოვანფუძიანებში, რომლებშიც ფუძის ხმოვანს მოსდევს რავდენიმე თანხმოვანი ბგერა, ძირმსახის ბგერა ვ გადაღის ფუძეში ან, თუ ფუძეს მოსდევს შეხორცებული ძირმსახი, ფუძესა და ამ ძირ-მსახს შუა ექცევა, მაგალ., ხვნ-ა (ნაცვლად ხნ-გ-ა), კვლ-ა (ნაც. კლ-გ-ა), ხვრ-ა (ნაც. ხრ-გ-ა), კვრ-ა (ნაც. კრ-გ-ა), ნათვლ-ა (ნაც. ნათლ-გ-ა).

გამონაკლისს შეადგენენ: სრ-გ-ა, რგ-გ-ა, ფლ-გ-ა და თხზ-გ-ა, რომლებშიც ვ-ძირმსახი თავის ადგილზეა და არ გადასულა ფუძეში.

იმ სახელზმნებში, რომელთა ზმნის ფუძე თავდება ვ-ბგერით, ფუძის ვ ისპობა ვ-ძირმსახის წინ და ჩნდება ზმნახრილში იქ სადაც ვ-ძირმსახი იკარგება, მაგალ., წ-გ-ა (ნაც. წვ-გ-ა), ც-გ-ა (ნაც. ცვ-გ-ა), ჯქ-გ-ა (ნაც. ფქვ-გ-ა), ცარც-გ-ა (ნაც. ცარცვ-გ-ა) და სხვ.

უხმოვანი ფუძის მქონე ზმნების შესრულებულ წარსულ დროში, როდესაც სახელზმნაში ვ-ძირმსახი გადაღის ფუძეში, ფუძე ხმოვან-დება 1 და 2 პირში ა-ბგერით, რომელიც იჭერს იმ ადგილს, სადაც სახელზმნაში იყო ვ-ბგერა. ამ გახმოვანებასთან ერთად ამ დროს ნაკვთები ეათეს-საბოლოებლების ნაცვლად იათეს-საბოლოებლებს ღებულობენ, მაგალ., ხვნ-ა — 1<sub>3</sub> ვ-ხან-ი, 2<sub>3</sub> ხან-ი, 3<sub>3</sub> ხნ-ა და სხვ.

ამავე ზმნების ნატვრითი კილოს საზღ. წარსული დროს 1 და 2 პირი ხმოვანდებიან ა-ბგერით და ნაკვთები ღებულობენ იათნენ-საბოლოებლებს. დამოკიდებითი კილოს საზღ. წარსული და მომავალი დროს ნაკვთები ღებულობენ ა-ძირმსახის ო-ძირმსახის ნაცვლად მაგალ., ნატ. კ. საზღ. წარს. დრო, 1<sub>3</sub> ვ-ე-ხან-ი, 2<sub>3</sub> ე-ხან-ი, 3<sub>3</sub> ე-ხნ-ა, და სხვ. დამოკ. კ. საზღ. წარს. დრო, 1<sub>3</sub> ვ-ე-ხნ-ა, 2<sub>3</sub> ე-ხნ-ა, 3<sub>3</sub> ე-ხნ-ა-ს და სხვ. დამოკ. კ. მომავ. დრო, 1<sub>3</sub> ვ-ხნ-ა, 2<sub>3</sub> ხნ-ა, 3<sub>3</sub> ხნ-ა-ს და სხვ.

ზმნაში ც-გ-ა (ცვ-გ-ა) გადაჭ. კ. შესრ. წარს. და ნატვრ. კ. საზღ. წარს. დროში 1 და 2 პირი ხმოვანდებიან ა-ბგერით და ნაკვთები ღებულობენ იათეს-საბოლოებლებს ვ. კ. შესრ. წარსულში და იათნენ-

საბოლოებლებს ნატვრ. კ. საზღ. წარს. დროში, მაგალ., გადაჭრ. კ. შესრ. წარს. დრო, 1<sub>3</sub> ვ-ი-ცავ-ი, 2<sub>3</sub> ი-ცავ-ი, 3<sub>3</sub> ი-ცვ-ა და სხვ. ნატვრ. კ. საზღვრ. წარს. დრო, 1<sub>3</sub> ვ-ე-ცავ-ი, 2<sub>3</sub> ე-ცავ-ი, 3<sub>3</sub> ე-ცვ-ა და სხვ.

სხვა ზმნები, რომელთა უხმოვანი ფუძითგან სახელზმნაში გამოვრდნილია ვ-ბგერა, არ იხმოვანებენ ფუქტეს, მაგრამ გადაჭრ. კ. შეს. წარს. დროში ლებულობენ იათეს-საბოლოებლებს, ნატვრ. კ. საზღ. წარსულში იათნენ-საბოლოებლებს, დამოკ. კ. საზღ. წარს. და მომაგალში ა-ძირმსახს თ-ძირმსახის ნაცვლად, მაგალ., გადაჭრ. კ. შესრ. წარს. დრო, წ-გ-ა—1<sub>3</sub> ვ-ს-წვ-ი, 2<sub>3</sub> ს-წვ-ი, 3<sub>3</sub> ს-წვ-ა და სხვ. ფქ-ვ-ა—1<sub>3</sub> ვ-ჲ-ფქვ-ი, 2<sub>3</sub>, ჲ-ფქვ-ი, 3<sub>3</sub> ჲ-ფქვ-ა და სხვ. ნატვრ. კ. საზღ. წარს. დრო, წ-გ-ა—1<sub>3</sub> ვ-გ-ე-წვ-ი, 2<sub>3</sub> ე-წვ-ი, 3<sub>3</sub> ე-წვ-ა და სხვ. ფქ-ვ-ა—1<sub>3</sub> ვ-ე-ფქვ-ი, 2<sub>3</sub> ე-ფქვ-ი, 3<sub>3</sub> ე-ფქვ-ა და სხვ. დამოკ. კ. საზღ. წარს. დრო, წ-გ-ა—1<sub>3</sub> ვ-ე-წვ-ა, 2<sub>3</sub> ე-წვ-ა, 3<sub>3</sub> ე-წვ-ა-ს და სხვ. დამოკ. კ. მომაგა დრო, წ-გ-ა—1<sub>3</sub> ვ-ს-წვ-ა, 2<sub>3</sub> ს-წვ-ა, 3<sub>3</sub> ს-წვ-ა-ს და სხვ. ფქ-ვ-ა—1<sub>3</sub> ვ-ჲ-ფქვ-ა, 2<sub>3</sub> ჲ-ფქვ-ა, 3<sub>3</sub> ჲ-ფქვ-ა-ს და სხვ.

ზმნა ფლ-ვ-ა გადაჭრ. კ. შესრ. წარ. და ნატვრ. კ. საზღ. წარს. დროში 1 და 2 პირის ნაკვთებში ხმოვანდება ა-ბგერით და ლებულობს გადაჭრ. კ. შესრ. წარს. დროს ნაკვთებში იათეს-საბოლოებლებს, ნატვრ. კ. საზღვ. წარს. დროს ნაკვთებში იათნენ-საბოლოებლებს, მაგალითად, ვ-ჲ-ფალ-ი, ჲ-ფალ-ი, ჲ-ფლ-ა, ვ-ჲ-ფალ-ით, ჲ-ფალ-ით, ჲ-ფლ-ეს; ვ-ე-ფალ-ი, ე-ფალ-ი, ე-ფლ-ა, ვ-ე-ფალ-ით, ე-ფალ-ით, ე-ფლ-ნენ.

დამოკიდებითი კილოს საზღვრ. წარსულს და მომავალს დროში ამ ზმნის ნაკვთები ლებულობენ ა-ძირმსახს თ-ძირმსახის ნაცვლად, მაგალ., ვ-ე-ფლ-ა, ე-ფლ-ა, ე-ფლ-ა-ს და სხვ.; ვ-ჲ-ფლ-ა, ჲ-ფლ-ა, ჲ-ფლ-ა-ს და სხვ.

ზმნა რგ-ვ-ა და რწყ-ვ-ა გადაჭრ. კ. შესრ. წარს. და ნატვრ. კ. საზღ. წარს. დროში ლებულობენ ეოთეს და ეოთნენ-საბოლოებლებს, ხოლო დამოკ. კ. საზღვ. წარს. და მომაგ. დროში საერთო წესისამებრ თ-ძირმსახს, მაგალ., გ. კ. შესრ. წარს. დრო, ვ-რგ-ე, რგ-ე, რგ-ო, ვ-რგ-ეთ, რგ-ეთ, რგ-ეს; ნ. კ. საზღ. წარს. დრო, ვ-ე-რგ-ე, ე-რგ-ე, ე-რგ-ო, ვ-ე-რგ-ეთ, ე-რგ-ეთ, ე-რგ-ნენ; დ. კ. საზღ. წარს. დრო, ვ-ე-რგ-ო, ე-რგ-ო, ე-რგ-ო-ს, ვ-ე-რგ-ო-თ, ე-რგ-ო-თ, ე-რგ-ო-ნ; დ. კ. საზღ. წარს. დრო, ვ-რგ-ო, რგ-ო, რგ-ო-ს, ვ-რგ-ო-თ, რგ-ო-თ, რგ-ო-ნ.

ზმნები სრ-ვ-ა, წყლ-ვ-ა და თხზ-ვ-ა გადაჭრ. კ. შესრ. წარს. და ნატვრ. კ. საზღ. წარს. დროს ნაკვთებს აწარმოებენ. საერთო წესით ეათვეს და ეათნენ-საბოლოებლებით, ხოლო დამოკიდებითი კილოს საზღ. წარს. და მომავალი დროს ნაკვთებს ა-ძირმსახით ო-ძირმსახის ნაცვლად, მაგალ., გ. კ. შესრ. წარს. დ., ვ-სრ-ე, სრ-ე, სრ-ა, ვ-სრ-ეთ, სრ-ეთ, სრ-ეს; ნ. კ. საზღ. წარს. დ., ვ-ე-სრ-ე, ე-სრ-ე, ე-სრ-ა, ვ-ე-სრ-ეთ, ე-სრ-ეთ, ე-სრ-ნენ; დ. კ. საზღ. წარს. დ., ვ-ე-სრ-ა, ე-სრ-ა, ე-სრ-ა-ს, ვ-ე-სრ-ა-თ, ე-სრ-ა-თ, ე-სრ-ა-ნ; დ. კ. მომავ. დ., ვ-სრ-ა, სრ-ა, სრ-ა-ს, ვ-სრ-ა-თ, სრ-ა-თ, სრ-ა-ნ; გ. კ. შესრ. წარს. დ., ვ-ე-თხზ-ე, ს-თხზ-ე, ს-თხზ-ა, ვ-ე-თხზ-ეთ, ს-თხზ-ეთ, ს-თხზ-ეს; ნ. კ. საზღ. წარს. დ., ვ-ე-თხზ-ე, ე-თხზ-ე, ე-თხზ-ა, ვ-ე-თხზ-ეთ, ე-თხზ-ნენ; დ. კ. საზღ. წარს. დ., ვ-ე-თხზ-ა, ე-თხზ-ა, ე-თხზ-ა-ს, ვ-ე-თხზ-ა-თ, ე-თხზ-ა-თ, ე-თხზ-ა-ნ. დ. კ. მომავ. დ., ვ-ე-თხზ-ა, ს-თხზ-ა, ს-თხზ-ა-ს, ვ-ე-თხზ-ა-თ, ს-თხზ-ა-თ, ს-თხზ-ა-ნ.

ამ რიგის თითქმის ყველა ზმნები გადაჭრითი კილოს საზღვრებულ წარსულ დროში ი-ძირმსახის ნაცვლად ლებულობენ აგრეთვე აგ-ძირმსახს, ხოლო მხოლობითი რიცხვის მესამე პირში შემწეობითი ზმნა ლებულობს ს-სახეს ა-სახის ნაცვლად. მაგალ., იტყვიან: ვ-უ-ჭედ-ი-ვარ ან ვ-უ-ჭედ-ავ-ვარ, გ-ი-ჭედ-ი-ვარ ან გ-ი-ჭედ-ავ-ვარ, უ-ჭედ-ი-ა ან უ-ჭედ-ავ-ს.

ამ რიგის ზოგიერთი ი-ჯურმსახიანი ზმნები გ. კილოს აწმყო და შესრ. წარს. დროში და ნატვრ. კილოს აწმყო დროში აგ-ძირმსახის ნაცვლად ლებულობენ ულ-ობ-ძირმსახებს და ჰკარგავენ ი-ჯურმსახს. მაგალ., იტყვიან: ვ-ჳ-კით-ხ-ულობ (ნაცვ. ვ-ი-კითხ-ავ), ვ-ჳ-კითხ-ულობ-დ-ი (ნაცვ. ვ-ი-კითხ-ავ-დ-ი), ვ-ჳ-კითხ-ულობ-დ-ე (ნაცვ. ვ-ი-კითხ-ავ-დ-ე); ს-ტვირთ-ულობ-ს (ნაცვ. ი-ტვირთ-ავ-ს) ს-ტვირთ-ულობ-დ-ა (ნაცვ. ი-ტვირთ-ავ-დ-ა), ს-ტვირთ-ულობ-დ-ე-ს (ნაცვ. ი-ტვირთ-ავ-დ-ე-ს).

ზმნა ყიდვა აწმყო და სხვა დროებში აგ-ძირმსახის მაგიერ ლებულობს ი-ძირმსახს, მაგალ., ვ-ჳ-ყიდ-ი (ნაცვ. ვ-ჳ-ყიდ-ავ), ვ-ჳ-ყიდ-ი-დ-ი (ნაცვ. ვ-ჳ-ყიდ-ავ-დ-ი), ვ-ჳ-ყიდ-ი-დ-ე (ნაცვ. ვ-ჳ-ყიდ-ავ-დ-ე), იმ დროში, საღაც ამ ძირმსახს მოსდევს საბოლოებლები, სახელდობრ აწმყოში და მომავალში, სთენ-საბოლოებლები სთან-საბოლოებლებით იცვლებიან, მაგალ., ჳ-ყიდ-ი-ან (ნაცვ. ჳ-ყიდ-ავ-ენ).

იგივე ზმნა ყიდვა, ი-ჯურმსახიანი, გ. კ. აწმყო და შესრ. წარს. დროში და ნატვრ. კ. აწმყო დროში, აგ-ძირმსახის მაგიერ ლებულობს ულ-ობ-ძირმსახებს, გადაჭრ. კ. მომავალს, პირ. კ. შესრ. წარ-

სულს და ნატერ. კილოს მრმავ. დროში გ-ძირმსახს ინარჩუნებს, მაგალ., ვ-ყიდ-ულობ, ვ-ყიდ-ულობ-დ-ი, ვ-ყიდ-ულობ-დ-ე; ვ-ი-ყიდ-ი, ვ-ი-ყიდ-ი-დ-ე.

საუბარშიაც და მწერლობაშიაც ხშირად ყიდვა-ზმნის ფუძეს ჟავში ემატება ს-ბერია, რაიცა შეიძლება იყვეს ფუძის ერთი შემაღლენელი ბერათაგანი, რადგან იგი იჩენს თავს ზმნის ყველა განსახულებაში, მაგალ., სყიდვა, შესყიდვა, ვსყიდულობ, შევისყიდი, მსყიდველი, ხყიდული, ნახყიდი, სახყიდელი.

ზმნა ნახვა, ი-ჯურმსახიანი, ფუძის შემდეგ ღებულობს ულ-ობ-ძირმსახებს და მიმოხრება ულ-ძირმსახის ყველა დროს ნაკვთებში შენახვით მეორე მიმოხრის 5 რიგის ზმნებისამებრ, თითქოს მისი სახელზმნა ყოფილიყვეს ნახულობა; მაგალ., გ. კ. აწმყო დროს 1; ვ-ნახ-ულ-ობ, შესრ. წარს. დროს 1; ვ-ი-ნახ-ულ-ე, საზღ. წარს. დროს 1; ვ-უ-ნახ-ულ-ი-ვარ, მომავალი დროს 1; ვ-ი-ნახ-ულ-ებ და სხვ. მეორე მიმოხრის მეხუთე რიგის ზმნების მიმოხრისგან იმით განსხვავდება, რომ მიმართის ნაკვთებს აწარმოებს.

ზოგიერთი ზმნები ხანდახან ჰერგავენ ვ-ძირმსახს და მაშინ მიმოხრებიან ხოლმე როგორც პირველი რიგის ზმნები, მაგალ., კეტვ-ა ან კეტ-ა, ჩეხ-ვ-ა ან ჩეხ-ა, ტეხ-ვ-ა ან ტეხ-ა და სხვ.

მიმოხრაში ძირმსახი ავ ხანდახან ჰერგავეს ა-ბერის გად, კილოს აწმყო და მომავალი დროს მრ. რ. მესამე პირში. მაგალ., ნაცვლად ჰ-კითხ-ავ-ენ, იტყვიან: ჰ-კითხ-ვ-ენ, ნაცვლად ი-კითხ-ავ-ენ, იტყვიან: ი-კითხ-ვ-ენ, ნაცვლად ს-ჭედ-ავ-ენ, იტყვიან: ს-ჭედ-ვ-ენ, ნაცვლად ს-დაგ-ავ-ენ, იტყვიან: ს-დაგ-ვ-ენ.

(დ) მეოთხე რიგს ეკუთნიან ის ზმნები, რომელთა სახელზმნა შედგება ფუძისგან, მ-ძირმსახისაგან და ა-საბოლოებელისაგან, მაგალ., დგ-მ-ა, ბ-მ-ა, სხ-მ-ა, ს-მ-ა (ხვ-მ-ა), თქ-მ-ა (თქვ-მ-ა), ც-მ-ა (ცვ-მ-ა), რტყ-მ-ა და სხვ.

ამ რიგის ზმნებში ფუძის ვ-ბერა სახელზმნაში და ზმნასართვის ზოგიერთს ნაკვთებში იკარგება და ჩნდება ზმნახრილში და ზმნასართვის ზოგიერთს ნაკვთებში, მაგალ., ს-მ-ა, ს-მ-ული, სა-ქ-მ-ელი; ვ-სვ-ამ, ვ-სვ-ი, ვ-უ-სვ-ამ-ვარ, ვ-სვ-ა, ნა-სვ-ამ-ი.

სხვადასხვა კილოს სხვადასხვა დროს ნაკვთები ამნაირად წარმოებენ:

გ. კ. აწმყო და მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს მ-ძირმსახი ეცვლება ამ-ძირმსახით და ემატება სთენ-საბოლოებლები.

- გ. კ. **შეუსრ.** წარს. და პირ. კ. შეს. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს მ-ძირმსახი ეცვლება ამ-ძირმსახით, შემდეგ ემატება დ-ძირმსახი და იათნენ-საბოლოებლები.
- „ „ **შესრ.** წარს. დროსი: სახელზმნის ძირს მ-ძირმსახი ეკარგება და ემატება იათეს-საბოლოებლები.
- „ „ **საზღვ.** წარს. დროსი: სახელზმნის ძირს მ-ძირმსახი ეცვლება ამ-ძირმსახით და ემატება შემწ. ზმნის გ. კ. აწ-მყო დროს ნაკვთები.
- ნ. კ. **აწმყო** და **მომავ.** დროსი: სახელზმნის ძირს მ-ძირმსახი ეცვლება ამ-ძირმსახით, შემდეგ ემატება დ და ე-ძირმსახები და სთნ-საბოლოებლები.
- „ „ **საზღ.** წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება. მ-ძირმსახი და ემატება იათნენ-საბოლოებლები.
- ღ. კ. **საზღ.** წარს. დროსი: ს. ძ. ეკარგება მ-ძირმსახი და ემატება ა-ძირმსახი და სთნ-საბოლოებლები.
- „ „ **მომავ.** დროსი: ს. ძ. ეკარგება მ-ძირმსახი და ემატება ა-ძირმსახი და სთნ-საბოლოებლები.

თითქმის ყველა ზმნები გადაჭრითი კილოს საზღვრებულ წარსულ დროში ნაცვლად ამ-ძირმსახისა ლებულობენ აგრეთვე ი-ძირმსახს, ამ შემთხვევაში შემწეობითი ზმნის გადაჭრ. კილოს აწმყო დროს მხ. რ. მესამე პირი ლებულობს ს-სახის მაგიერ ა-სახეს.

ე) **მეცუთე რიგს** ეკუთნიან ის ზმნები, რომელთა სახელზმნა შედგება ფუძისაგან, ობ(ოფ)-ძირმსახისაგან და ა-საბოლოებელისაგან, მაგალ., ვმ-ობ-ა, წყ-ობ-ა, ღრობ-ობ-ა, ცხრ-ობ-ა, ქრ-ობ-ა, ჩცრ-ობ-ა, სპ-ობ-ა, ცნ-ობ-ა, პ-ობ-ა, ტყ-ობ-ა, პყრ-ობ-ა, თხრ-ობ-ა, ჟ-ოფ-ა (ყვ-ოფ-ა) და სხვ.

სხვადასხვა კილოს სხვადასხვა დროს ნაკვთები ამნაირად წარმოებენ:

- გ. კ. **აწმყო** და **მომავ.** დროსი: სახელზმნის ძირს ემატება სთენ-საბოლოებლები.
- „ „ **შეუსრ.** წარს. და პ. კ. **შესრ.** წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება დ-ძირმსახი და იათნენ-საბოლოებლები.
- „ „ **შესრ.** წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ობ(ოფ)-ძირმსახი და ემატება ეოთეს-საბოლოებლები.
- „ „ **საზღ.** წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ამ-ძირმსახი და ემატება ბ-ძირმსახი და შემწ. ზმნის გ. კ. აწმყო დროს ნაკვთები.

6. კ. აწმყო და მომავ. დროსი: ს. ძ. ემატება და ე-ძირმსახი და სთნ-საბოლოებლები.

„ „ საზღ. წარს. დროსი: ს. ძ. ეკარგება ობ(ოფ)-ძირმსახი და ემატება ეოთხენ-საბოლოებლები.

დ. კ. საზღ. წარს. დროსი: ს. ძ. ეკარგება ობ(ოფ)-ძირმსახი, შემდეგ ემატება რ-ძირმსახი და სთნ-საბოლოებლები.

„ „ მომავ. დროსი: ს. ძ. უკარგება ობ(ოფ)-ძირმსახი, შემდეგ ემატება ო-ძირმსახი და სთნ-საბოლოებლები.

ზმებში პყრ-ობ-ა, ცნ-ობ-ა, თხრ-ობ-ა, ე-ოფ-ა (ყვ-ოფ-ა) გადაჭრ. კილოს შესრულებული წარს. დროს და ნატვრ. კ. საზღ. წარს. დროს 1 და 2 პირში ფუძე ხმოვანდება ა-ბგერით, ხოლო ზმნაში თრ-ობ-ა (თვრ-ობ-ა = თრვ-ო-ბა) ე-ბგერით. ორსავე შემთხვევაში ეოთხენ-საბოლოებლების ნაცვლად იხმარება იათებ-საბოლოებლები და ეოთხენ-საბოლოებლების ნაცვლად იათხენ-საბოლოებლები, დამოკ. კილოს საზღ. წარსულს და მომავალს დროში ნაკვთები ო-ძირმსახის ნაცვლად ა-ძირმსახს ღებულობენ, მაგალ., გადაჭრ. კილოს შესრ. წარს. დრო: ვ-ი-პყარ-ი, ი-პყარ-ი, ი-პყრ-ა, ვ-ი-პყარ-ით, იპ-ყარ-ით, ი-პყრ-ეს; ნატვრ. კილოს საზღ. წარსული დრო: ვ-ე-ყავ-ი, ე-ყავ-ი, ე-ყ-ო, ვ-ე-ყავ-ით, ე-ყავ-ით, ე-ყვ-ნენ; დამოკ. კილოს საზღ. წარსული დრო: ვ-ე-თრ-ო, ე-თრ-ო, ე-თრ-ო-ს, ვ-ე-თრ-ო-თ, ე-თრ-ო-თ, ე-თრ-ო-ნ. დამოკ. კილოს მომავალი დრო: ვ-უ-თხრ-ა, უ-თხრ-ა, უ-თხრ-ა-ს, ვ-უ-თხრ-ა-თ, უ-თხრ-ა-თ, უ-თხრ-ა-ნ.

ზმებში ყ-ოფ-ა (ყვ-ოფ-ა) და თრ-ობ-ა (თვრ-ობ-ა = თრვ-ობ-ა) მიმხრის დროს ფუძის ვ-ბგერა ძირმსახის ან საბოლოებელის ა-ბგერასთან ერთად იქცევა ო-ბგერად, ამიტომ მოყვანილ მაგალითებში ნატვრ. კ. საზღლ. წარს. დროს მხ. რ. 3 პირი არის ე-ყ-ო (ნაცვლად ე-ყვ-ა), დამოკ. კ. საზღ. წარს. დროს 1 პირია ვ-ე-თრ-ო (ნაცვლად ვ-ე-თვრ-ა ან ვ-ე-თრვ-ა), 2 პირია ე-თრ-ო (ნაცვლად ვ-თვრ-ა ან ე-თრვ-ა) და სხვა. დამოკიდებითი კილოს მომავალი დროს ყოფა-ზმნის ნაკვთებია: ვ-ჴ-ყ-ო (ნაცვ, ვ-ჴ-ყვ-ა), ჴ-ყ-ო (ნაც. ჴ-ყვ-ა), ჴ-ყ-ო-ს (ნაც. ჴ-ყვ-ა-ს), ვ-ჴ-ყ-ო-თ (ნაც. ვ-ჴ-ყვ-ა-თ), ჴ-ყ-ო-თ (ნაც. ჴ-ყ-ა-თ), ჴ-ყ-ო-ნ (ნაც. ჴ-ყ-ა-ნ).

ზმები ტყ-ობ-ა და ცნ-ობ-ა, ი-ჯურმსახიანები, გადაჭრ. კილოს აწმყო და შესრ. წარსული დროს და ნატვრ. კილოს აწმყო დროს ნაკვთებს სხვანაირადაც აწარმოებენ, სახელდობრ, ობ-ძირმსახშე იძატებენ ილ-ობ-ძირმსახებს და ჰერგავენ ჯურმსახს. მაგალ., იტყვიან: ვ-ტყობილობ (ნაც. ვ-ი-ტყ-ობ), ვ-ტყობილობ-დ-ი (ნაც.

ვ-ი-ტუ-ობ-დ-ი), ვ-ტუობილობ-დ-ე (ნაც. ვ-ი-ტუ-ობ-დ-ე) და სხვ. ან ვ-ცნობილობ (ნაც. ვ-ი-ცნ-ობ), ვ-ცნობილობ-დ-ი (ვ-ი-ცნ-ობ-დ-ი), ვ-ცნობილობ-დ-ე (ვ-ი-ცნ-ობ-დ-ე) და სხვ.

ვ) მეექვსე რიგს ეკუთნიან ის ზმნები, რომელთა სახელზმნა შედგება უწმოვანი ფუძისაგან, ებ-ძირმსახისაგან და ა-საბოლოებელისაგან, მაგალ., დ-ებ-ა, ქ-ებ-ა, გ-ებ-ა, ნთ-ებ-ა, წყ-ებ-ა, გნ-ებ-ა, მცნ-ებ-ა და სხვ.

სხვადასხვა კილოს სხვადასხვა დროს ნაკვთები ამნაირად წარმოებენ:

გ. კ. აწმყო და მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება სთნ-საბოლოებლები.

„ „ შეუსრ.. წარს. და პ. კ. შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება დ-ძირმსახი და იათნენ-საბოლოებლები.

„ „ შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ებ-ძირმსახი და ემატება ეოთეს-საბოლოებლები.

„ „ საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ებ-ძირმსახი, შემდეგ ემატება ი-ძირმსახი და შემწ. ზმნის.

გ. კ. აწმყო დროს ნაკვთები.

6. კ. აწმყო და მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება დ და ე-ძირმსახები და სთნ-საბოლოებლები.

„ „ საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ებ-ძირმსახი და ემატება ეოთნენ-საბოლოებლები.

დ. კ. საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ებ-ძირმსახი, შემდეგ ემატება ო-ძირმსახი და სთნ-საბოლოებლები.

„ „ მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ებ-ძირმსახი, შემდეგ ემატები ო-ძირმსახი და სთნ-საბოლოებლები.

ზმნა შე-ებ-ა გაღატრ.. კილოს შესრ. წარს. და ნატებ. კილოს საზღ. წარს. დროში ლებულობს ეოთეს და ეოთნენ-საბოლოებლების ნაცელად იათეს და იათნენ-საბოლოებლებს, ხოლო დამოკ. კილოს საზღ. წარს. და მომავალ დროში ო-ძირმსახის მაგიერ ა-ძირმსახს, მაგალ., გ. კ. შესრ. წარს. დრო: ვ-უ-შე-ი, უ-შე-ი, უ-შე-ა, ვ-უ-შე-ი-ით, უ-შე-ი-ით, უ-შე-ეს; ნატერ. კ. საზღ. წარს. დრო: ვ-ე-შე-ი, ე-შე-ი, ე-შ-ე-ა, ვ-ე-შე-ი-ით, ე-შე-ნენ; დამოკ. კ. საზღ. წარს. დრო: ვ-ე-შე-ა, ე-შე-ა, ე-შე-ა-ს, ვ-ე-შე-ა-თ, ე-შე-ა-თ, ე-შე-ა-ნ; დამოკ. კ. მომავ. დროსი: ვ-უ-შე-ა, უ-შე-ა, უ-შე-ა-ს, ვ-უ-შე-ა-თ, უ-შე-ა-თ, უ-შე-ა-ნ.

ზოგიერთი ამ რიგის ზმნები, ი-ჯურმსახიანები, გ. კ. აშშურ  
და შეუსრ. წარს. დროში და ნატვრ. კ. აშშურ დროში ებ-ძირმსახს  
ურთავენ კიდევ ულ-ობ-ძირმსახს და ისე აწარმოებენ ნაკვთებს;  
თან ჯურმსახს ჰყარგავენ, მაგალ., ლ-ებ-ა, — ვ-ღ-ებულობ (ან ვ-ღ-ღ-ებ),  
ფ-ღ-ებულობ-დ-ი (ან ვ-ღ-ღ-ებ-დ-ი), ფ-ღ-ებულობ-დ-ე (ან ვ-ღ-ღ-ებ-  
დ-ე); გ-ებ-ა, — ფ-გ-ებულობ (ან ვ-გ-ებ), ფ-გ-ებულობ-დ-ი (ან ვ-გ-  
გ-ებ-დ-ი), ვ-გ-ებულობ-დ-ე (ან ვ-გ-ებ-დ-ე); კლ-ებ-ა, — ვ-კლ-ებ-  
ულობ (ან ვ-კლ-ებ), ვ-კლ-ებულობ-დ-ი (ან ვ-კლ-ებ-დ-ი),  
ვ-კლ-ებულობ-დ-ე (ან ვ-კლ-ებ-დ-ე).

8) მეშვიდე რიგს ექუთნიან ის ზმნები, რომელთა სახელზმნა  
შეღება ხმოვანი ფუძისაგან, ებ-ძირმსახისაგან და ა-საბოლოებელის-  
გან ან ხმოვანი ძირისაგან, რომელიც შეიძლება იყვეს ან ზმნის ფუძე  
მასთან შეხორცებულის ძირმსახითურთ ან რომლისამე. სხვა გვარის  
სიტყვის ძირი, ებ-ძირმსახისაგან და ა-საბოლოებელისგან, მაგალ.,  
კეთ-ებ-ა, ღულ-ებ-ა, თხოვ-ებ-ა, წვი-ებ-ა, ბერ-ებ-ა, ბრუნ-ებ-ა,  
მარჯვ-ებ-ა, ხარ-ებ-ა, ბარ-ებ-ა, წვალ-ებ-ა, კითხ-ებ-ა, ტირ-ებ-ა,  
ჭვირ-ებ-ა, ცურ-ებ-ა, ხოხ-ებ-ა, ცოც-ებ-ა, ცნობ-ებ-ა, გალობ-ებ-ა,  
წყალობ-ებ-ა და სხვ.

ამ რიგს ექუთნიან ის ზმნებიც, რომელიც წარმოებულინი არიან  
სხვა გვარის სიტყვებითგან ებ-ძირმსახის მიმატებით მათ ძირისთვის,  
მაგალ., ლაპარაკ-ებ-ა, სადილ-ებ-ა, ომ-ებ-ა, უფროს-ებ-ა, გუბერ-  
ნატორ-ებ-ა, თეთრ-ებ-ა, შავ-ებ-ა, ორ-ებ-ა, ათ-ებ-ა, ჩემ-ებ-ა, თვის-  
ებ-ა და სხვანი.

ამ რიგსვე ექუთნიან სხმითგარდასულითი და კვლავსხმითგარ-  
დასულითი ზმნები, მაგალ., წერ-ინ-ებ-ა, ურ-ევ-ინ-ებ-ა, ბმ-ევ-ინ-  
ებ-ა, ჭმევ-ინ-ებ-ა, ხევ-ინ-ებ-ა, თხოვ-ინ-ებ-ა, დ-ებ-ინ-ებ-ა, ქებ-  
ინ-ებ-ა, ნთ-ებ-ინ-ებ-ა, კეთ-ებ-ინ-ებ-ა, შოვნ-ინ-ებ-ა, გზავნ-ინ-ებ-ა,  
ლ-ებ-ინ-ებ-ინ-ებ-ა, კეთ-ებ-ინ-ებ-ინ-ებ-ა და სხვ.

სხვადასხვა კილოს სხვალასხვა დროს ნაკვთები ამნაირად წარ-  
მოებენ:

გ. კ. აშშურ და მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ეშატება  
სთენ-საბოლოებლები.

” ” შეუსრ. წარს. და პ. კ. შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის  
ძირს ემატება ღ-ძირმსახი და იათნენ-საბოლოებლები.

” ” შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ებ-ძირ-  
მსახი და ემატება ეათენ-საბოლოებლები.

” ” საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება ი-ძირ-  
მსახი და შემწ. ზმნის გ. კ. აშშურ დროს ნაკვთები.

- ნ. კ. აწმყო და მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება და და  
ე-ძირმსახი და სთნ-საბოლოებლები.
- „ „ საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება ინ-ძირ-  
მსახი და ეათნენ-საბოლოებლები.
- ღ. კ. საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება ინ და  
ო-ძირმსახები, შემდეგ სთნ-საბოლოებლები.
- „ „ მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს უკარგება ებ-ძირმსახი და  
ემატება ო-ძირმსახი და სთნ-საბოლოებლები.

ზოგჩერთი ზმნები, ი-ჯურმსახიანები. გ. კ. აწმყო და შეუსრ.  
წარს. და ნ. კ. აწმყო დროს ნაკვთებს სხვანაირადაც აწარმოებენ.  
ნაცვლად ებ-ძირმსახისა ლებულობენ ულ-ობ-ძირმსახებს და ჰყარგავენ.  
ჯურმსახს, მაგალ., მატ-ებ-ა, — ვ-მატ-ულობ (ნაცვლად ვ-ი-მატ-ებ),  
ვ-მატ-ულობ-დ-ი (ნაცვლად ვ-ი-მატ-ებ-დ-ი), ვ-მატ-ულობ-დ-ე  
(ნაცვლად ვ-ი-მატ-ებ-დ-ე); კისრ-ებ-ა, — ვ-კისრ-ულობ (ნაცვლად  
ვ-ი-კისრ-ებ), ვ-კისრ-ულობ-დ-ი (ნაცვ. ვ-ი-კისრ-ებ-დ-ი), ვ-კისრ-  
ულობ-დ-ე (ნაცვ. ვ-ი-კისრ-ებ-დ-ე); სესხ-ებ-ა, — ვ-სესხ-ულობ (ნაც.  
ვ-ი-სესხ-ებ), ვ-სესხ-ულობ-დ-ი (ნაც. ვ-ი-სესხ-ებ-დ-ი), ვ-სესხ-  
ულობ-დ-ე (ნაც. ვ-ი-სესხ-ებ-დ-ე).

ც) მერვე რიგს ეკუთნიან ის ზმნები, რომელთა სახელზმნა შედ-  
გება ფუძისაგან, ოლ-ძირმსახისაგან და ა-საბოლოებელისაგან, მაგალ.,  
სრ-ოლ-ა (ხრვ-ოლ-ა = სვრ-ოლ-ა).

სხვადასხვა კილოს სხვადასხვა დროს ნაკვთები ამნაირად წარ-  
მოებენ:

- გ. კ. აწმყო და მომ. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ოლ-  
ძირმსახი, შემდეგ ემატება ო-ძირმსახი და სთან-საბოლოებ-  
ლები.
- „ „ შეუსრ. წარს. და პ. კ. შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის  
ძირს ეკარგება ოლ-ძირმსახი, შემდეგ ემატება ო ჟა ღ-ძირ-  
მსახები და იათნენ-საბოლოებლები.
- „ „ შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება ეათეხ-  
საბოლოებლები.
- „ „ საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება ი-ძირ-  
მსახი და შემწ. ზმნის გ. კ. აწმყო დროს ნაკვთები.
- ნ. კ. აწმყო და მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება  
ოლ-ძირმსახი, შემდეგ ემატება ო, ღ და ე-ძირმსახები და  
სთნ-საბოლოებლები.
- „ „ საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება ეათნენ-  
საბოლოებლები.

დ. კ. საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება ო-ძირ-  
მსახი და სთნ-საბოლოებლები.

„ „ მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ემატება ო-ძირმსახი  
და სთნ-საბოლოებლები.

ზმნაში სროლა სახელზმნითგან გამოვარდნილია ფუძის ვ-ბერა  
და თავს. იჩენს ზმნაჩრილის იმ ნაკვთებში, რომლებშიც ოლ-ძირმსახი  
იქარგება.

თ) მეცხრე რიგს ეკუთნიან ის ზმნები, რომელთა სახელზმნა  
შედგება ფუძისაგან, ოლ-ძირმსახისაგან და ო-საბოლოებელისგან,  
მაგალ., ჩიგ-ილ-ი, კიგ-ილ-ი, ყვირ-ილ-ი, ძახ-ილ-ი, ტირ-ილ-ი, ლიმ-  
ილ-ი და სხვ.

სხვადასხვა კილოს სხვადასხვა დროს ნაკვთები ამნაირად წარ-  
მოებენ:

გ. კ. აწმყო დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ოლ-ძირმსახი,  
შემდეგ ემატება ო-ძირმსახი და სთან-საბოლოებლები.

„ „ შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ოლ-  
ძირმსახი, შემდეგ ემატება ო და ო-ძირმსახები და იათნენ-  
საბოლოებლები.

„ „ შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეცვლება ოლ-ძირ-  
მსახი ლ-ძირმსახით და ემატება ეათეს-საბოლოებლები.

„ „ საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეცვლება ოლ-ძირ-  
მსახი ლ-ძირმსახით, შემდეგ ემატება ო-ძირმსახი და შემჭ-  
ზმნის გ. კ. აწმყო დროს ნაკვთები.

„ „ მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ეცვლება ოლ-ძირმსახი  
ლ-ძირმსახით, შემდეგ ემატება ებ-ძირმსახი და სთნ-სა-  
ბოლოებლები.

პ. კ. შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეცვლება ოლ-ძირ-  
მსახი ლ-ძირმსახით, შემდეგ ემატება ებ და ო-ძირმსახები  
და იათნენ-საბოლოებლები.

ნ. კ. აწმყო დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ოლ-ძირმსახი,  
შემდეგ ემატება ო, დ და ე-ძირმსახები და სთნ-საბოლოე-  
ბლები.

„ „ საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეცვლება ოლ-ძირ-  
მსახი ლ-ძირმსახით და ემატება ეათნენ-საბოლოებლები.

„ „ მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ეცვლება ოლ-ძირმსახი  
ლ-ძირმსახით, შემდეგ ემატება ებ, დ და ე-ძირმსახები და  
სთნ-საბოლოებლები.

დ. კ. საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეცვლება ოლ-ძირ-მსახი ლ-ძირმსახით, შემდეგ ემატება ო-ძირმსახი ზა ხონ-საბოლოებლები.

¶ „ მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ეცვლება ოლ-ძირმსახი ლ-ძირმსახით, შემდეგ ემატება ო-ძირმსახი და ხონ-სა-ბოლოებლები.

ოლ-ძირმსახი იცვლება ლ-ძირმსახით მხოლოდ იმისთანა ზმნე-ბში, რომლებშიც ფუძე დაბოლოებულია ვ-ბგერით, როგორც, მაგალ., კივ-ილ-ი, წივ-ილ-ი, ყივ-ილ-ი და სხვა. თუ ფუძე დაბოლოებულია რომელიშე სხვა ბგერით, როგორც, მაგალითად, ტირ-ილ-ი, ლიმ-ილ-ი, ჰახ-ილ-ი, ქად-ილ-ი და სხვ., ილ-ძირმსახი კი არ იცვლება ლ-ძირ-მსახით, არამედ სრულებით იკარგება ყველა ნაკვთებში.

ამ რიგსავე ეკუთნის ზმნა სი-ც-ილ-ი, რომლის პირვანდელი ფორმა უნდა იყვეს ცინ-ილ-ი.

ზმნები, რომელთა ფუძე უ-ბგერით თავდება, მიმოხრაში გ. კ. აწმყო და შესრ. წარსულის და ნ. კ. აწმყო დროს გარდა, ფუძის ბოლოს ლებულობენ ვ-ბგერას, ხოლო მის შემდეგ ლ-ბგერას, მაგალ., ლმუ-ილ-ი. გ. კ. აწმყო დრო: ვ-უ-ლმუ-ი, შესრ. წარს. დრო: ვ-უ-ლმუ-ო-დ-ი, ნ. კ. აწმყო დრო: ვ-უ-ლმუ-ო-დ-ე; გ. კ. შესრ. წარს. დრო: ვ-უ-ლმუ-ვ-ლ-ე, საზღ. წარს. დრო: ვ-უ-ლმუ-ვ-ლ-ი-ვარ, მომავ. დრო: ვ-უ-ლმუ-ვ-ლ-ებ, პ. კ. შესრ. წარს. ვ-უ-ლმუ-ვ-ლ-ებ-დ-ი და სხვა.

20. ვეორენაირი მიმოხა. მეორენაირი მიმოხრაის წესისაშებრ მიმოხრებიან გარდუგალი მოქმედებითი ზმნები, რომელნიც ორის ჯურისანი არიან: 1. უჯურმსახონი და 2. ი-ჯურმსახიანები. ჯურ-მსახი იჩენს თავს ზმნახრილის ნაკვთებში. ამ მიმოხრაშიც სამი დროს (გ. კ. საზღვრ. წარსულის, ნ. კ. საზღვრ. წარსულის და დ. კ. საზღვრ. წარსულის) როგორც ი-ჯურმსახიანის ისე უჯურმსახო ზმნების ნაკვ-თებს იგივე ჯურმსახები აქვთ, რაც პირველს მიმოხრაში, სახელ-დობრ: გ. კ. საზღვრ. წარსულს დროში უ(ი)-ჯურმსახი, ნ. კ. საზღვრ. წარსულს და დ. კ. საზღვრ. წარსულს დროში ე-ჯურმსახი. ამას გარ-და უჯურმსახო ზმნები ლებულობენ ი-ჯურმსახს რავდენსამე დროში, სახელდობრ: გ. კ. შესრ. წარსულში და მომავალში, პ. კ. შესრ. წარ-სულში, ნ. კ. მომავალში და დ. კ. მომავალში.

იმის მიხედვით, თუ რა განსხვავებით აწარმოებენ ზმნახრილის სხვადასხვა ნაკვთებს, მეორე მიმოხრას ზმნები რვა რიგისანი არიან. (იხ. ტაბულა III).

ა) პირველ რიგს ეკუთნიან ის ზმნები, რომელთა სახელზმნა შედგება ფუძისაგან და ა-საბოლოებელისგან ან ფუძისგან, მასთან შეხორცებულის ძირმსახისგან და ა-საბოლოებელისაგან, ამასთან ა-საბოლოებელის წინ არის ერთი თანხმოვანი ბგერა, მაგალ., მღერ-ა გალობ-ა.

სხვადასხვა კილოს სხვადასხვა ღროს ნაკვეთები ამნაირად წარმოებენ:

- გ. ქ. აწმყო ღროსი: სახელზმნის ძირს ემატება სთენ-საბოლოებლები.
- " " შეუსრ. წარს. ღროსი: სახელზმნის ძირს ემატება დ-ძირმსახი და იათნენ-საბოლოებლები.
- " ქ. შეს. წარს. ღროსი: სახელზმნის ძირს ემატება გათენ-საბოლოებლები.
- " " საზღ. წარს. ღროსი: სახელზმნის ძირს ემატება რ-ძირმსახი და შემწ. ზმნის გ. კ. აწმყო ღროს ნაკვეთები.
- " " მომავალი ღროსი: სახელზმნის ძირს ემატება ებ-ძირმსახი და სთენ-საბოლოებლები.
- ქ. შესრ. წარს. ღროსი: სახელზმნის ძირს ემატება ებ და დ-ძირმსახები და იათნენ-საბოლოებლები.
- 5. ქ. აწმყო ღროსი: სახელზმნის ძირს ემატება დ და ე-ძირმსახები და სთნ-საბოლოებლები.
- " ქ. საზღ. წარს. ღროსი: — ემატება ეათნენ-საბოლოებლები.
- " " მომავ. ღროსი: — ემატება ებ, დ და ე-ძირმსახები და სთნ-საბოლოებლები.
- დ. ქ. საზღ. წარს. ღროსი: — ემატება რ-ძირმსაზი და სთნ-საბოლოებლები.
- " " მომავ. ღროსი: — ემატება რ-ძირმსაზი და სთნ-საბოლოებლები.

ბ) მეორე რიგს ეკუთნიან ის ზმნები, რომელთა სახელზმნა შედგება ფუძისაგან და ა-საბოლოებელისაგან, ამასთან ა-საბოლოებელის წინ არის ორი ან შეტი თანხმოვანი ბგერა, მაგალ., ლღწ-ა.

სხვადასხვა კილოს სხვადასხვა ღროს ნაკვეთები ამნაირად წარმოებენ:

- გ. ქ. აწმყო ღროსი: სახელზმნის ფუძეს ემატება რ-ძირმსაზი და სთან-საბოლოებლები.
- " " შეუსრ. წარს. ღროსი: სახელზმნის ფუძეს ემატება რ-და დ-ძირმსახები და იათნენ-საბოლოებლები.
- " " შესრ. წარს. ღროსი: სახელზმნის ფუძეს ემატება ეათენ-საბოლოებლები.

- გ. კ. საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ფუძეს ემატება ო-ძირ-  
მსახი და შემწ. ზმნის გ. კ. აწმყო დროს ნაკვთები.  
„ „ მომავ. დროსი: სახელზმნის ფუძეს ემატება ეჭ-ძირმსახი  
და სთენ-საბოლოებლები.
- პ. კ. შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ფუძეს ემატება ებ და  
დ-ძირმსახები და იათნენ-საბოლოებლები.
- ნ. კ. აწმყო დროსი: სახელზმნის ფუძეს ემატება ო, დ და  
ე-ძირმსახები და სთნ-საბოლოებლები.
- „ „ საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ფუძეს ემატება ეათნენ-  
საბოლოებლები.
- „ „ მომავ. დროსი: — ემატება ებ, დ და ე-ძირმსახები და  
სთნ-საბოლოებლები.
- ღ. კ. საზღ. წარს. დროსი: — ემატება ო-ძირმსახი და სთნ-სა-  
ბოლოებლები.
- „ „ მომავ. დროსი: — ემატება ო-ძირმსახი და სთნ-საბო-  
ლოებლები.

ზმნა ღვწ-ა იხმოვანებს ფუძეს ყველა დროებში გ. კ. აწმყო და  
შეუსრ. წარსულის და ნ. კ. აწმყო დროს გარდა.

პირველი რიგის ზმნა მლერა გ. კ. აწმყო და შეუსრ. წარს. დროს  
და ნ. კ. აწმყო დროს ნაკვთებს მეორე რიგის წესისამებრაც აწარმოებს,  
მაგალ., ვ-მლერ-ი, ვ-ი-მლერ-ი, ვ-მლერ-ო-დ-ი, ვ-ი-მლერ-ო-დ-ი,  
ვ-მლერ-ო-დ-ე, ვ-ი-მლერ-ო-დ-ე.

გ) მესამე რიგს ეკუთნიან ის ზმნები, რომელთა სახელზმნა  
შეღება ფუძისაგან, ვ-ძირმსახისაგან და ა-საბოლოებელისაგან, მაგალ.,  
ცოც-ც-ა, ფრჩნ-ვ-ა და სხვ.

სხვადასხვა კილოს სხვადასხვა დროს ნაკვთები ამნაირად წარ-  
მოებენ:

- გ. კ. აწმყო დროსი: სახელზმნის ძირს ეცვლება ვ-ძირმსახი  
ავ-ძირმსახით და ემატება სთენ-საბოლოებლები.
- „ „ შეუსრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეცვლება ვ-ძირ-  
მსახი ავ-ძირმსახით და ემატება დ-ძირმსახი და იათნენ-  
საბოლოებლები.
- „ „ შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ვ-ძირ-  
მსახი და ემატება ეათეს-საბოლოებლები.
- „ „ საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ვ-ძირ-  
მსახი და ემატება ო-ძირმსახი და შემწ. ზმნის გ. კ. აწმყო  
დროს ნაკვთები.

- გ. კ. მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ვ-ძირმსახი და ემატება ებ-ძირმსახი და ხთენ-საბოლოებლები.
- პ. კ. შესრ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ვ-ძირმსახი და ემატება ებ და ღ-ძირმსახები და იათნენ-საბოლოებლები.
- ნ. კ. აწმყო დროსი: სახელზმნის ძირს ეცვლება ვ-ძირმსახი აფ-ძირმსახით და ემატება დ და ე-ძირმსახი და ხთნ-საბოლოებლები.
- „ „ საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ვ-ძირმსახი და ემატება ებთნენ-საბოლოებლები.
- „ „ მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ვ-ძირმსახი და ემატება ებ, დ და ე-ძირმსახები და ხთნ-საბოლოებლები.
- ღ. კ. საზღ. წარს. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ვ-ძირმსახი და ემატება მ-ძირმსახი და ხთნ-საბოლოებლები.
- „ „ მომავ. დროსი: სახელზმნის ძირს ეკარგება ვ-ძირმსახი და ემატება მ-ძირმსახი და ხთნ-საბოლოებლები.

გადაჭრ. კილოს საზღ. წარსულის დროს ნაკვთებს სხვანაირადაც აწარმოებენ ამ რიგის ზმნები, სახელდობრ, სახელზმნის ძირს ვ-ძირმსახი ეცვლება აფ-ძირმსახით და ემატება შემწ. ზმნის გ. კ. აწმყო დროს ნაკვთები. მხ. რ. მესამე პირის ნაკვთი ღებულობს ა-სახის ნაცვლად ს-სახეს, მაგალ., ვ-უ-ცოც-აფ-ვარ, უ-ცოც-აფ-ხარ, უ-ცოც-აფ-ს და სხ.

